კვირის პალიტრა

ფეხი

N7(140) 13/II.-19/II.2003.ფასი 60 თ.

1168
2003

ხაფანგი მოზარდებისთვის

გარყვნილება სატელეფონო ხაზებით

სტატიის კვალდაკვალ



„მინდა ქართულ ესტრადას დავუპირისპირდე...“

რაში დასჭირდა

ნინო იოსელიანს არომატიზებული სანთლები

გია ბულაძე:

„ბახუსის ზემოქმედების ქვეშ ვიყავი
და თავს უფლება მივეცი, ძალიან
უხეშად მოვქცეოდი გოგონებს...“

გვ. 26

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
№7 (140)
13 – 19 თებერვალი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ვაი, თქვენს პატრონს, ბაბულიებო!..“ 3
ერთი კითხვა 4
საზოგადოება
ხაფანგი მოგარდებისთვის 6
ტესტი
ერთგული მკითხველი 8
ჭრელი სამყარო 9
დეკლარანტები
„ხან ვემალები ყოველდღიურობის ორომტრიალს, ხან ვეძალები...“ 10
კრიმინალი
● საქეიფოდ მისულმა სტუმარმა მასპინძელს ტყვია შუბლში ესროლა 13
● „დაგზარალებულებს ყაჩაღთა ვინაობა რომ სცოდნოდათ, მათ სახლებს გადაუწვავდნენ“ 13
● „გატაცებული გოგოს გაუპატიურებას ორჯერ შეეცადა“ 14
გემოვნება
ნინო იოსელიანი FASHION TV-სთვის ახალი პროექტის შეთავაზებასაც აპირებს და პოლიტიკოსთა იმიჯმეიკერობასაც 16
სიახლე
თეატრი, რომელიც გემში დაიდებს ბინას 19
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 20
თემა
სახელების ანატომია და მათი „მოფერებით-ჩახუტებითი“ ფორმები 20
მსახიობი
„მთიდან ჩამოსული ხალხი, პატარა მთას გულში ვატარებთ...“ 23
ამპლუა
სწავლის მოყვარული თათია გიორგობიანი თავს ოცნების უფლებას არ აძლევს 24
დეტექტორი
რატომ არ მოხვდა გია ბუღაძე თვითმფრინავის გამტაცებელთა ჯგუფში და რა კომპრომისი არ ასვენებს 26
გამოხმაურება
„ეს ყველაფერი აღრე, არც კი დაგვესიზმრებოდა...“ 29
მამები და შვილები
ერთმანეთისა და სიკეთისათვის დაბადებულნი ანუ სტუმრად თაბუკაშვილების ოჯახში 30
საოჯახო ფსიქოლოგია
ლიდერი კი არა, ნამდვილი ტირანია! 32
ტაძარი
საიდან შემოდის ცოდვა ადამიანში? 34

ხაფანგი მოზარდებისთვის – გარქვნილება სატელეფონო ხაზებით

„თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ, თათბირზეც ითქვა იმის შესახებ, რომ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ამჟამად კი, 26 „ინტიმური ტელეფონის“ ნომერია დაფიქსირებული. მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი უკვე ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს გადასცდა“.

6

ნინო იოსელიანი FASHION TV-სთვის ახალი პროექტის შეთავაზებას აპირებს

– სამი გოგო მყავს და სიძეც გოგო ყოფილაო, – იტყვის, სასიძო რომ მოკლე და მოტკეცილი ტანსაცმლით ნახოს... მამას ძალიან უნდა, ბევრი შვილიშვილი. სულ მეკითხება: სწავლა კარგია, მაგრამ გათხოვებას არ აპირებო?

16

„გატაცებული გოგონას გაუპატიურებას ორჯერ შეეცადა“

ზაზა შანიძე მათ შეუთანხმდა, შინიდან სკოლისკენ მიმავალ 16 წლის ს.გ-ს გზაზე ჩასაფრებოდნენ, მანქანაში ძალით ჩაესვათ და გაეტაცათ...

...მალე გოგონაც გამოჩნდა. სკოლისკენ ის თავის მამიდაშვილთან ერთად მიდიოდა. გოგონებს მანქანით მიუახლოვდნენ და მათ წინ გაჩერდნენ.

14

სწავლის მოყვარული თათია გიორგობიანი თავს ოცნების უფლებას არ აძლევს...

გადაღების დროს, თათია თურმე იძულებული გახდა, ჭაობში ჩასულიყო, რომელშიც უამრავი ბაყაყი, წყალმცენარე და თავკომბალა ფეხებზე შემოეხვია. მომღერალმა ეს სიმწარე გმირულად გადაიტანა. ფოტოები მართლაც მშვენიერი გამოვიდა...

24

შეჩერებული წამი
გალაკტიონის სიგმარი და მისი უკანასკნელი ფოტო 35
ფავორიტები
ცრუმორწმუნე გოლეადორი ბრაბანტის პროვინციიდან 36
ვარსკვლავები
ადრიანა სკლენარიკოვამ კრისტიან კარამბეს ხათრით ფეხბურთი შეიყვარა 38
საფეხბურთო მინდვრებზე 40
სპორტული მოზაიკა 41
რომანი
რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (გაგრძელება) 42
ეკრანს მიღმა
მორცხვ და თავმდაბალ ტომ ჰენკსს ჰოლივუდში უსაგღვრო ძალაუფლება აქვს 46
გადასალებ მოედანზე
გრანდიოზული კინოპროექტი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ 47
ავტო 48
მოგზაურის დღიურები
პირისპირ ამერიკულ სინამდვილესთან ანუ როგორ მითხრიდა საულავს დაკრძალვის ბიუროს აგენტი 50
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაგე 51
მოდა
ახალგაზდა მემოდელეებს ინტერიერის დიზაინიც ემარჯვებათ და ბიჭების ტანსაცმლის შეკერვასაც აპირებენ 53
ბომონდი 54
ჯანმრთელობა
- სეზონური დაავადება 56
- სინუსიტი 56
- ჯადოსნური მკურნალი 57
- საშვილოსნოს მიომა 58
- პარკინსონი არ ნებდება, მაგრამ უკან იხევს 59

ზოუბიზნესი 60
სკანვორდი 61
ჰოროსკოპი
კვირის (17-23 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი 62
ტესტი
ხართ თუ არა კონფლიქტური ადამიანი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ეს ყველაზერი ადრე, არც კი დაგვესიზმრებოდა...“

ალბათ ყველას ახსოვს ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული წერილი, რომელიც შიუკაშვილების მრავალშვილიან ოჯახს შეეხებოდა. ქალბატონი ლენა და ბატონი ჯემალი აუტანელ სიღარიბეში ცხოვრობდნენ. ჩვენს პუბლიკაციას უამრავი კეთილი ადამიანი გამოეხმაურა.

29

ერთგული მეუღლე სახელგანთქმულ ქმარს საბერძნეთში გაჰყვა



კრივი სპორტის ერთადერთი სახეობაა, რომელსაც ცოლ-ქმარი ერთობლივად მისდევს. „ერთხელ კრისტიანი ისე შეიჭრა როლში, რომ თითიც კი მომტეხა, თუმცა, ეს ალბათ ჩემი ბრალი იყო, რადგან ისეთი დარტყმა მივაყენე, რომ ცხვირი კინაღამ მოვტეხე“, – იხსენებს ადრიანა.

38

რატომ არ მოხვდა გია ბუღაძე თვითმფრინავის გამტაცებელთა ჯგუფში



მე თვითონ არ დავიჯერე, როცა დამთანხმდა. ხელები შემომხვია და ჩუმად მითხრა: თავი ხელში აიყვანე, ცუდად იქცევიო. ამ ერთმა წინადადებამ გამომარკვია და საკუთარი სახე დამიბრუნა...

26

ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები

ნინის სახეზე ალმურმა გადაჰკრა, მაგრამ ხმა მაინც არ ამოიღო. შემდეგ მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო და ნელა წარმოთქვა:

– წავალ, დავიძინებ, თორემ ცალკე გზამ და ცალკე მანქანამ ისე დამქანცა, რომ ფეხზე ძლივსღა ვდგავარ...

42

„ვაი, თქვენს ჰაფრინს, ბაბულიებო!..“



თუ არ ჩავთვლით დივერსიულ თავდასხმებს, მოსახლეობის საპროტესტო აქციებსა და შიმშილობებს, დენის ტარიფის მომატებას, IX და X ენერგობლოკების მოსალოდნელ გაჩერებას, საქართველოს შესაძლო ჩართვას საერთაშორისო საომარ მოქმედებებში და სხვა ასეთ წვრილმანებს, შეიძლება ვთქვათ: „გასული კვირა იყო ისეთი წყნარი, რომ არც კი მახსოვს, იყო თუ არა...“

მაგრამ ვაი, რომ გვიყვარს ქართველებს „ბუზის სპილოდ გადაქცევა“ და ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტებს საგანგაშოს ვეძახით. გეკითხებით — რა არის საგანგაშო იმაში, რომ 20-30 მორცხვი ბიჭი (თანაც ისეთი მორცხვი, რომ სახეების ჩვენებაც კი მოერიდათ და ნიღბები ჩამოიცვეს!) შევიდა ერთ-ერთი პარტიის ოფისში და მოკრძალებულად მიარიალ-მოარიალა იქაურობა? მერე რა, რომ არჩევნებში ხალხმა სიყვარული გამოხატა ამ პარტიის მიმართ და იმდენი ხმა მისცა, რომ პარლამენტშიც ჰყავთ წარმომადგენლები და საკრებულოშიც!.. ბოლოს და ბოლოს, მმართველი პარტია ხომ არ არის, ამოდენა ამბავი რომ ატეხო და ამ ვითომ დანაშაულში ეჭვმიტანილებიც დააკავო?!.

ამას თავი დავანებოთ და ახლა, მუსიკალური სტუდიის გაპარტახება ავიღოთ... დაიქცა ქვეყანა?! სიმღერა და ფონოგრამა გაგვიჭირდა ქართველებს?! სულ არ ჰქონდა სინთეზატორი და კომპიუტერი ჩვენს მამა-პაპას, მაგრამ თოხით ხელში მღეროდა „ნადურს“. თანაც, ეს იმიტომ გააკეთეს, რომ შემოქმედებითი ენთუზიაზმი გაგვიღვივონ და გაათკეცებული ენერგიით ვწეროთ ახალი სიმღერები. დავწერთ კიდეც! მოვაგროვებთ მარაგს და... ისევ გაგვინადგურებენ...

ან იმაში რა იყო კატასტროფული, რომ ჭიათურელი მაღაროელი ქალები გაიფიცნენ და შახტაში შიმშილობენ? მოსწყინდა ხალხს ჭიათურის სუფთა ჰაერის სუნთქვა და ახლა, მიწაში ჩაძვრა. ის კი არა, ისე დაურეგულირდათ თურმე წნევა, სისხლის მიმოქცევა, კუჭის მოქმედება, ჭამის მადა და პოლიტიკური აზროვნება, რომ ბავშვების იქ ჩაყვანაც განუზრახავთ. საოცრება რომ იყო ქართული მიწა-წყალი, კი ვიცოდი, მაგრამ მარგანეცის აბაზანების მიღებაც თუ შესაძლებელი და მარგებელი იყო მიწის ქვეშ, 80 მეტრის სიღრმეში, ნადვილად არ მეგონა!.. ხელფასების დავალიანება კი, საბაბია მხოლოდ, რომ იქ ჯდომის ვადა გაიხანგრძლივონ, თორემ ვინ აცლის ამდენ ხანს? — ქვეყანა შეკრებილა თურმე, — ზემოთ ამოდით, ჩვენც გვინდაო!.. — გაიძახიან. ასე რომ, აქ საყვირალი არაფერია, უმადურობასაც ხომ აქვს საზღვარი?!

გნებავთ, „ეი-ი-ეს თელასის“ საკითხი გამოვიტანოთ სამსჯავროზე. იგნასიო ირიბარენზე რომ ვინმეს საყვედური დასცდება, ხომ უნდა გასკდეს მიწა მის ფეხქვეშ! კაცი დღე და ღამე შრომობს და ღამის კარდაკარ ირბინოს „ზაპასნოი ლამპოჩკებით“ — სულ ნათელში იყავითო!..

მერე რა, რომ „ცალ-ცალი კალოში ეცვა ჩამოსვლისას და ახლა, ტყავის პალტოსა და რეზინის ჩექმებშია გამოწყობილი“?! ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მონათესავე ბასკი კი არის, მაგრამ მთლად ქართველი კი არა, ვირივით რომ ვამუშაოთ და არაფერი მივცეთ! რა ქნას, აბა? რაღაც „კაპიკ-ნახევრით“ უნდა გაზარდოს დენის ფასი, იმ „კაპიკ-ნახევარზე“ დადგა მაგისი ოჯახი — მეტი კი არ რჩება მოგება, მისდა წილად!..

ჯერ, რაც თავი მახსოვს, სულ „ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX-X ბლოკებზეა“ საუბარი. მგონი, მართლა ჩვენს წელთაღრიცხვამდეა გაკეთებული და გაფუჭდება, აბა, რას იზამს?! მით უმეტეს, თუ გაზსა და საწვავს არ მიაწვდი, ძროხა ხომ არ არის, ჩალა ჭამოს და რძე და ყველი მოგვცეს?! ეს თუ გერჩივნათ, კომუნისტების დროს გვქონდა ის „რძე და ყველი“, მაგრამ ხომ არ გვინდოდა...

რაც შეეხება საერთაშორისო პოლიტიკას, მთლად „ტუზი დაგვეცა“: შეიძლება, იმოდენა პატივი დაგვდოს ნატომ, რომ ერაყის წინააღმდეგ საომარი მოქმედებებისთვის დასაყრდენ ბაზად დასჭირდეს ჩვენი ტერიტორია და იქნებ, ჩვენი ჯარისკაცებიც კი „შევტენოთ“ პრაქტიკის მისაღებად...

მეტი რაღა გითხრათ?! — მაგრამ ყველას როდი მისცა განგებამ სწორი ანალიზის გაკეთების უნარი!.. ბევრი ამბობს: პროტესტი უნდა გამოვთქვათ ყველაფრის გამო, რაც საქართველოში ხდებაო!.. იქნებ, ავსტრალიელ ქალებსაც მივბაძოთ პროტესტის გამოხატვის ორიგინალური ფორმით — 700 ქალი რომ გაშიშვლდა და ღია ადგილას გული დახატა შიშველი სხეულებით და წააწერა: „უარი ომს!“ ასეთი პროტესტები „გვინდა“ სწორედ: თავისუფლების მოედანზე 1000 შიშველი ქართველი ქალი და მათი სხეულებით დაწერილი ლოზუნგები: „მინიმალური ხელფასი მაინც მოგვეცით!“, „გვამუშავეთ!“ და სხვა. მე თქვენ გეტყვით, ვერტმფრენს გამოუყოფს მთავრობა ჩვენს ჟურნალისტებს ამ სილამაზის დასაფიქსირებლად... სულ მოყინული შაშვებივით ჩამოიყრებიან მერიის შენობიდან ჩვენი პირდაღებული, ჟურნალისტი და ოპერატორი ბიჭები!.. ეს გინდათ მაინცდამაინც?!

ამიტომ, დამუწეთ ლაზარიას ჭიშკარივით მოღებული პირები და ენებს კბილი დააჭირეთ! საყვედურებს გადაეჩვიეთ და ტაშის დაკვრას მიეჩვიეთ! ის ხომ არ გგონიათ უკეთესი, პარტიები რომ გადაეკიდნენ ერთმანეთს და კბენა-ღრენაში არიან?! იყო დრო, როცა შევარდნაძისადმი ერთგულებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და აღარ იცოდნენ, ვინ საიდან შესძრომოდა მოწყალე ფრთის ქვეშ... ახლა ურჩევნიათ, აგინონ, ვიდრე მასთან ალიანსში ყოფნა დასწამონ. ჰოდა, იმართება „ცხელ-ცხელი“ პრესკონფერენციები, დაფიცება-დაგინებით: თუ მასთან რაიმე მაკავშირებდეს, ჩემი ასე და ისეო!.. მე კი არა — ის არის მაგასთან შეკრული და გამოკრულიო...

არადა, ზის ამ დროს ის კაცი თავის კაბინეტში, ღიმილიან თვალს ადევნებს ყველაფერს და ფიქრობს: „ვაი, თქვენს პატრონს, ბაბულიებო!.. არც ერთი ხართ „ნაციონალურ-მოძრაობისტი“ და არც მეორე „ახალ-დემოკრატისტი“. ყველანი ბედკრული „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ შვილები ხართ!..“

P.S. მოქალაქის ფიქრები — ბიზნესმენი ვიქნები;
ბიზნესმენის ფიქრები — საკრებულოს ვიქნები;
საკრებულოს ფიქრები — პარლამენტში ვიქნები;
პარლამენტარის ფიქრები — პრეზიდენტი ვიქნები;
პრეზიდენტის ფიქრები — ვიქნები და ვიქნები!..

პროვოკატორი

„ეჭვი ვისზე მაქვს და ელდარ შენგელაიაზე!..“

— განაცხადეთ, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში ჟვანიას გუნდის წარმომადგენლები არამც და არამც არ უნდა ერეოდნენ. რა არის ამ განცხადების საფუძველი და საერთოდ, ეჭვი ვისზე გაქვთ? ვის არ სურს ამ კონფლიქტის მოგვარება?

ვახტანგ რჩეულიშვილი, *სოციალისტური პარტიის ლიდერი:*

— ეჭვი ვისზე მაქვს და ელდარ შენგელაიაზე! როგორც იცით, საკანონმდებლო ორგანოში უკვე რამდენიმე წელია, რაც ფუნქციონირებს დროებითი კომისია, რომელიც ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით მუშაობს და რომელსაც ელდარ შენგელაია ხელმძღვანელობს. მას, ფაქტობრივად, დღემდე არაფერი გაუკეთებია კონფლიქტის მოსაგვარებლად. ამიტომაც მოვითხოვ, რომ მან დატოვოს ამ კომისიის თავმჯდომარის პოსტი! ამასთან დაკავშირებით, უკვე მქონდა კონსულტაციები კოკოითთან *(ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი. — ავტ.)* და აღმოჩნდა, რომ შენგელაიას, უნდობლობას ოსური მხარეც უცხადებს: თურმე ძალიან აღიზიანებთ ის განცხადებები, რომელსაც ჟვანიას გუნდის წარმომადგენლები აკეთებენ ოსეთის მიმართ და მართალნიც არიან! იმ დროს, როდესაც კონფლიქტის მოწესრიგებას ვცდილობთ, არ შეიძლება, მოწინააღმდეგეს ბანდიტები და სეპარატისტები ეძახო. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას დროებითი კომისიის ხელმძღვანელის პოსტზე ბადრი ხაჟიმის კანდიდატურა შევთავაზეთ, რადგან ის წარმოშობით გორიდან არის და შიდა ქართლის მოსახლეობაც კარგად იცნობს. ეს ინიციატივა, სხვათა შორის, კოკოითსაც მოეწონა... ■

„ფულს იპარავენ გამგებლები, გუბერნატორები და ზოგადად, პრეზიდენტის გარემოცვაც...“

— „ნაციონალებმა“ „ხელისუფლების დაკვეთით შექმნილი შეიარაღებული ბანდფორმირებების“ წინააღმდეგ გაილაშქრეთ: თქვით, რომ ასეთი ჯგუფები საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს. უფრო კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით — რა ბანდფორმირებებზეა საუბარი, ვინ აფინანსებს და კონკრეტულად, ვის ინტერესებზეა ლაპარაკი?

კოტე კემულარია, *„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:*

— ამგვარი დაჯგუფებების მიზანი ის არის, რომ როგორმე, ხელისუფლებაში მოვიდნენ, ბიუჯეტი ხელში ჩაიგდონ და თანამდებობები გაინაწილონ, რათა ახალგაზრდა „შევარდნაძეებმა“ კიდევ 10 წელი მართონ ქვეყანა. ბანდფორმირებები სწორედ ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ. ხელისუფლების წარმომადგენლებს მილიონობით თანხა აქვთ გადანახული ასეთი ჯგუფების დასაფინანსებლად! საერთოდ, ასე ხდება — თუ ხელისუფლება სუსტია, არენაზე უკვე შეიარაღებული ადამიანები ჩნდებიან, რომელთა დასაფინანსებლადაც ბიუჯეტიდან ფულს იპარავენ გამგებლები, გუბერნატორები და ზოგადად, პრეზიდენტის გარემოცვა... „ახალი მემარჯვენეების“ ოფისის დარბევა აიღეთ — რა, ეს ერთ-ერთმა ასეთმა ბანდფორმირებამ არ ჩაიდინა?!. აი, სწორედ ამგვარი უკანონო ქმედებების მომრავლება გახდა ჩვენი განცხადების და თუ გნებავთ, შეშფოთების მიზეზიც. ჯერჯერობით ვცდილობთ, რომ სიტუაცია მშვიდობიანად დავარეგულიროთ და თუ ასე არ მოხდა, ან ვერ მოხერხდა, იძულებულნი გავხდებით, მხარი დავუჭიროთ ხალხს, რომელიც ქუჩაში გამოვა. ხალხის ძალისა კი, ყველას ეშინია — პრეზიდენტსაც კი! ■

„შესაძლოა, საქართველოში დიდი სისხლის ღვრა მოხდეს“

— თამაზ ნადარეიშვილმა „აღორძინებას“ კიდევ ერთხელ დასდო ბრალად აფხაზეთის დაკარგვა. როგორც ადრე, ამგვარი ურთიერთბრალდებების დროს ხდებოდა ხოლმე, ამჯერადაც საქმე ცემა-ტყეპამდე და სხდომის შეწყვეტამდე მივიდა. რა კომენტარს გაუკეთებდით მომხდარს? ხომ არ გგონიათ, რომ აფხაზეთს ცემა-ტყეპით დავიბრუნებთ?

ჯემალ გოგიტიძე, *„აღორძინების“ ლიდერი:*

— ყველაფერი, რაც იმ დღეს მოხდა, პრეზიდენტის მიერ არის პროვოცირებული. ამ ინციდენტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ მას არჩევნების ჩატარება, უბრალოდ, არ უნდა! შევარდნაძეს სურს, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდეს და არჩევნები არ ჩატარდეს! არც იმას გამოვრიცხავ, რომ ჩვენი ხელისუფლების წყალობით, შესაძლოა, საქართველოში დიდი სისხლის ღვრა მოხდეს. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ მოსახლეობა ძალადობას აღარ დაუშვებს და ყველანაირ ტერორს დაუპირისპირდება. ■

სადილი ყველას

შაბათს, ა.წ. 15 თებერვალს, 12-დან 17 სთ-მდე, „კათარზისში“ კვლავ ღია კარის დღეა. ყველა მსურველს შეუძლია ეწვიოს სათნოების სახლს, სადაც გემრიელ კერძებს შესთავაზებენ.

ამჯერად, თქვენი მასპინძელი იქნება „კათარზისის“ მეგობართა ჯგუფი და ბატონი გოგი თოფაძე.

ტელ.: 95-16-46; 11-დან 17 სთ-მდე

მის.: დავით აღმაშენებლის გამზ. №121.

„დავით გამყრელიძეს თავდაცვის მინისტრობა სურდა...“

— საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, ძალზედ გახშირდა პოლიტიკური ძალადობის შემთხვევა. სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთ მონაწილედ, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეც დასახელდა. ფიქრია ჩიხრაძემ კი განაცხადა, რომ ბათიაშვილი თავდაცვის მინისტრობისთვის ემზადებოდა და ისიც თქვა — ვუთხარი, უარი ეთქვა მინისტრის სავარძელზეო. რას იტყვით ყოველივე ამის შესახებ?

***ირაკლი ბათიაშვილი**, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია. გამოსაძიებელია ისიც, თუ ვის ჰქონდა იარაღი — მათ, ვინც მივიდნენ თუ მათ, ვინც ოფისში დახვდათ... როგორც კი მომხდარის შესახებ შევიტყვე, მაშინვე „მემარჯვენეების“ ოფისში გავეშურე. სულ 10-15 წუთი თუ იქნებოდა გასული. იქ პარტიის წევრები დამხვდნენ, დაძაბული სიტუაცია იყო... ერთი სიტყვით, ჯერაც ვერ ვხვდები, ჩემმა სახელმა რატომ გაიჟღერა, ან რა შეთქმულების მონაწილეობაზეა საუბარი, ვერ გამიგია... რაც შეეხება ფიქრია ჩიხრაძესთან საუბრის თემას — ვსაუბრობდით ბოლო ხანს გავრცელებულ ჭორზე — თითქოს დავით გამყრელიძეს თავდაცვის მინისტრობა სურდა და თავდაცვის სამინისტროს, ვითომ ამიტომაც ვუპირისპირდებოდი. იმასაც ამბობდნენ, რომ გამყრელიძე მიყენებდა. საუბრისას ორივემ — მეც და ფიქრიამაც აღვნიშნეთ, რომ ეს სისულელე იყო და სხვა არაფერი... ამ თავდასხმის პროვოცირების მიზეზი რა იყო, არ ვიცი. არც ის ვიცი, საერთოდ, რა შეთქმულებაზეა ლაპარაკი?! ვიღაცები თუ ქვეყნის მომავალზე ერთად ისაუბრებენ, ამას შეთქმულება რატომ უნდა დავარქვათ?

***ფიქრია ჩიხრაძე**, „ახალი მემარჯვენეების“ წევრი:*

— მე ის კი არ ვთქვი, რომ ბათიაშვილი იყო შეთქმულების მონაწილე — ვთქვი, რომ შეთქმულებმა მას კონკრეტული თანამდებობა შესთავაზეს. უბრალოდ, ეს ორი ფაქტი, დავაკავშირე ერთმანეთთან... ■

„იანვრის ბიუჯეტის დანაკლისმა 22,8 მილიონი ლარი შეადგინა...“

— თქვენი განცხადებით, იანვრის ბიუჯეტის გარლვევამ 22,8 მილიონი ლარი შეადგინა. ფინანსთა სამინისტრო კი გვარწმუნებს, რომ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი არასწორ ინფორმაციას ავრცელებს. ვის უნდა დავუჯეროთ?

***რომან გოცირიძე**, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:*

— არასწორ ინფორმაციას არ ვავრცელებთ, რადგან ხაზინისა და ეროვნული ბანკის მონაცემებს ვეყრდნობით. საგანგაშო მდგომარეობაა — წინა წლებთან შედარებით, ზრდის ნაცვლად, შემოსავლების ყველა წყაროს მიხედვით, კლება აღინიშნება. არადა, მთავრობა ყოველი თვის ბოლოს მშვიდად აცხადებს, რომ ბიუჯეტი შესრულდა! ალბათ ასეთი მცდარი ინფორმაციებით, ან პრეზიდენტის შეცდომაში შეყვანა სურთ, რომ მან მერე, რადიოინტერვიუს საშუალებით, ჩვენი მოსახლეობის გულები გაახაროს, ან — საკუთარი უუნარობის გარკვეული დროით დაფარვა. იანვრის ბიუჯეტის დანაკლისმა 22,8 მილიონი ლარი შეადგინა. ეს შედეგი კი, მგონი, თვალნათლივ აჩვენებს სულ ახლახან დამტკიცებული ბიუჯეტის არარეალობას. 2003 წლის პირველ კვარტალში, სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა შეუსრულებლობისთვის არის განწირული! იანვრის გეგმის ჩავარდნის ძირითადი მიზეზი კი, გასულ წელს განხორციელებული, წინმსწრები გადასახადებია, რაც, როგორც გითხარით, მომდევნო თვეებშიც იჩენს თავს. ■

„უცხოეთში გაშვილებულ ბავშვებს ტრანსპლანტაციისთვის იყენებენ“

— რა იქნება პრიორიტეტული იმ საკითხებში, რომელზეც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი და მისი ახალი თავმჯდომარე იმუშავებენ?

***ნანა ბიჭიაშვილი**, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— როდესაც ადამიანის უფლებები ყველგან ირღვევა, ძნელია პრიორიტეტებზე საუბარი. პირველ რიგში, ეფექტური საკანონმდებლო მუშაობაა აუცილებელი, რათა გვქონდეს ისეთი კანონები, რომელიც ხვრელებს არ დატოვებს, რისი წყალობითაც შეუძლებელი იქნება ადამიანის უფლებების დარღვევა. აუცილებელია ასევე, მუდმივი კონტროლი გავუწიოთ ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. პატიმართა უფლებების დაცვის ხაზით მუშაობა კვლავ აქტიურად გაგრძელდება. უამრავი სამუშაოა ასევე ქალთა პრობლემების, უნარშეზღუდული ადამიანების დაცვის, ტრეფიკინგის, მრავალშვილიანი დედებისა და უპატრონო ბავშვების მოვლა-პატრონობის სფეროში. ყველაზე მთავარი კი, ვფიქრობ ის იქნება, რომ კონტროლი დავაწესოთ ბავშვების გაშვილებაზე და უცხოეთში გაშვილებული ყველა ბავშვი აღრიცხვაზე ავიყვანოთ. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ უცხოეთში გაშვილებულ ბავშვებს ტრანსპლანტაციისთვის იყენებენ! არადა, ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, დაფიქსირდა და კერძო საგენტოებისა თუ ბიუროების მიერ უცხოეთში გაშვილებული ბავშვების კვალი, ქვეყნიდან გაყვანის შემდეგ, ქრება და არავინ იცის, ისინი ცოცხლები არიან თუ არა. გარწმუნებთ, რომ მკაცრი კონტროლი დაწესდება ამ საკითხებზე და სრული აღრიცხვაც მოხდება! ■

სიფანი მოზარდებისთვის

გარყვნილება საკელეფონო ხაზებით

მარი ჯაფარიძე

ორიოდე კვირის წინ, შემოგთავაზეთ წერილი: „შემოსავლიანი ბიზნესი – სექსი ტელეფონით“ („გზა“, №4). შეგახსენებთ, რომ საუბარია ბოლო დროს მომრავლებული ე.წ. „ინტიმური ტელეფონებიდან“, ერთ-ერთის ოპერატორთან ჩაწერილ ინტერვიუზე, რომელშიც ამ მომსახურების სხვადასხვა მხარეს შევეხეთ. ჩვენი ინტერესი გამოიწვია იქ მომუშავე მამაკაცმა, რომელიც მშვენიერი სქესის წარმომადგენლების ვირტუალურ სქესობრივ დაკმაყოფილებაზე ზრუნავს. ვინაიდან „ადამმა“ არ იცოდა, რომ ჩვეულებრივ კლიენტს კი არა, ჟურნალისტს ესაუბრებოდა, საკმაოდ გულახდილი პასუხები გამცა ყველა დასმულ შეკითხვაზე. გვინდოდა საზოგადოებისთვის დაგვენახვებინა, თუ რა ხდება ინტიმური ხაზის, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, რა მოთხოვნები აქვს ამგვარი მომსახურების კლიენტს (იმედია – არა მრავალრიცხოვანს) და რას განიცდის ოპერატორი. პირადად მე, როგორც წერილის ავტორი, ვფიქრობ, რომ სტატია წასაკითხად არცთუ ისე სასიამოვნოა და ზოგ ადგილას მკითხველს შესაძლოა, გულის რევის შეგრძნებაც კი გაუჩნდა, – არადა, ბევრი ძალისხმევა დამჭირდა საიმისოდ, რომ რესპონდენტის ნაუბარი ეთიკის ნორმებში მომექცია და მკითხველამდე „გაკეთილშობილებული“ სახით მიმეტანა...

თურმე ნუ იტყვით და, ჩვენი წერილით „ადამის“ ერთ-ერთი შეფი გაგვიანაწყენებია. მისი გამოქვეყნების შემდეგ, რედაქციაში ახალგაზრდა ქალბატონი, ეკა დეკანოზიშვილი გვესტუმრა და განაცხადა, რომ ის გახლავთ ამ სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი, კერძოდ – კადრების შერჩევის სამსახურის უფროსი (თუმცა, არც პირადობის და არც თანამდებობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი თან არ აღმოაჩნდა და შესაძლოა, ეს ინფორმაცია მცდარი იყოს). როგორც მან გვითხრა, სტატიაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერება, სამსახურის შეურაცხყოფასთან დაკავშირებით საუბრისას სასამართლოც ახსენა და თავისი პრეტენზიები სახელდახელოდ დაწერილ განცხადებაში ჩამოაყალიბა, რომელშიც კერძოდ წერია (სტილი დაცულია): „სტატიაში მოყვანილია რამოდენიმე ურთიერთგამომრიცხავი და ალოგიკური ფაქტი, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებს თითოეულ თანამშრომელს. გამომდინარე აქედან, მთელი ჩვენი კლიენტურის ზნეობას, ხოლო ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობას ბორდელის სახით წარმოაჩენს, რაც არანაირად არ შეეფერება სინამდვილეს“.

ქალბატონი ეკა, როდესაც ალოგიკურ ფაქტებსა და ორგანიზაციის ბორდელად წარმოჩენაზე საუბრობს, გულისხმობს წერილის იმ ნაწილს, სადაც ადამი თანამშრომლების განათლებისა და ინტელექტის შესახებ საუბრობს, კერძოდ:

„— საინტერესოა, კლიენტებთან საუბრის შემდეგ, აღგზნებულები ერთმანეთს არ „დაერევით“ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, არა. არ გეგონოთ, რადგან ასეთი სამსახური გვაქვს, აქ დაბალი კატეგორიის ხალხი მუშაობს ან ყველანი ბოზები არიან.

— მე რომ გთხოვოთ, მომასმენინოთ ქალისა და მამაკაცის სექსუალური აქტი, რას იზამთ?

— დავუძახებ ჩემს თანამშრომელ გოგონას და მოგასმენინებთ, როგორ „გავჟიმავ“ მას...

— ეს სინამდვილეშიც მოხდება თუ მხოლოდ იმიტაცია იქნება?

— არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს კლიენტის მოტყუების უფლება. სწორედ ამიტომაც, ეს არ იქნება იმიტაცია. ეს მოხდება რეალურად და თქვენ ამის მოწმე გახდებით. სწორედ ასეთი თხოვნით მოგვმართა წინა მორიგეობის დროს ერთმა მამაკაცმა და ეს სურვილი შევუსრულეთ მას... ჩვენ ეს არ გვეკრძალება“.

ეს ჩემი და „ადამის“ საუბრის ნაწილია. ნუთუ ამაზე დაყრდნობით ვინმე იტყვის, რომ მე წარმოვაჩინე ეს სამსახური, როგორც ბორდელი? ამიტომაც, მართლა გაოცებული დავრჩი, როცა შევიტყვე, რომ ამ დიალოგის გამომზეურებით დისკომფორტი შევუქმენით სამსახურს, რომელიც თავადვე, უამრავ პრობლემას უქმნის ასობით მოქალაქესა და ოჯახს. ამაში კი ადვილად დავრწმუნდი, როცა თბილისის ტელეგრაფის პრეტენზიების განყოფილებას მივაკითხე და რამდენიმე შეწუხებულ ადამიანს ვესაუბრე.

ეკა დეკანოზიშვილი საპროტესტო განცხადების წერისას

ქ-ნი ელიკო, 48 წლის:

— შინ მხოლოდ მე და 14 წლის ბიჭი ვართ. მე რომ არ მილაპარაკია, ხომ

ვიცი? როგორ დავიჯერო, რომ ბავშვმა ისაუბრა ამ ტელეფონზე? თუ დავადგინე, რომ ეს ნამდვილად ასეა, სასტიკად დავსჯი. ამათ რაც შეეხებათ – თუ გავიგე, მათი ოფისი სად არის, მივალ და დავულეწავ ყველაფერს. როგორ შეიძლება ასე? 227 ლარი მაქვს დავალიანება! რა ილაპარაკა ამდენი? საინტერესოა, რაზე ესაუბრებოდნენ 14 წლის ბავშვს...

— რასაკვირველია, სექსზე...

– რა ბრძანეთ? რა დროს მაგის სექსია? უიმე, ეს რა მითხარი, გენაცვალე! ახლავე გავარკვევ, ვინ არიან ეგ უზნეოები!..

ქ-ნი სუსანა, 65 წლის:

– მეოთხეკლასელი შვილიშვილი მყავს. ორნი ვცხოვრობთ. დავიჯერო, რომ მან ილაპარაკა? მოვკლავ! 90 ლარი მაქვს გადასახდელი. პენსიონერ ქალს, სად მაქვს ამის საშუალება?

ბ-ნი მამუკა, 45 წლის:

– ორი ბიჭი მყავს – 19 და 13 წლის. ჯერ დავადგენ, რომელმა ილაპარაკა „ინტიმურ ტელეფონზე“... თუ უფროსმა – მერე რა მოხდა? – ახალგაზრდა, ინტერესიანი ბავშვია და ამაში საგანგაშოც არაფერია. მაგრამ თუ უმცროსმა ისაუბრა, ძალიან მკაცრად დავსჯი და არც ფირმას დავტოვებ დაუსჯელს: არავითარი უფლება არა აქვთ, რომ არასრულწლოვანს ელაპარაკონ.

— დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ არ გისაუბრიათ?..

– Это не для меня! არ მხიბლავს „სატელეფონო სექსი“. ვიცი, რომ ათას უზნეობასა და საზიზღრობაზე საუბრობენ. მე რომ დამერეკა, არც პრეტენზია მექნებოდა და დავალიანებასაც უსიტყვოდ დავფარავდი.

— თქვენმა მეუღლემ ხომ არ დარეკა? მათ მამაკაციც ჰყავთ კლიენტი ქალბატონებისთვის.

– მოგზავნილი ხომ არ ხართ? ისეთი შეკითხვა დამისვით, დამფიქრეთ... არა, არა, გამორიცხულია! თუმცა, ჩვენს დროში გასაკვირი არაფერია, მაგრამ ვფიქრობ, ჩემს მეუღლეს არ უნდა სჭირდებოდეს ამ ტელეფონით სარგებლობა. მოიცა, კაცო, ხომ არ გაგიჟდით? ოჯახს მინგრევთ?!.

მარიკა ნაპირელი

— როგორ გეკადრებათ? უბრალოდ, მაინტერესებდა, როგორი რეაქცია გექნებოდათ... დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი შვილებიდან ერთ-ერთის ნამოქმედარია.

– მოიცა, მოიცა, მე 16 წლის გოგონაც მყავს... თქვენ მე გამაგიჟებთ! ახლავე წავალ შინ და დავადგენ, რა ხდება ჩემს ოჯახში...

ბუნებრივია, დავინტერესდი, რას ფიქრობენ კავშირგაბმულობის სამსახურის ხელმძღვანელები, რომელთანაც ამ „ინტიმურ“ ფირმებს აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება და „საქართველოს ტელეკომის“ სერვისის დირექტორის მოადგილეს, მარიკა ნაპირელსა და იურისტ, დავით მამაიაშვილს შევხვდი.

მარიკა ნაპირელი:

– უამრავი ადამიანი სარგებლობს ინტიმური ტელეფონის მომსახურებით. ძირითადად, ახალგაზრდები, მაგრამ საკმაოდ ბევრია შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანიც რეკავს და მათი მუდმივი აბონენტიც ხდება. ამის თქმის საფუძველს, პრეტენზიებით მოსული მშობლების ნათქვამი გვაძლევს. ოჯახის წევრები, უფრო ხშირ შემთხვევაში, სხვებისგან მალულად სარგებლობენ ამ მომსახურებით, ამიტომ, ჩვენ მიმართ შემოსული პრეტენზიების უმეტესი ნაწილი უსაფუძვლოა. როგორც წესი, აბონენტი ჯერ აღშფოთებული გვიმტკიცებს, რომ მისი ოჯახის წევრი არავითარ შემთხვევაში არ დარეკავდა ამ ნომერზე, შემდეგ, როდესაც დარწმუნდება, რომ ნამდვილად მისი ოჯახიდანაა დარეკილი, უფრო მწვავე რეაქცია აქვს ხოლმე. ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა ინსტანციაში ჩივიან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ვერავითარ შედეგს ვერ აღწევენ. ბოლოს, გვთხოვენ ხოლმე – არასრულწლოვანმა ილაპარაკა და იქნებ, შეღავათი მაინც გავიწიოთო...

— ბატონო დავით, რა შეგიძლიათ თქვათ სამართლებლივი ნორმების დაცვის შესახებ „ინტიმურ ტელეფონთან“ დაკავშირებით?

– ამ მხრივ, ყველაფერი კანონიერადაა მოგვარებული: მოდიან ჩვენთან „ინტიმური ტელეფონის“ მფლობელები და ხელშეკრულებას აფორმებენ ხაზის ქირავნობაზე. რატომღაც „ინტიმური ტელეფონები“ ხალხში „საქართველოს ტელეკომთან“ ასოცირდება, მაგრამ ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ჩემთვის ხშირად უთქვამთ ახლობლებსაც: ამას რატომ აკეთებთ, არ გრცხვენიათო?.. ჩვენ კი, მათ გამო, უფრო მეტი პრობლემა გვექმნება, ვიდრე სარგებელი გვაქვს, რადგან თანხის ამოღება აბონენტებისგან ხდება ჩვენ მიერ. ფაქტობრივად, მხოლოდ ინკასატორის როლს ვასრულებთ. ჩვენთან წინათაც იყო საუბარი ამ პრობლემის შესახებ. ხელმძღვანელებს საკმაოდ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ამ ბიზნე-

თბილისის ტელეგრაფის პრეტენზიების განყოფილებას მივაკითხე და რამდენიმე შეწუხებულ ადამიანს ვესაუბრე

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გეგახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რამდენი წლით უფროსი იყო ტარიელი ნესტან-დარეჯანზე?

ა) სამით;
ბ) შვიდით;
გ) თერთმეტით.

2. რაგბიში აუტს აწვდის:

ა) გუნდი, რომელმაც ბურთი აუტში გაგზავნა;
ბ) მოწინააღმდეგე გუნდი;
გ) მსაჯი.

3. ურჟო ძროხას, ცხვარსა და თხას დოლას ეძახიან, რძეგდაგრეხილ მსხვილფეხა საძონელს კი:

ა) კუტს;
ბ) დეკეულს;
გ) ლაბას.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

საზოგადოება

ირინა სარიშვილი-ჭანტურია

სის მიმართ, რადგან მთავარი ის ხომ არ არის, რომ კანონი გაძლევს ამის უფლებას. ადამიანური, მორალური თვალსაზრისით, აბსოლუტურად გაუმართლებლად მიგვაჩნია ასეთი სამსახურის არსებობა. ვეძებთ საშუალებებს, რომელიც უზრუნველყოფს აბონენტთა მაქსიმალურ დაცვას. თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ კი, თათბირზეც ითქვა იმის შესახებ, რომ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ ამ საკითხთან დაკავშირებით. შემიძლია მოგცეთ პირობა, რომ არც ერთი ახალი, ასეთი სამსახური აღარ გაიხსნება. ამჟამად კი, 26 „ინტიმური ტელეფონის“ ნომერია დაფიქსირებული. მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი უკვე ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარსა და ნორმებსა გადასცდა.

— როგორც თავად აღნიშნეთ, ხშირია შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვნები სარგებლობენ „ინტიმური“ სატელეფონო ხაზით. ვინ აგებს პასუხს არასრულწლოვნის გარყვნის გამო?

— საქმე ის არის, რომ არ არსებობს კანონი ამ საქმიანობის შესახებ. ამ ტელეფონის მფლობელებიც მიიჩნევენ, რომ რაც აკრძალული არ არის, ის დასაშვებია. მეორე მხრივ, არავის აქვს არასრულწლოვნის გარყვნის უფლება. არც აკრძალვის რაიმე ბერკეტი არსებობს — სარეკლამო განცხადებებში მითითებულია, რომ მხოლოდ 18 წლის ასაკიდანაა შესაძლებელი, ისარგებლონ მათი მომსახურებით, მაგრამ ვინ ამოწმებს აბონენტის ასაკს?!. ამიტომ საჭიროა, პარლამენტმა მიიღოს კანონი ასეთი საქმიანობის შესახებ, მაგრამ თქვენთვისაც ნათელია, რომ ეს შორეული პერსპექტივაა.

ვფიქრობ, ჩვენი კომენტარი ზედმეტი იქნება და სჯობს, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების აზრიც მოვისმინოთ.

ირინა სარიშვილი-ჭანტურია, *ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი:*

— „ინტიმურ ტელეფონზე“ საუბრისას რა ხდება, კერძოდ — რა თემაზე ლაპარაკობენ, არ ვიცი, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რა დანიშნულება აქვს ამ ხაზს. ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავამართლებ ასეთი სამსახურის არსებობას საქართველოში. ჩვენ ჯანმრთელი ახალგაზრდები გვესაჭიროება და არა ამ ტელეფონზე დამოკიდებული, გონებაშეზღუდული ხალხი.

— თქვენი შვილები რომ წამოიზრდებიან და ერთ მშვენიერ დღეს შეიტყოთ, რომ ისინი სარგებლობენ ამ ხაზით, როგორ მოიქცევით?

— ღმერთმა დამიფაროს! არ ვიცი, როგორ მოვიქცევი, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, ჩემი შვილები რომ გაიზრდებიან, მოახერხებენ, დაინახონ სხვაობა ვირტუალურსა და რეალურს შორის და არჩევანსაც ალბათ, რეალურზე შეაჩერებენ.

ბორის წიფურია, მსახიობი:

— სხვათა შორის, ხანდახან გამჩენია სურვილი, დამერეკა და გამეგო, რა ხდება ამ ტელეფონზე — ლაპარაკის დროს, ან როგორ მყარდება ინტიმური კავშირი დისტანციაზე, მაგრამ თავი შემიკავებია, რადგან შესაძლოა, ხმით მიცნონ. მართალია, რეკლამებში საკმაოდ ლამაზი და სიმპათიური ქალბატონები ჰყავთ გამოსახული, მაგრამ მეეჭვება, რომ ასეთი ქალი იქნება, ვინც მიპასუხებს... ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, ეს ქართულ მენტალიტეტში ჩავჯდეს. დარწმუნებული ვარ, საკმაოდ უწმაწური დიალოგი გაიმართება აბონენტსა და ოპერატორს შორის. ქართველებმა ქართულად უნდა ვიცხოვროთ! ■



ბორის წიფურია

სტუდენტები ჯეიჯერების ტრუსებში მალავდნენ

ბანგკოკის პოლიციამ ტაილანდის უნივერსიტეტის 58 სტუდენტი გამოცდის ჩაბარებისას პეიჯერის გამოყენებისათვის დააპატიმრა. პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი პეიჯერებს ტრუსებში მალავდენ და საგამოცდო ტესტის პასუხების მისაღებად იყენებდნენ. სტუდენტებთან ერთად, უნივერსიტეტის ოთხი ლექტორიც დააკავეს. მათ თაღლითების დახმარებაში ედებათ ბრალი. სტუდენტები ინგლისური ენის სატესტო გამოცდისას დააპატიმრეს, ისინი ბაკალავრის ხარისხის მისაღებად უკანასკნელ გამოცდას აბარებდნენ. უფროსი გამომძიებლის, კომსან პაკსინის თქმით, „ლექტორები პეიჯერზე გზავნიდნენ სიგნალს, როცა ვიბრაცია ერთჯერადი იყო, სტუდენტს ტესტის პასუხებიდან, პირველი ვარიანტი უნდა აერჩია, თუ ორი – მეორე და ა.შ.“ დაპატიმრებულთ, კავშირგაბმულობის მობილური საშუალებების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში წაუყენეს ბრალი. ყოველ მათგანს 2.000 დოლარის ჯარიმა ან ორწლიანი პატიმრობა ელის. ■

„მაკს ფაქტორის" შვილთაშვილი იპოვნეს

კალიფორნიის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 39 წლის ენდრიუ ლასტერი სერიულ გაუპატიურებაში ცნო დამნაშავედ. ცნობილი კოსმეტიკური ფირმის – Max Factor-ის მფლობელის შვილიშვილი 86 პუნქტში დადანაშაულეს, მათ შორის, გაუპატიურებაში, მოწამვლაში, ნარკოტიკების გამოყენებასა და იარაღის უკანონოდ შენახვაში. ბრალდება მას 87 პუნქტში ადანაშაულებდა, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა მიიჩნიეს, რომ ერთ, კონკრეტულ შემთხვევაში ეჭვმიტანილს მოწამვლის ბრალდება არ უდასტურდებოდა, ამიტომ მას ეს პუნქტი მოუხსნეს. ლასტერს გამამტყუნებელი განაჩენი სასამართლოზე დაუსწრებლად გამოუტანეს, რადგან იგი გაქცეულია. ენდრიუ სანტა-ბარბარაში მდებარე ვილაში შინაპატიმრობაში ჰყავდათ, მაგრამ მან ა.წ. 3 იანვარს, გაქცევა მოახერხა. უცნაურია, მაგრამ მულტიმილიონერს არც პირადი ნივთების წაღება დავიწყნია და არც ძაღლის წაყვანა. ამჟამად დამნაშავეზე ფედერალური ძებნაა გამოცხადებული. „თუ ლასტერს იპოვიან, შესაძლოა, მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ“, – განუცხადა ჟურნალისტებს ბრალდების წარმომადგენელმა, მაივ ფოქსმა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ენდრიუს გაქცევა წინასწარ ჰქონია დაგეგმილი. მან შტატიდან გაქცევა თვითმფრინავის მეშვეობით მოახერხა. მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია, თუმცა 19 იანვარს, პოლიციამ ლასტერის „ტოიოტა“, ქალაქ სანტა-მონიკის მიდამოებში აღმოაჩინა.

ენდრიუ ლასტერი 2000 წელს დაუპატიმრეს, მაშინ, როცა 21 წლის სტუდენტმა გოგონამ მას გაუპატიურებაში დასდო ბრალი. ჩხრეკის დროს, გამომძიებლებმა მილიონერს სახლში ნარკოტიკები, „კალაშნიკოვის“ ავტომატი და პორნომასალები აღმოუჩინეს. მოგვიანებით, გამომძიებამ ათობით გაუპატიურების ეპიზოდი ამოატივტივა – ლასტერს ნაცნობი ქალები შინ მიჰყავდა, ნარკოტიკებით ჭყეპდა და აუპატიურებდა. როცა ნარკოტიკი ზემოქმედების ძალას კარგავდა, მსხვერპლს მომხდარის შესახებ არაფერი ახსოვდა, ენდრიუ კი, ძალადობის ყოველ ეპიზოდს ვიდეოკამერით იღებდა და პორნოგრაფიას ინტერნეტში ავრცელებდა. ■

ფედერალური ხაზინის კუთვნილი 6 მილიონი კაზინოში წაიგო

ილინოისის შტატის ქალაქ ციცეროს 53 წლის მერს – ბეტი ლორენ-მალტესს გადასახადებისათვის თავის არიდება და სადაზღვევო მაქინაციებში მონაწილეობა ედებოდა ბრალად. ციცეროს მერი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ცნობილია, თავისი მკვეთრი მაკიაჟით, ავსიტყვაობითა და აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებით. პროკურორმა სასამართლომდე, ამ ქალბატონის 2 თვით დაკავება მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ იგი თავდებით მაინც გაუშვა. გათავისუფლებულმა ლორენ-მალტესმა კი, კვლავ ფულის ფლანგვას მიჰყო ხელი. პროკურორმა კაზინოს ჩანაწერები შეისწავლა, სადაც მოთამაშეთა ფსონებია აღნუსხული და განაცხადა, რომ ქალბატონი მერი „ფულის ფლანგვის უსაზღვრო წყურვილითაა შეპყრობილი“. ორ თვეში მან 6 მლნ დოლარის წაგება მოახერხა, საერთო ჯამში კი, ფედერალური ხაზინა 12 მლნ დოლარით აზარალა. ამ დღეებში, ლორენ-მალტესი სასამართლოს წინაშე წარდგა, სადაც მას დამატებით, კიდევ ექვსი ბრალდება წაუყენეს. დარბაზში მყოფთა გასაოცრად, განსაკუთრებულად დიდი თანხების გაფლანგვაში ბრალდებულისათვის პროკურორმა თავისუფლების აღკვეთის თავდაპირველი ვადის შეცვლა არ მოითხოვა. მოსამართლემ დამნაშავეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უკვე ყოფილმა მერმა, პროცესზე უკანასკნელი სიტყვის უფლება გამოიყენა და განაცხადა, რომ ამიერიდან აღარასოდეს ითამაშებს ფულზე. ■

ნინო ჯავახიშვილი

„სან ვეშაღეგი ყოველდღიურობის ორომტრიალს, სან ვეჟაღეგი...“

მწერალი და პარლამენტარი ნოდარ გრიგალაშვილი დაუფარავად აცხადებს, რომ მხოლოდ საკუთარი ხელფასით არ ცხოვრობს და სხვა შემოსავალიც აქვს. თუმცა, თუ მის სიტყვებს ვირწმუნებთ, არც სახელმწიფოს ჰპარავს რაიმეს და არც წილში „უჯდება“ ვინმეს... როგორ ახერხებს ამას ბატონი ნოდარი, ინტერვიუდან შეიტყობთ.

დოსიე:

ნოდარ გრიგალაშვილი ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში 1958 წლის 3 მაისს, არცთუ ისე შეძლებულ ოჯახში დაიბადა. შეძლებული ოჯახიდან არც მისი მეუღლე – ფიქრია ჯაფარიძე გახლავთ. ბატონ ნოდარსა და ქალბატონ ფიქრიას ერთადერთი ქალიშვილი ჰყავთ – 15 წლის თამთა.

„მე და ერთმა ჩემმა ძმაჯაცმა დარაჯად დავიწყეთ მუშაობა“

გარდა იმ უძრავ-მოძრავი ქონებისა, რაც მის დეკლარაციაშია მითითებული (ორი ბინა თბილისში, ავტოფარეხი და ავტომანქანა) დეკლარანტი კიდევ ერთი – მამაპაპეული სახლის თანამფლობელიცაა. სახლი თავის დროზე მამამისს აუშენებია და შემდეგ ის, ტრადიციისამებრ, ბატონი ნოდარის უმცროს ძმას ერგო. როგორც თავად პარლამენტარი ირწმუნება, მშობლებისგან მემკვიდრეობით მას სხვა არაფერი მიუღია.

— ბატონო ნოდარ, აბა, ასე ცარიელ-ტარიელმა როგორ მოახერხეთ ცხოვრების აწყობა?

– კი, მაგრამ რამდენი წლისა გგონივართ, კაცო? ყმაწვილი კი აღარ ვარ. ცხოვრება 17 წლისამ დავიწყე და ყველაფერი საკუთარი შრომით შევქმენი. ეს ძალიან რთული იყო. სტუდენტობის დროსაც კი ვმუშაობდი. ეს გენიალური გადაწყვეტილება იყო! „ხუთოსნის“ სტიპენდიას – 50 მანეთს ვიღებდი და იმის მიუხედავად, რომ მაშინ, სტუდენტს შეეძლო სტიპენდიით თავის გატანა, ბიჭებს მაინც არ გვყოფნიდა ხოლმე ის ფული. ამიტომ, მე და ერთმა ჩემმა ძმაკაცმა დარაჯებად დავიწყეთ მუშაობა. 70 მანეთს გვაძლევდნენ თვეში.

— ეს იყო თქვენი პირველი ხელფასი?

– სხვათა შორის, არა. მეცხრე კლასში ვიყავი, პირველი ხელფასი რომ ავიღე. ზაფხულის არდადეგებზე, ჩამომსხმელ ქარხანაში სადურგლო სამუშაოებს ვასრულებდი. ასე რომ, შრომას ბავშვობიდანვე ვარ მიჩვეული.

— მატერიალურად გიჭირდათ და ამიტომ მუშაობდით, თუ უბრალოდ, პატარაობიდანვე ძალიან შრომისმოყვარე იყავით?

– ჩემი ოჯახი შეძლებული არასდროს ყოფილა. ვმუშაობდი, რადგან გვიჭირდა. მამა ადრე გარდამეცვალა და დედაჩემს 3 მცირეწლოვანი ბავშვი დავრჩით სარჩენი. რადგან უფროსი ვიყავი, მეტ ტვირთსაც საკუთარ თავზე ვიღებდი და ვმუშაობდი, დედა მეცოდებოდა. სტუდენტობის დროსაც, ამიტომ დავიწყე დარაჯად მუშაობა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სვანეთში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად წავედი. ერთი წლის შემდეგ დავბრუნდი თბილისში. ერთდროულად, პირველ საშუალო სკოლაშიც ვმუშაობდი, უნივერსიტეტშიც – კათედრაზე და აბიტურიენტებსაც ვამზადებდი. 1990 წელს, გაზეთ „საქართველოს“ (*„სახალხო ფრონტის“ ორგანო. – ავტ.*) მთავარ რედაქტორად დავინიშნე. ოპოზიციური გაზეთი იყო და დიდი ტირაჟით გამოდიოდა. საკმაოდ მაღალი ხელფასი მქონდა.

— იმდენად მაღალი, რომ მაშინ იყიდეთ ბინა ატენის ქუჩაზე? ეს ბინა 200.000 ლარად შეგიფასებიათ დეკლარაციაში...

— ვიდრე „ატენის“ ბინას ვიყიდდი, მწერალთა კავშირმა დიდ დიღომში ოროთახიანი ბინა მომცა, მეცხრე სართულზე *(ეს ბინა 12.000 ლარად არის შეფასებული. — ავტ.)*. ეს იყო 1987-88 წლებში. ამჟამად, იქ ჩემი ცოლისძმა ცხოვრობს ოჯახთან ერთად. მაშინვე დავიწყე ზრუნვა იმაზე, რომ უფრო დიდი ბინა მეყიდა. 1990 წელს გამოვეცი წიგნი — „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“, რომლის ტირაჟიც 10000 ეგზემპლარი იყო და რომელიც, სხვათა შორის, სულ რაღაც ორ კვირაში გაიყიდა, თითო — 10 მანეთად. საკმაოდ დიდი თანხა მომიგროვდა. იმავე წელს გამოვეცი პუბლიცისტური წერილების კრებულიც — „სამწუხარო პარალელები“, რომელიც რამდენიმე თვეში, ორჯერ გამოიცა. ამ კრებულმა 50.000 მანეთით გამამდიდრა. ერთი სიტყვით, იმ ფულით, რაც მაშინ ავიღე, ვაკეში ერთს კი არა, რამდენიმე ბინასაც იყიდდა კაცი. ზოგი დავხარჯე, ზოგიც გავასესხე და იქიდან სულ 40.000 დოლარი დამრჩა. ეს ფული გადავინახე და მეორედ რომ გამოვეცი „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“, 1995 წელს, ვიყიდე ბინა ატენის ქუჩაზე. ცოტა ვისესხე კიდეც. ერთი სიტყვით, საკუთარი შრომით შევიძინე, თანაც — ბევრად ადრე, ვიდრე პარლამენტარი გავხდებოდი... თუმცა, რამდენიმე წლის მთელი ჩემი ნაშრომი სულ იმ ბინას მოხმარდა. წელან მკითხეთ — უფულობას თუ უჩივითო? — და გიპასუხებთ: კომუნისტების დროს, ერთი წერილი დავწერე: „როდემდე ვიაროთ, უფალო, უფულოდ!“ კაცი, რომელიც მხოლოდ საკუთარი შრომით არჩენს ოჯახს, უფულობას ყოველთვის უჩივის, იმიტომ, რომ საკუთარი შრომით მდიდარი ვერასდროს გახდები!.. კი, ბატონო, დიდი თანხა ავიღე ჰონორარების სახით, მაგრამ ერთი ბინა ვიყიდე და მორჩა — მეტი ვერაფერი გავაკეთე. რა, როცა მოგშივდება, დავდები და სახლს შეჭამ?! 2000 წელს, ისევ გამოვეცი აღნიშნული სახელმძღვანელო და ისიც გაიყიდა.

„თანხა შეაგროვეს, ნაავარიები მანქანა შეარემონტეს და მაჩუქეს მშვენიერი ჯიპი...“

მართალია, ბატონ ნოდარს არც მემკვიდრეობით მოულია რამე და არც მის მეულლეს მოუტანია საარაკო მზითვი, მაგრამ დეკლარანტი ბედს მაინც არ უჩივის. ბოლოს და ბოლოს, თუ ძალიან გაუჭირდება, 40.000-ლარიან ავტოფარეხს როგორმე შელევა, გაყიდის და აღებული თანხით სამ წელიწადს მაინც გაუჭირვებლად აცხოვრებს ოჯახს...

— ბატონო ნოდარ, 40.000 ლარად შეფასებულ ავტოფარეხში 10.000-ლარიან მანქანას რომ აყენებთ, რაშია საქმე? რა, უფრო ძვირად ღირებული მანქანა ვერ შეიძინეთ?

— ავტოფარეხი ბინას თან მოჰყვა და რა ვქნა? მანქანა კი, 10.000-ზე მეტი არ ღირდა. 1991 წელს გამოშვებული „მერსედესი“ იყო, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ეგეც აღარ მყავს.

— გაყიდეთ?

— არა, მომპარეს, გასული წლის სექტემბერში. ვერანაირ კვალს ვერ მივაგენი დღემდე. რაც შეეხება იმას, თუ რატომ შევაფასე ავტოფარეხი ასე ძვირად — ჯერ ერთი, ფართია დიდია, სამი მანქანაც კი დაეტევა და მეორეც — ატენის ქუჩაზე ავტოფარეხების სიმცირეა და ამიტომ ადევს დიდი ფასი. თუმცა, გაყიდვა რომ დავაპირე, 20.000-ადაც ვერ გავყიდე. ასე რომ, თუ ვინმე იყიდის ამ ფასად, დიდი სიამოვნებით... ამ გარაჟის გამო, რომელიღაც გაზეთმა „გამაშაყირა“ კიდეც. კი, ბატონო, ნამეტანი ძვირად შემიფასებია; რეალურად, მისი აშენება 2.000 დოლარზე მეტი არ დაჯდებოდა. ჩვეულებრივი გარაჟია, მაგრამ ვაკეში თვითონ ადგილი ღირს ძვირი და ამის გამო, მე რას მერჩით?..

— ავტოფარეხის გაყიდვა რატომ გადაწყვიტეთ? გაჭირვების გამო?

— ერთი პერიოდი, ფული დამჭირდა და ვიფიქრე, გავყიდი-მეთქი...

— კარგი, გამოდის, რომ უმანქანოდ ხართ დარჩენილი?

— რამდენიმე თვე კი ვიყავი უმანქანოდ, მაგრამ მერე, მეგობრებმა გამომიწოდეს დახმარების ხელი. თანხა შეაგროვეს, ნაავარიები მანქანა შეარემონტეს და მაჩუქეს მშვენიერი ჯიპი. ჯერ არც კი გადმომიფორმებია. ახალთახალ მანქანას ჰგავს და ადრე, თუ 3.500 დოლარზე მეტად არ გაიყიდებოდა, ახლა ბევრად მეტადაც გაიყიდება.

— ეი. ამაზეა ნათქვამი — ზოგი ჭირი მარგებელიაო, არა?

— *(იცინის)* არა, მაინც ის სჯობდა, საჩუქრად რომ არ გამხდომოდა საქმე...

— მითხარით, რომ თქვენს დამხმარეებს შორის, მეგობრების გარდა, კოლეგებიც არიან. არ გაგვიმხელთ, ვინ დაგასაჩუქრათ მანქანა?

როდის ვარ ასეთ ხასიათზე? როცა ჯიბე აბსოლუტურად ცარიელი მაქვს!

— თუ დასჭირდებათ, არჩევნების დროს გადავუხდი მათ მადლობას...

— აკრძალული გაქვთ ამაზე ლაპარაკი?

— არა, აკრძალვით არ აუკრძალავთ, მაგრამ ნებართვა ხომ უნდა ვთხოვო მათ? იმ დროს, 3.500 დოლარის გაღების საშუალება კი მქონდა, მაგრამ თვითონ გაიღეს ეს თანხა და მე დამზოგეს. ამაში ცუდი არაფერია...

— ალბათ თქვენც ბევრჯერ გაგიმართავთ ხელი მეგობრებისთვის...

— ძალიან კარგ განწყობაზე ვდგები, როცა ჯიბეში იმდენი ფული მაქვს, რომ შემიძლია სხვებისთვის დახმარების გაწევა, ან ნაცნობ-მეგობრების სადმე დპატიჟება. ამ დროს, ძალიან ხალისიანი ვარ ხოლმე და გაგიკვირდებათ, მაგრამ კიდევ იცით, როდის ვარ ასეთ ხასიათზე? როცა ჯიბე აბსოლუტურად ცარიელი მაქვს! ჯიბეში ლარიანიც რომ არ გიდევს და მიდიხარ ცარიელ-ტარიელი, ესეც თავისუფლების ერთგვარი გამოხატულებაა... ეს რომ გაი-

გო, ცოტა რომანტიკულიც უნდა იყო კაცი...

— გამოდის, რომ უფულობის გამო არ ნერვიულობთ ხოლმე?

— არა, ამ დროს არ უნდა ინერვიულო — მაინც ხომ ვერაფერს შეცვლი ნერვიულობით? იცით, ის ამბავი, ხევსურს სიღარიბის გამო რომ დაიწუნებენ და ქალს რომ არ გაატანენ? მიდის ხევსური და თან თავს იმშვიდებს: „დაწუნებულიც კაი ვარ, ჩემო მთებო და ველებო...“ აი, მთავარი ეგ არის — არაფერიც რომ არა გაქვს და მაინც რომ გგონია: ასეც კაი ვარო...

— ასეთი ოპტიმისტი ხართ?

— რაც მოხდა, იმას ხომ აღარაფერი ეშველება? პესიმისტობითა და წუწუნით არაფერი გამოვა. მოკლედ, „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“, — ნათქვამია და ასეც არის...

— სიმართლე რომ გითხრათ, რაღაც არ მჯერა ეგ ამბავი... მაგრამ ახლა, სხვა რამ მინდა გკითხოთ: არც მაშინ განერვიულდით, უმზითვო მეუღლე რომ შეგხვდათ?

— რას ლაპარაკობთ? პირიქით — ძალიან გამიმართლა, ასეთი კარგი მეუღლე რომ მყავს და ასეთი კარგი ოჯახი რომ მაქვს მისი წყალობით. საერთოდ, რა საჭიროა მზითვი, ვერ გამიგია. ფული უფრო რაციონალურად რომ გამომეყენებინა, ალბათ უფრო მეტი ქონებაც მექნებოდა.

— რას გულისხმობთ? მხარჯველი იყავით?

— ჰო, ორი კაპიკიც რომ მქონოდა ჯიბეში, ფულის გადახდას ვერავინ დამასწრებდა ხოლმე.

„თუ გვაქვს ფული, ბედს არ ვემდურით...“

ბატონ ნოდარს წლების მანძილზე, მართალია, მცირე, მაგრამ გარკვეული თანხის გადანახვა მაინც მოუხერხებია. ძველს ახლანდელი — დეპუტატის ხელფასიც ემატება, ჰონორარებიც წიგნებიდან და როგორც თვითონ ამბობს — ეს ნამდვილად არ არის ცოტა, მაგრამ საკმარისი — მაინც არა!

— „საქართველოს ბანკში“ 1.000 ლარი გაქვთ, ნაღდ ფულად კი — 8.000 ლარი მიგინიშნებიათ დეკლარაციაში. სულ ეს არის, რისი გადანახვაც მოახერხეთ?

— გასესხებულიც ხომ მქონდა 15.000 ლარი?

— კი, უვადოდ გაგისესხებიათ ეს თანხა 2002 წლის იანვარში, თანაც — ზეპირი ხელშეკრულებით...

— აბა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? ისეთი მეგობრები და ახლობლები არ მყავს, რომ მომატყუონ. ერთ ამბავს მოგიყვებით. 1800-იან წლებში, მაშინ, როცა საქართველოში რუსები შემოვიდნენ, სასამართლოში თავადი თუმანიშვილი თურმე ვიღაც სომეხ ვაჭარს უჩიოდა: ამ კაცს 1780 წელს, ოქროს თუმნიანები ვასესხე და დამიბრუნოსო. მოსამართლემ ჰკითხა: კი, მაგრამ რაიმე საბუთი თუ გაქვს, რომ მართალს ამბობ და არ იტყუებიო? — საბუთი რომ მქონდეს, დამიბრუნებსო? — უკითხავს თავადს. — კიო, — უთქვამთ. წასულა და თან რაღაც ქსოვილის ნაკუწები მოუტანია. თურმე ათვალიერა და ათვალიერა ის ნაკუწები და იქიდან სათუთად შენახული ულვაშის ღერი ამოიღო: აი, საბუთიცო... ეს არის ყველაზე მშვენიერი სიუჟეტი ორი ეპოქის მიჯნის დასახასიათებლად. ასეთი ნდობა ქართველებს შორის, საბედნიეროდ, ახლაც არის... მეგობარმა ფული სესხად რომ მთხოვოს, ვერაფრით ვერ ვეტყვი: არ გენდობი და ნოტარიუსთან წავიდეთ-მეთქი. თვითონ რომ მითხრას ასეთი რამ, ძალიან მეწყინება და ფულსაც აღარ გამოვართმევ ასეთ კაცს. საქართველოში ნათესაობისა და მეგობრობის მადლი არ უნდა დაიკარგოს.

— თქვენ ბრძანეთ — გასესხებული მქონდაო. ახლა აღარ გაქვთ?

— დეკლარაცია ერთი წლის წინ შეივსო, ახლა, აღარც გასესხებული მაქვს და აღარც ანგარიშზე მიდევს ის ათასი ლარი.

— თქვენი მეუღლე სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერ-მუშაკად მუშაობს და 30 ლარს იღებს ყოველთვიურად, თქვენ კი 600 ლარი გაქვთ ხელფასი. გყოფნით ოჯახის შესანახად?

— მეუღლისგან განსხვავებით, მცირე ხელფასი არ მაქვს, მაგრამ მაინც არ არის საკმარისი... თუმცა, მე არც ვამბობ, მარტო ხელფასი მყოფნის და სხვა არანაირი შემოსავალი არ მაქვს-მეთქი *(ჰონორარი წიგნებიდან 35.000 ლარს აღწევს. — ავტ.)*. არც სახელმწიფოს ვპარავ რაიმეს და არც წილში „ვუჯდები“ ვინმეს — წიგნებს გამოვცემ და მერე ვიზოგავ ხოლმე იმ შემოსავალს. ზოგჯერ მეგობრებიც მეხმარებიან.

— საერთოდ, ხელგაშლილი თუ ხართ?

— თუ მდიდარ ხალხთან ერთად ვქეიფობ, მაშინ, სიმართლე რომ გითხრათ, არანაირი სურვილი არა მაქვს, გავიქცე და მე გადავიხადო, მაგრამ ჩემზე გაჭირვებულს ფულს არაფრით გადავახდევინებ. ზომიერი მხარჯველი ყოფილხართო, — შენიშნეთ. ზომიერი კი არა — ამაზე, გონიერი მხარჯველი უფრო ითქმის... რატომ უნდა გადავუხადო ფული იმ კაცს, რომელსაც დღეში აქვს ის შემოსავალი, რასაც მე წლების შრომის შედეგად ვიღებ?! წიგნი უცებ, ერთ დღეში ხომ არ იწერება! გარდა ამისა, მაჟორიტარი პარლამენტარი ვარ და რამდენი გაჭირვებული მაკითხავს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს...

— საჩუქრების მიძღვნა თუ გიყვართ, ვთქვათ, მეუღლისთვის, შვილისთვის? თუ აქაც ზომიერების გრძნობა არ გღალატობთ?

— არა, დანანებით არასდროს მენანება ფული. უბრალოდ, ძალიან უყურადღებო ვარ ამ მხრივ და თვითონ მახსენებენ — ესა და ეს თარიღი ახლოვდება და რა უნდა გვიყიდოო? თამთა ერთი კვირით ადრე იწყებს ხოლმე ამაზე საუბარს, მეუღლე კი, თვითონ არასდროს მთხოვს რაიმეს... ძალიან მოკრძალებული ოჯახი გვაქვს. თუ გვაქვს ფული, ბედს არ ვემდურით — რატომ გვაქვს-თქო? თუ არ გვაქვს და არც ამაზე გამოვთქვამთ წუთისოფლის სამდურავს. ხომ გითხარით — მე დიდი გაჭირვებაც გამომივლია და საკმაო ფულიც მქონია. ასე რომ, არც ერთი გამიკვირდება და არც მეორე... თბილისში ბინა ყველას აქვს და მეც რომ მქონდეს, რა გასაკვირია?! რომ არა ჩემი წიგნები, შეიძლება, დღესაც დიდ დიღომში, ისევ იმ ოროთახიან ბინაში მეცხოვრა...

ნოდარ გრიგალაშვილი ქალიშვილთან, თამთასთან ერთად

პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

ჩვენს ტრადიციულ კითხვაზე — რა თანხას შეადგენს ბატონი ნოდარის ყოველდღიური ჯიბის ფული? — დეკლარანტმა ასეთი პასუხი გაგვცა: ჯიბეში ზოგჯერ, 20 ლარი მაქვს, ზოგჯერ — 100, ზოგჯერ კი — სულაც არაფერი. მოკლედ, ხან ვემალები ყოველდღიურობის ორომტრიალს, ხან ვეძალებიო...

■

საქეიფოდ მისულმა სტუმარმა მასპინძელს ბყვია შუბლში ესროლა

ამ დღეებში, სასამართლოს წინაშე ოთხი განსასჯელი — 42 წლის მერაბ სამსონია, 40 წლის ანზორ ანდღულაძე და ძმები ჩხაიძეები — 24 წლის ლაშა და 23 წლის ლევანი წარდგნენ. მათ არაერთ მძიმე დანაშაულში, მათ შორის — დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში ედებათ ბრალი. განსასჯელთაგან ერთი — ანზორ ანდღულაძე დაპატიმრებული არ არის, ის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, რადგანაც პროკურატურა მას მხოლოდ დანაშაულის დაფარვასა და სხვისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაში ადანაშაულებს.

მერაბ სამსონია, ისევე, როგორც დანარჩენი სამი განსასჯელი, ოზურგეთელი გახლავთ. ცოლშვილიან, საშუალო განათლების მქონე, უმუშევარ და ადრე ნასამართლევ სამსონიას ამჟამად, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში ედება ბრალი. აღნიშნული დანაშაული, როგორც საქმის მასალებიდან ვიტყობთ, მან ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ჩაიდინა. გარდა ამისა, პროკურატურა სამსონიას, ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვასა და გადაზიდვაშიც ადანაშაულებს.

ბრალდების თანახმად, 1992 წელს, მერაბ სამსონიამ „მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდითა და საბრძოლო მასალით შეიძინა. როგორც თავად სამსონია აცხადებს, იარაღი მას აწ გარდაცვლილმა მეგობარმა აჩუქა. პისტოლეტს ის ოზურგეთის ტერიტორიაზე ყოფნისას ატარებდა.

2000 წლის 27 ნოემბერს, სოფელ ძიმითში სამსონიამ იქვე მცხოვრები კარლო ჩხაიძის ოჯახში მისვლა გადაწყვიტა. მისვლისთანავე, ამ უკანასკნელის შვილს — მინდიას ღვინო მოსთხოვა. ოჯახის დიასახლისმა — მზია ჩხაიძემ სუფრის გაშლა დაიწყო, მინდია კი ღვინისთვის გარეთ გავიდა. თავად კარლო ჩხაიძე მაგიდასთან დაჯდა. აღსანიშნავია, რომ სახლში ამ უკანასკნელის ორი მცირეწლოვანი შვილიშვილიც იმყოფებოდა. მერაბ სამსონიამ ოჯახის წევრების მისამართით არასასიამოვნო საუბარი წამოიწყო. ეს კარლო ჩხაიძეს არ მოეწონა, რის გამოც მათ შორის შელაპარაკება მოხდა. გაბრაზებულმა სამსონიამ ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო და კარლოს მიუშვირა. ამ უკანასკნელმა ურჩია: ღვთის გულისათვის, შეინახე ეს იარაღი, რამე უბედურება არ მოხდეს, შემთხვევით არ გაგივარდესო! ამ სიტყვების მიუხედავად, სამსონიამ პისტოლეტი კარლო ჩხაიძეს პირდაპირ შუბლში დაუმიზნა და ესროლა. ერთი გასროლის შედეგად, კარლო ჩხაიძე იატაკზე უსულოდ დაეცა. ამის შემდეგ, ბოროტმოქმედი იარაღს ოჯახის დანარჩენ წევრებსაც, მათ შორის — ბავშვებსაც უმიზნებდა და მოკვლით ემუქრებოდა. ბოლოს, იქაურობა მიატოვა და გაიქცა.

პროკურატურის ინფორმაციით, რამდენიმე თვის შემდეგ, მიმალვაში მყოფმა მერაბ სამსონიამ მორიგი დანაშაულის ჩადენა განიზრახა. 2001 წლის 6 ივნისს მან იარაღი — გადაჭრილი თოფი დაამზადა და ვინმე ჯამბულ ჭანტურიძის ოჯახის დაყაჩაღება გადაწყვიტა. ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ის თანასოფლელ ძმებს — ლევან და ლაშა ჩხაიძეებს დაუკავშირდა. მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ჯამბულ ჭანტურიძის და — რუსუდან ჭანტურიძე ახალი ჩამოსული იყო თურქეთიდან და გარდაცვლილი დედის ორმოცის გადასახდელად ფული ჰქონდა ჩამოტანილი. ბოროტმოქმედებმა სწორედ ამ თანხის და ძვირფასი ნივთების გატაცება განიზრახეს. ისინი შეიარაღდნენ და ჭანტურიძის ოჯახში შეიჭრნენ. ოჯახის წევრებს იარაღის მუქარით, ხელ-ფეხი შეუკრეს, რის შემდეგაც ფული და ოქრო მოითხოვეს. უარი რომ მიიღეს, ოთახები გაჩხრიკეს, თანხა — 1.000 ლარი და 210 ამერიკული დოლარი და ოქროულობა გაიტაცეს და მიიმალნენ.

განსასჯელებს აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის ჩვენება ჯერ არ მიუციათ. თუ რა პოზიცია აქვთ მათ პროკურატურის ბრალდებების გამო, სავარაუდოდ, მოწმეთა დაკითხვის შემდეგ შევიტყობთ. ■

„დაზარალებულებს ყაჩაღთა ვინაობა რომ სცოდნოდათ, მათ სახლებს გადაუნვავდნენ"

ხარიტონ აფხაზავას ოჯახზე 1992 წელს მომხდარი ყაჩაღური თავდასხმისა და იქვე ჩადენილი მკვლელობის ფაქტის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა უკვე მერვე თვეა, მიმდინარეობს. განსასჯელები — ვასილ ჯანგავაძე და ჩიბა ჯანელიძე თავს დამნაშავედ არ ცნობენ. მესამე პიროვნება — ბადრი ჟვანია, ვისაც პროკურატურა იმავე დანაშაულში სდებს ბრალს, გაქცეულია და მიმალვაში იმყოფება.

დაზარალებულთა თქმით, თავდამსხმელებს მათი ოჯახიდან ავტომანქანა „ჟიგულის" გატაცება უნდოდათ, წინააღმდეგობის გაწევისას, ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს და გადაჭრილი თოფიდან ტყვია ოჯახის უფროსს — ხარიტონ აფხაზავას ესროლეს. ეს უკანასკნელი ადგილზე გარდაიცვალა.

ვილერი წუწორია, განსასჯელთა ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„აფხაზავების ოჯახში, განზრახ მკვლელობის ჩადენის მიზნით არავინ მისულა. თავდამსხმელებს იქიდან მხოლოდ ავტომანქანის გატაცება სურდათ. აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების მიხედვით, ერთ-ერთი ყაჩაღი უნიღბოდ იყო. მიუხედავად ამისა, დაზარალებულებს ის, ისევე, როგორც ნიღბიანი, არ უცნიათ. ეს გამოძიების მასალებიდან ნათლად ჩანს, თუმცა, აფხაზავების ოჯახის წევრები მაინც საპირისპიროს აცხადებენ. ამბობენ, რომ უნიღბო ყაჩაღი ვასილ ჯანგავაძე იყო.

ამასთანავე ირწმუნებიან, თითქოს შემთხვევის ადგილას შვიდი თავდამსხმელი იყო, მაგრამ მათივე თქმით, სახლის ეზოში დასაყაჩაღებლად რატომღაც მხოლოდ ორი შევიდა.

დაზარალებულები, როცა ფაქტი ახალი მომხდარი იყო, ბოროტმოქმედთა ვინაობის შესახებ არაფერს ამბობდნენ. არც ჩვენებებში, არც განცხადებებში ისინი ჯანგავაძესა და ჯანელიძეს არ ასახელებდნენ. ვფიქრობ, რომ ამ პირებზე მაშინ, დაზარალებულები არც ეჭვობდნენ, რადგან ორივეს იცნობდნენ და დანაშაულთან მათი კავშირის შესახებ რომ სცოდნოდათ, ამას უთქმელად არ დატოვებდნენ. უფრო მეტიც – ორივეს სახლ-კარს გადაუწვავდნენ. სამართალდამცავებმა ჩიბა ჯანელიძე თავიანთი ინიციატივით დააკავეს, ეჭვობდნენ, რომ ის „ჯიჯელავების ბანდის“ ერთ-ერთი წევრი იყო. ამიტომაც, გამოძიება ისეთი გზით წაიყვანეს, თითქოს მას აღნიშნულ ყაჩაღობაშიც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. მოგვიანებით, „ჯიჯელავების ბანდასთან“ ჯანელიძის კავშირი გამოძიებით არ დადასტურდა. ყაჩაღობის ბრალდება კი, პროკურატურამ უცვლელად დატოვა“.

განსასჯელების ადვოკატები აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას მოითხოვენ. მათი თქმით, ძიება პროკურატურის მიერ არასწორადაა წარმოებული და საქმის მასალებში დაფიქსირებული ბევრი უზუსტობა უნდა გაირკვეს. პროკურატურა ადვოკატთა პოზიციას არ ეთანხმება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ წინასწარი გამოძიების დროს დაშვებული ხარვეზების გამო, განსასჯელები დღეისათვის პატიმრობაში არ არიან აყვანილნი და ისინი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან.

■

„გაგაცეგული გოგონას გაუპაგიურეგას ორჯერ შეეცადა“

ძმეგ შანიძეგს განსაკუთრეგით მძიმე დანაშაულეგისთვის ასამართლეგენ

უზენაესი სასამართლო ძმებს — ნოშრევან და ზაზა შანიძეებს ასამართლებს. 34 წლის ზაზას, ქურდობა, გაუპატიურების მცდელობა, ადამიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, ყაჩაღობა, ასაფეთქებელი ნივთის — ხელყუმბარის უკანონოდ მითვისება და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედება ბრალად. აღნიშნულ ბრალდებათაგან ერთი — გაუპატიურების მცდელობა ზაზა შანიძემ მაშინ ჩაიდინა, როცა ის ცოლის შერთვას აპირებდა.

რაც შეეხება ნოშრევან შანიძეს — პროკურატურამ მას უფრო მძიმე ბრალდება წაუყენა: ნოშრევანს, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებენ. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მკვლელობა მან ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩაიდინა. ნოშრევან შანიძეს ქურდობა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა, ტარება და სატრანსპორტო საშუალების გატაცებაც ედება ბრალად.

ძმები ნაწილობრივ ცნობენ თავს დამნაშავედ. საქმის მასალების მიხედვით, დანაშაული მათ 2000 წელს ჩაიდინეს. ოქტომბრის დასაწყისში, ზაზა შანიძემ ცოლის შერთვა გადაწყვიტა. მას ტყიბულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მცხოვრები არასრულწლოვანი გოგონა მოსწონდა, თუმცა, დარწმუნებულმა იმაში, რომ ეს უკანასკნელი და მისი მშობლები ამ ქორწინებაზე უარს იტყოდნენ, გოგონას მოტაცება განიზრახა.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ზაზა შანიძემ დახმარება ძმას – ნოშრევანს სთხოვა. იგი გამოძიებით დაუდგენელ ორ პირს დაუკავშირდა. გამოძიების მასალებში მათ „ვანო სანაძედ“ და „გიად“ მოიხსენიებენ, თუმცა, როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ამ პირთა ზუსტი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი ვერ დადგინდა. ზაზა შანიძე მათ შეუთანხმდა, რომ 2000 წლის 11 ოქტომბერს, შინიდან სკოლისკენ მიმავალ 16 წლის ს.გ-ს გზაზე ჩასაფრებოდნენ, მანქანაში ძალით ჩაესვათ და გაეტაცათ. როლები წინასწარ

გაინაწილეს და შეთანხმდნენ, რომ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, „გიას“ კუთვნილ ავტომანქანას გამოიყენებდნენ. გამოძიებისას სამართალდამცავებმა ვერც ამ მანქანის სანომრე ნიშნები დაადგინეს.

შანიძეებისა და მათი მეგობრების მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, გატაცებული, არასრულწლოვანი გოგონა მათ წყალტუბოს ზონის სოფელ სორმონის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ სააგარაკო ნაკვეთში უნდა მიეყვანათ. სწორედ იქ დახვდებოდა ნოშრევანი თავის ძმას და მას გოგონას გადამალვაში დაეხმარებოდა.

2000 წლის 11 ოქტომბერს, დილით, დაახლოებით 8 საათისთვის, ზაზა შანიძე, „ვანო“ და „გია“, ს.გ-ს სოფელ ჯვარისა და სოფელ ხორჩანის გზაგასაყართან დაელოდნენ. მალე გოგონაც გამოჩნდა. სკოლისკენ ის თავის მამიდაშვილთან ერთად მიდიოდა. შანიძე და მისი მეგობრები, გოგონებს მანქანით მიუახლოვდნენ და მათ წინ გაჩერდნენ. ზაზამ ს.გ-ს ხელი ჩაავლო და მიუხედავად ამ უკანასკნელის წინააღმდეგობისა, ის მანქანამდე ძალით მიიყვანა და სალონის უკანა სავარძელში ჩასვა. ამ მომენტში, შეშინებული და მომხდარით გაოგნებული, გოგონას მამიდაშვილი მოძალადეების ავტომანქანას წინ გადაეღობა, მაგრამ გამტაცებლებმა მისთვის გვერდის ავლა მაინც მოახერხეს. ისინი ადგილს დიდი სისწრაფით მოსწყდნენ და წყალტუბოსკენ გასწიეს. მას შემდეგ, რაც მოტაცებული გოგონა სოფელ სორმონში, ერთ-ერთ სააგარაკო სახლში მიიყვანეს, დაუდგენელი პირები ზაზა შანიძეს დასცილდნენ და მიიმალნენ.

მარტოდ დარჩენილმა ზაზამ ს.გ. მასთან ქორწინებაზე ვერ დაითანხმა. მაშინ გაბრაზებულმა, მისი ძალით დამორჩილება განიზრახა; გოგონა იქვე, საწოლზე წააქცია და მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას შეეცადა. ს.გ-ს მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გამო, მან განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო. ზაზა შანიძე თავისას მაინც არ იშლიდა და არასრულწლოვანი ს.გ-ს გაუპატიურებას მეორე დილითაც ეცადა. გოგონამ მისგან თავის დაღწევა ამჯერადაც მოახერხა. ძალადობის ჩადენის მცდელობისას, ზაზა შანიძემ ს.გ-ს სხეულზე არაერთი დაზიანება (სისხლნაჟღენთების სახით) მიაყენა.

იმავე საღამოს, დაახლოებით 10 საათისთვის, ზაზა შანიძემ ს.გ. იქვე მდებარე ტყეში წაიყვანა. ტყეში თავისი ძმა – ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ნოშრევანი უნდა შეხვედროდა. ნოშრევანმა გოგონა, ამ უკანასკნელის დამალვის მიზნით, აიძულა, ღამე ტყეში გაეთია. თან მას ავტომატის დემონსტრირებით აშინებდა და მოკვლით ემუქრებოდა. ამის შემდეგ, ძმებმა გოგონა თავიანთი ნაცნობების – ფურცხვანიძეების ოჯახში მიიყვანეს, სადაც ირწმუნებოდნენ, რომ ს.გ. ზაზას ცოლობაზე თანახმა იყო.

2000 წლის 13 ოქტომბერს, ზაზა შანიძემ ნაცნობის მიერ დაქირავებული ავტომანქანით, მოტაცებული გოგონა ღამის გასათევად ქალაქ ქუთაისში, მეგობრის ოჯახში მიიყვანა. აღნიშნულ ოჯახში შექმნილი სიტუაციითა და რაღაც მომენტში მოძალადეების ყურადღების გაფანტვით ს.გ-მ ისარგებლა და იქიდან გაიქცა. ზაზამ იფიქრა, რომ გოგონა აუცილებლად პოლიციის განყოფილებაში მივიდოდა და სამართალდამცავებს მოძალადეების ადგილსამყოფლის შესახებ ეტყოდა. ამიტომ, მეგობრის სახლიდან ისიც წავიდა და მიიმალა.

ამ ფაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ, მიმალვაში მყოფმა, ძმებმა შანიძეებმა მორიგი დანაშაული – ამჯერად, ყაჩაღური თავდასხმა ჩაიდინეს. 2000 წლის 23 ოქტომბერს, ისინი ვინმე წითაშვილს დაუკავშირდნენ, რომელთან ერთადაც ყაჩაღობის გეგმა შეიმუშავეს. გადაწყვიტეს, ტყიბულის რაიონის სოფელ გურნაში მცხოვრებ მამუკა ნანუკაშვილის ოჯახს დასხმოდნენ თავს. საამისოდ, ნოშრევან შანიძემ ზოგიერთი თანასოფლელის დახმარებით, სოფელ ჯვარიდან გურნაში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა გადაზიდა და ჩანაფიქრის განსახორციელებლად მოემზადა. იმავე საღამოს, ბოროტმოქმედები ნანიკაშვილების საცხოვრებელ სახლამდე ფეხით მივიდნენ, შემდეგ ეზოში შეაღწიეს, რამდენიმე წამში კი, შეიარაღებულები, იმ ოთახში შევარდნენ, სადაც ოჯახის წევრები სუფრასთან ისხდნენ და ვახშმობდნენ. ნოშრევან შანიძემ მაშინვე ჭერის მიმართულებით გაისროლა და ფული და ძვირფასი ნივთები მოითხოვა. ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა – მანუჩარ ნანუკაშვილმა ბოროტმოქმედთათვის წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტა და ნოშრევან შანიძის განიარაღებას შეეცადა. ამ მიზნით, მანუჩარმა მას გადაჭრილ თოფზე ხელი აუკრა. ნოშრევანს ასეთი საქციელი არ მოეწონა და რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა გაუწია. ამას, მასა და მანუჩარს შორის ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა. სწორედ მაშინ, ნოშრევან შანიძემ მანუჩარ ნანუკაშვილის მიმართულებით გაისროლა და ამ უკანასკნელს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა. ბოროტმოქმედებმა კი, მიზნის მიღწევის შემდეგ, იქაურობა მიატოვეს და მიიმალნენ.

სამართალდამცავებმა ძმები შანიძეები დააკავეს, თუმცა მათ პროკურატურის თანამშრომელთა წინაშე ჩადენილ დანაშაულებში თავი სრულად დამნაშავედ არ ცნეს. ამჟამად, სასამართლოში პატიმრის სახით წარმოდგენილი ნოშრევან შანიძე აცხადებს, რომ ყაჩაღური თავდასხმის დროს, განზრახ მკვლელობის ჩადენა მას არ სურდა. შანიძის თქმით, აწ გარდაცვლილ ნანუკაშვილს მან ფეხებში ესროლა. თუ რა განაჩენს გამოუტანს ძმებს სასამართლო, მომავალ კვირაში შევიტყობთ.

რუბრიკა მოამზადა
მეგი ცანავამ

ნინო იოსელიანი, საქართველოს სახელმწიფო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის, ავთანდილ იოსელიანის უფროსი ქალიშვილი, გასულ ზაფხულს პარიზიდან დაბრუნდა. X-XI კლასი მან აშშ-ში, ბოსტონში დაამთავრა, შემდეგ ხუთი წელი საფრანგეთში, ინტერნაციონალურ უნივერსიტეტში სწავლობდა. შეისწავლა სარეკლამო საქმე, პიარი, პრ-მოუშენი. თბილისში დაბრუნებულმა, საკუთარი პიარ-სააგენტო გახსნა და პირველი სერიოზული პროექტიც განახორციელა. „ბერიკონში“ გადაღებული საახალწლო „ფართი“ თემაზე — „70-იანი წლების დისკოთეკა“ — კვირაში ხუთჯერ ტრიალებს Fashion TV-ზე. ეს პირველი სერიოზული მცდელობაა იმისა, რომ ქართული სამოდელო ბიზნესი საერთაშორისო ასპარეზზე გავიდეს.

ნინო იოსელიანი Fashion TV-ზე ერთ პროექტის შეთავაზებასთან ერთად ფიქრობს იმიჯმეიკერობასთან

მართალია, ქართველი პოლიტიკოსები ამტკიცებენ — იმიჯმეიკერებთან ურთიერთობა არა გვაქვსო, მაგრამ ნინო ხმამაღლა აცხადებს, რომ ის პროფესიონალი იმიჯმეიკერია, არჩევნებს ელოდება, რათა ჩვენი პოლიტიკოსების იმიჯზე იზრუნოს. მისი პირველი კლიენტი, ზურაბ გუდავაძე იყო, რომელიც შარშან, პარლამენტარის გამოთავისუფლებული ადგილისთვის გამოცხადებულ არჩევნებში მონაწილეობდა. ნინოს მიაჩნია, რომ თავისი კლიენტის დადებითი მხარეებიც უნდა წარმოაჩინოს და უარყოფითიც, რადგან ტყუილი დაუშვებელია. საზღვარგარეთ ყველა პოლიტიკოსს ჰყავს პიარ-სააგენტო. პიარს თავისი სტანდარტები აქვს: ტყუილის შემთხვევაში სააგენტო იხურება, იმიჯმეიკერის საქმე კი სასამართლოს გარჩევის საგანი ხდება. მინიმალური პერიოდი, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკოსის პიარს სჭირდება, ერთი წელია. ამგვარი მომსახურება საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა.

ნინოს თავის პიარ-სააგენტოში შევხვდით. მომხიბვლელი და მხიარული იმიჯმეიკერი კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა და თავისი შორეული გგეშებიც გაგვიმხილა.

— რომელმა ქვეყანამ მოახდინა უფრო დიდი გავლენა შენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე — ამერიკამ თუ საფრანგეთმა?

— ამერიკის გავლენა დიდად არ მიგრძნია, რადგან, არ მომწონდა ამერიკული ცხოვრების წესი და ჩაცმის კულტურა. სკოლაში ყოველთვის განსხვავებულად მეცვა. არ შემეძლო მხოლოდ ბოტასებით და დახეული ჯინსით სიარული. პარიზმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. არ მიყვარს ბანალური, ჩვეულებრივი ტანსაცმელი. ვცდილობ, რომ ჩემი შენაძენი ყოველთვის ორიგინალური იყოს. საფრანგეთში ბევრი ბუტიკია, სადაც ახალბედა დიზაინერების მიერ შექმნილი ნამუშევრები იყიდება, თითოეულ მათგანს ემჩნევა, რომ ნაფიქრია და ამიტომ, დახვეწილია.

— ოჯახი როდის დადგა იმ ფაქტის წინაშე, რომ შენ გაქვს განსხვავებული გემოვნება, საკუთარი სტილი და იცვამ ისე, როგორც გინდა?

— ეს ყოველთვის იცოდნენ. მამაჩემს არ მოსწონს, როცა ზედმეტად ამოჭრილი კაბები მაცვია. თუ საღამოს კაბა მაცვია, რომელსაც დიდი „პრარეზი“ აქვს, მამა კითხულობს: „რა აცვია ბავშვს?..“ ახლა დაბალწელიანი შარვლები და ქვედაბოლოებია მოდაში, მამა აროტესტებს: „აუ, ჭიპი გიჩანს!“ მერე რა! ჭიპი ყველას აქვს-მეთქი! — ვამშვიდებ... თუმცა, ახლა ამასაც შეეგუა. ვარცხნილობას და მაკიაჟს ვერ ამჩნევს. შეიძლება, თმა ერთ დღეს შავად მქონდეს შეღებილი, მეორე დღეს კი — თეთრად, ის კი ამას ვერ შეამჩნევს...

— ეი. ვარცხნილობას ხშირად იცვლი?

— ძალიან. ერთი და იგივე ვარცხნი-

ამერიკის გავლენა დიდად არ მიგრძნია, რადგან, არ მომწონდა ამერიკული ცხოვრების წესი და ჩაცმის კულტურა

შევიძინე სხვადასხვა სურნელით არომატიზებული სანთელი

ლობა მბეზრდება. ორ თვეში ერთხელ ვიცვლი ფერს. მთავარია, მიხდებოდეს. ამ ბოლო დროს, მოკლედ შეჭრილ თმას ვატარებდი. ორი კვირაა, რაც დავიგრძელე. უმრავი ფერის თმა მქონია, მწვანე და სტაფილოსფერიც კი! მახსოვს, სკოლის მოსწავლე ვიყავი, თმა რომ გავიღიავე. დირექტორთან დამიბარეს. მომთხოვეს, რომ ისევ ჩემს ფერზე დამეყენებინა. დავიდე თმაზე საღებავი და მოხდა საოცრება — მწვანედ შემეღება! მეორე დღეს, მწვანე თმით რომ დამინახეს, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა...

— ცხადია, შენი ოჯახის წევრებისთვის საფრანგეთში ტანსაცმელს შეიძენდი. მათ გემოვნებას ითვალისწინებ ხოლმე თუ საკუთარი სურვილით არჩევ ტანსაცმელს?

— დედაჩემის და ჩემი დების გემოვნება კარგად ვიცი. ვიცი, მამას რა სტილი უყვარს. მის სურვილს და გემოვნებას ვითვალისწინებ. პრობლემა მხოლოდ ზომაშია. საფრანგეთში მისი ზომის მამაკაცი იშვიათობაა.

— საფრანგეთიდან ჩამოსული და საკუთარ გემოვნებაში თავდაჯერებული, ალბათ, სახლის დიზაინის შეცვლასაც შეეცადე...

— პარიზში უფრო თანამედროვე სტილის სახლი მქონდა. აქ ამის საშუალება არ არის. ამიტომ შევიძინე სხვადასხვა სურნელით არომატიზებული სანთელი, სხვადასხვა ფერის ქვებით სავსე ლამბაქები, დიდი აკვარიუმი, ასევე დიდი თევზებით. ცვლილებებს ყველანი უპრობლემოდ შეხვდნენ. ჩემი საძინებლის ფერებიც შევცვალე — კედლები გავაღიავე.

— ეი. ოჯახში ექსპერიმენტებს ატარებთ.

— თვითონაც უყვართ ექსპერიმენტები. სიახლეები ძალიან მოსწონთ.

— მშობლებისგან რა თვისება გამოგყვა?

— მამაჩემისგან გამომყვა დაძაბული სიტუაციის, იუმორით განმუხტვის უნარი. პარიზში, როცა გოგონები კინკლაობდნენ, მაშინვე ისე ვიხუმრებდი, რომ ყველას გაეცინებოდა...

— პარიზში ბევრ პრობლემას ხომ არ აწყდებოდი?

— ყოველთვის ჩემით ვწყვეტდი ნებისმიერ პრობლემას. ბუნებით ისეთი ვარ, რომ როგორც იქ ვიცვამდი, ისე ვიცვამ აქაც. პარასკევს და შაბათს მეგობრებთან ერთად დისკოთეკაზე მივდიოდით და იქ ვატარებდით დროს. თბილისშიც დავდივართ დისკოთეკებზე, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ღამის პირველი-ორი საათისთვის, უკვე შინ ვბრუნდებით, საფრანგეთში კი ამ დროს მივდიოდით და დილამდე ვრჩებოდით.

— თუ დაგამახსოვრდა როგორ დაგარიგეს მშობლებმა, როცა სასწავლებლად მიდიოდი?

— მამამ მითხრა: ჭკუით იყავი, შენი იმედი გვაქვსო. ეს ძალიან კარგად დამამახსოვრდა. მე არ გავაკეთებდი ისეთ რამეს, ჩემს მშობლებს რომ სწყენოდათ და გული სტკენოდათ...

— თუ გადაწყვეტ, რომ მამას ასიამოვნო, რა უნდა გააკეთო?

— დროულად უნდა მივიდე შინ.

— ალბათ მას ვერაფერს გამოაპარებ...

— რა თქმა უნდა — თუნდაც, მისი სამსახურიდან გამომდინარე...

— ეი. ოჯახის წევრები „გაშიფრულები“ ჰყავს?

— ნამდვილად. ყველაფერს ხვდება.

— როგორი დიასახლისი ხარ? სადილის მომზადება შეგიძლია?

— ბავშვობაში ნამცხვარს ვაცხობდი ხოლმე. ახლა აღარ ვაკეთებ. დედაჩემი თვეში ორჯერ თუ ამზადებს სადილს — ის სულ დიეტაზეა. ჩვენ ძირითადად, გარეთ გვიხდება ჭამა. ძალიან მიყვარს „სუში“, იაპონური და ჩინური სამზარეულო, ბრინჯის კერძები.

— პარიზში რაიმე კერძი თუ მოგნატრებია?

— ქოთნის ლობიო მენატრებოდა ხოლმე, რადგან ძალიან მიყვარს. ერთხელ, ქართველმა სტუდენტებმა, ჩემს სახლში ხინკალი გავაკეთეთ და უცხოელებსაც გავასინჯეთ. ძალიან კარგი გამოვიდა. ისე, პარიზში ქართული რესტორანი იყო, „ფიროსმანი“ ერქვა. იქ მხოლოდ სომხები მუშაობდნენ, მაგრამ ყველანაირი ქართული კერძი მზადდებოდა.

— შენს დაბადების დღეებს როგორ აღნიშნავთ ოჯახში?

— დედა სუნამოს მჩუქნის, მამა საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს — მირჩევს, სად გადავიხადო დაბადების დღე. თან მეკითხება: რა გინდა — სუნამო თუ სამკაულიო?

— ყველაზე დასამახსოვრებელი საჩუქარი რომელი იყო?

— პარიზში ჩემმა მეგობრებმა ლამაზი ბეჭედი მაჩუქეს, ფერებს იცვლიდა და ძალიან მომწონდა. საჩუქარი აუცილებლად ორიგინალური უნდა იყოს. ერთხელ, ჩემს მეგობარს ცოცხალი თევზები ვაჩუქე. თევზები ძალიან მიყვარს, ასევე — ძაღლი და თუთიყუშები, რომლებიც ჩვენს სახლში ცხოვრობენ.

— რას ყიდულობ ყველაზე ხშირად?

— ძალიან მიყვარს აქსესუარები: ბეჭდები, საყურეები, ჩანთები, ქამრები, ასევე — ორიგინალური ნივთები და კიდევ — პარფიუმერია.

— ყოველწლიურად იცვლი გარდერობს?

— ხშირად ვიცვლი სტილს. ერთი და იგივე ტანსაცმელი მბეზრდება. რაც შარშან მეცვა და მოდაში იყო, წელს უკვე თაროზე მიდევს.

— შენი დები აზრს თუ გეკითხებიან?

— ყოველთვის. მეც ვეკითხები ხოლმე: ეს მიხდება? მე ვფიქრობ, რომ რაც არ უნდა კარგი ტანსაცმელი იყოს — თუ არ გიხდება, არ უნდა ჩაიცვა. სულ ახლახან, მე და თამუნა ინგოროყვა პარიზში ჩვენებაზე

„მამაჩემს არ მოსწონს, როცა ზედმეტად ამოჭრილი კაბები მაცვია“

„ჰოტ კუტიურზე“ ვიყავით. წელს მოდაშია სპორტული ელემენტები. შეიძლება ჩაიცვა კლასიკური, ელეგანტური შარვალი, მაგრამ შესაკრავი ჰქონდეს „შნუროკებზე“. პრეტ-ა-პორტეს რაც შეეხება – ძალიან მოდაშია შარვლები ჯიბეებით, ქუდიანი, „ზმეიკიანი“ ზედა ჩასაცმელი და ჯიბეებიანი, სამხედრო ფორმის ზედები. ჭარბობს თეთრი და მწვანე (სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ფერი). მოდაშია მოკლე ჯინსი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი.

— როგორია შენი შეხედულება იმაზე, თუ როგორ იცვამენ ქართველები?

– ქალები ბევრად უკეთ იცვამენ, ვიდრე მამაკაცები. მაგალითად, ქართველი კაცები ცუდ ტონად მიიჩნევენ, თუკი მამაკაცს მოკლე და შემოტკეცილი მაისური აცვია.

— მამისთვის საქმროს გაცნობას რომ დააპირებ, წინასწარ თუ ეტყვი, როგორ უნდა ჩაიცვას, ბატონ ავთოს რომ მოეწონოს?

– სამი გოგო მყავს და სიძეც გოგო ყოფილაო, – იტყვის, სასიძო რომ მოკლე და მოტკეცილი ტანსაცმლით ნახოს... ალბათ ამ შემთხვევაში გამოსავალია, კლასიკური, ელეგანტური ჩაცმულობა... ჩემი ოჯახისთვის ყველანაირი მამაკაცი იქნება მისაღები – მთავარია, არ იყოს ნარკომანი და ცისფერი. მამას ძალიან უნდა, ბევრი შვილიშვილი ჰყავდეს; სამი გოგო ხართ – ცხრა შვილიშვილი მინდაო, – ამბობს. სულ მეკითხება: სწავლა კარგია, მაგრამ გათხოვებას არ აპირებო?

— მამის გაოცებას ახერხებ ხოლმე?

– ერთხელ მოხდა ისე, რომ მამაჩემს ვაშინგტონში საქმიანი შეხვედრები ჰქონდა, მე კი ბოსტონში ვსწავლობდი და არდადეგები დამეწყო. მაშინ ვვარჯიშობდი. მამასთან შესახვედრად რომ წავედი, ზურგჩანთაში ჩავაწყვე სამკილოგრამიანი გირები. გავფრინდი ვაშინგტონში. აეროპორტში მამაჩემი დამხვდა. გადამკოცნა და მითხრა: მომეცი ჩანთა, მე წამოვიღებო. რომ მივაწოდე, გაოცდა. ჩანთა ისეთი მძიმე იყო. გახსნა და ნახა გირები. კინაღამ გადაირია, სასტუმროში დღეში ორჯერ რომ ვვარჯიშობდი.

— მამის ავტორიტეტი ხშირად გამოგდგომია?

– რა თქმა უნდა. განსაკუთრებით ავტოინსპექტორებთან ურთიერთობისას მშველის ხოლმე. ვცდილობ, რომ მოძრაობის წესები არ დავარღვიო, მაინც მსაყვედურობენ ხოლმე – ვთქვათ, ხაზი აქ არ უნდა გადაგეკვეთაო, მაგრამ საბუთებს რომ მივაწოდებ, მაშინვე მიშვებენ. თუმცა ერთხელ, ჩემს დას მანქანას ართმევდნენ. ავთო იოსელიანი ვინ არის? ვისზე მელაპარაკებიო? – ეკითხებოდა თურმე ავტოინსპექტორი...

— რაიმე ხიფათი თუ შეგმთხვეევია?

– ამერიკაში სწავლის დროს, ტერიტორია გაყოფილი იყო – გოგონები და ვაჟები განცალკევებულ ტერიტორიებზე ვცხოვრობდით. ჩემთან ერთად სწავლობდნენ ჩემი ნათესავებიც. ერთ ღამეს, ძილში, კაკუნი ჩამესმა. თვალი რომ გავახილე, ფანჯარაში დავინახე შუქი. ძალიან შემეშინდა და ყვირილი ავტეხე. ნახევარი საათის შემდეგ, გოგონები ბეისბოლის ჯოხებით გავედით ეზოში და ვნახეთ, რომ ჩემს ფანჯარასთან რკინის ღობე გარღვეული იყო. ატყდა ერთი ალიაქოთი. პოლიცია მოვიდა. დაიწყეს ძიება. ივარაუდეს, რომ იქვე, ტყეში მანიაკი ცხოვრობდა, რომელიც ოთახში მივარდებოდა. მეორე დღეს, სადილის დროს, ჩემი ბიძაშვილი ბიჭი მომიახლოვდა და ჩამჩურჩულა: ქართველი არ ხარ – რამ შეგაშინაო?!. შემდეგ კი დაამატა: მე და ჩემი მეგობარი ვიყავით, თავზე „შახტიორის“ ქუდი გვეხურა, გვინდოდა გვენახა, როგორ იყავიო... რა თქმა უნდა, ეს ამბავი არ გავამჟღავნე, რადგან ორივეს გარიცხავდნენ. დიდი ხნის მანძილზე, სკოლა გაძლიერებული კონტროლის ქვეშ იყო. დღემდე არავინ იცის, სინამდვილეში რა მოხდა.

ჩემი ოჯახისთვის ყველანაირი მამაკაცი იქნება მისაღები – მთავარია, არ იყოს

— არასდროს დამდგარა თქვენს ოჯახში იმის საჭიროება, რომ პირადი დაცვა აგეყვანათ?

– არა. და ვფიქრობ, რომ არც ავიყვანდით: მე არ შემიძლია დაცვის ქვეშ ცხოვრება.

— როცა თქვენი ოჯახის გარშემო ჭორები ტრიალებდა, როგორ რეაგირებდი?

– ილაპარაკონ – ჩვენ ხომ ვიცით სიმართლე – ვეუბნებოდით ხოლმე ერთმანეთს.

— როცა ავთო იოსელიანი ტერორიზმში დაადანაშაულეს, რას განიცდიდა „ტერორისტის“ ოჯახი?

– მტკივნეულია, როცა ჭორი სიმართლეს არ შეესაბამება. ზოგჯერ ეს სასაცილოც კი ხდება, თითქოს მამა ტერორისტია, მე კი ბინ ლადენი ვარ.

— ნინო, შენი გეგმებიც გაგვიმხილე...

– ვაპირებთ, კასტინგი ჩავატაროთ, რომელზეც ჩამოვა სააგენტო „მეტროპოლიტენი“ და შეარჩევს ერთ ქართველ გოგონას, რათა მან საქართველოს სახელით, „მეტროპოლიტენის „მოდელ-უიქის“ დახურვაში მიიღოს მონაწილეობა. პარიზში რომ ვიყავით მე და თამუნა ინგოროყვა, მას წამოღებული ჰქონდა ფოტოები. ძალიან მოეწონათ ნინო ჩქარეული. საერთოდ, დასავლეთში აინტერესებთ ცხელი წერტილები. ასეთი ქვეყნების წარმოჩენა დიდ რეზონანს იწვევს.

— შენს სიმპათიას ყველაზე მეტად რომელი დიზაინერი ან მოდელი იმსახურებს?

– მომწონს მილა იოვოვიჩი, განსხვავებული ტიპაჟია. დიზაინერებიდან მომწონს გალიანო. ქართველი დიზაინერებიდან, ავთო ცქვიტინიძის ნამუშევრებს ხშირად ვყიდულობ. ასევე ძალიან მხიბლავს თამუნა ინგოროყვას ტანსაცმელი. მას იმ დონის ნამუშევრები აქვს, პარიზშიც თავისუფლად რომ გაიყიდება. ერთხელ იყო შემთხვევა, როცა უცხოელი მეგობრის მეჯვარეები ვიყავით მე და ჩემი დაქალი. ქორწილი ისეთ სასტუმროში გადაიხადა, სადაც მადონა და მისი დონის სხვა ვარსკვლავები დადიან ჩვენი კაბები სასტუმროს მენეჯერს ისე მოეწონა, რომ გვკითხა: ვისი კოლექციიდან არისო?.. გვინდა, Fashion TV-სთან ურთიერთობის გაგრძელება და გაღრმავება. „ფეშენ-კაფეს“ გახსნა უახლოეს მომავალში გვაქვს დაგეგმილი. ასეთი კაფე საქართველოში არ არსებობს. როგორც კი ამ პროექტს განვახორციელებთ, მაშინვე ახალ პროექტს შევთავაზებთ Fashion TV-ს...

■

ლელა ჭანკოტაძე

— ბატონო რობერტ, როგორც ჩანს, თქვენს იდეებს საზღვარი არა აქვს...

— უკვე დადგა დრო, რომ იმ ხალხს, ვინც ჩემგან ახალი ანსამბლის შექმნას მოელოდა, დავანახვო, რომ ტემპი ავიღეთ. თქვენ ახლა ამ ანსამბლის სახელოსნოში იმყოფებით. XX საუკუნის დასაწყისში, ამ სარდაფში სამღებრო იყო გახსნილი. ჩემს მეხსიერებაში, აქ თევზის მაღაზია მდებარეობდა, ახლა კი მე შევისყიდე. ბანკმა მომცა საშუალება, რომ სამი თვის განმავლობაში დამეფარა მისი ღირებულება — 6.000 დოლარი. აქ გავხსენით მუსიკალური სალონი, მაგრამ უფრო შორს მიმავალი გეგმები მაქვს. მინდა აქეთ-იქით მცხოვრები მეზობლები დავაკმაყოფილო ბინებით და მათი ფართიც შევისყიდო. უნდა გავაკეთო ესტრადის თეატრი, დაახლოებით 20 კაცზე. ეს ნამდვილად შორეული გეგმაა. ჯერჯერობით კი, დარბაზი მზად არის და 14 თებერვალს აღვნიშნავთ „ახალი ორერას“ დაბადების სამი წლისთავს. ზუსტად სამი წლის წინ, ჩემს ახალ ანსამბლს დავარქვი „ახალი ორერა“. ეს დღე დაემთხვა სიყვარულის დღეს. ყოველი დღე სიყვარულის დღეა, „ორერა“ კი ჩემი სულია, ჩემთვის ყველაფერია.

— რატომ დაარქვით „ორერა“ და არა „75“?

— დავარქვი „ორერა“, მაგრამ ანსამბლი დაემსგავსა „75“-ს. „ორერა“ იყო პირველი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი მთელ აღმოსავლეთში. ამ ნიშნით ის ენციკლოპედიაშიც კი მოხვდა. „ახალი ორერათი“ მინდა ქართულ ესტრადას დავუპირისპირდე, რადგან ბევრი რამ არ მომწონს. წელს, გაზაფხულის ბოლო დღეს გაიმართება ჩემი საღამო. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარვდგები მაყურებლის წინაშე „ახალ ორერასთან“ ერთად, აუცილებლად ვაჩვენებ მაყურებელს როკ-ოპერას — „საბრალონი“, რომელიც ფრანგულ ენაზე დავდგით. მოგეხსენებათ, უცხო ენების ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული ფრანგული ენის სპეციალობით. ჩემი ბავშვები ცოცხლად მღერიან. ჩანაწერი არც მაქვს. სამწუხაროდ, არავინ დაინტერესდა იმით, რომ ტელევიზიით ეჩვენებინა ეს როკ-ოპერა. თურმე ფული უნდა გადავიხადო, რომ ვაჩვენო ხალხს, რაც გავაკეთე.

— ეი. ეს შენობა იქნება თქვენი მოსწავლეებისთვის და საერთოდ, თბილისელებისთვის ხელოვნების სახლი?

რობერტ ბარძიმაშვილმა მუსიკალური სალონი გახსნა. ერთი შეხედვით პატარა ტერიტორია, მაქსიმალურად გამოიყენა და მიწის ქვეშ ნამდვილი ხელოვნების ზეიმი მოაწყო. ქვითა და აგურით ნაშენებ სარდაფში, მისი მოპირკეთების შემდეგ, საოცარი სილამაზე შეიქმნა. რამდენიმე კედელი გია ბულაძემ მოხატა. ამ სალონში სიყვარულის დღეს პირველი ღონისძიება ჩატარდება. „ახალი ორერა“ დაბადებიდან სამი წლისთავს აღნიშნავს.

თეატრი, რომელიც ბევრ დაიდგმას ბინას

— არ იფიქროთ, თითქოს ეს ახალი იდეაა. პირიქით — 30 წლის წინანდელი ჩანაფიქრი განვახორციელე. მაშინ, როგორც კი შევატყვე, რომ „ორერა“ ბერდებოდა, მოვინდომე მისი სიცოცხლის გახანგრძლივება. მაშინ თუმანიშვილის თეატრი არ არსებობდა. ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში, რომელთანაც კულტურის სფეროს მეურვეობაც შედიოდა, ვიკა სირაძე გახლდათ. მას ვუთხარი: მინდა, საქართველოში ესტრადის თეატრი შევქმნა-მეთქი. მან შემომთავაზა საპროექციო დარბაზი, რომელშიც ახლა თეატრია. იდეაც ძალიან მოეწონა, მაგრამ „ორერას“ მომღერლებმა უარი მითხრეს, — სტაციონარი არ გვჭირდებაო. უთანხმოების და ჩემი „ორერადან“ წამოსვლის მიზეზი ესეც გახდა. მერე შემომთავაზა კინოსტუდიის დირექციამ — კინოსა და ესტრადის თეატრი გახსენიო. ეს იდეაც მომეწონა. არავინ დამიდგა გვერდით, სულ მარტო დავრჩი. მხოლოდ ახლა, 30 წლის შემდეგ გამიჩნდა საშუალება, გავხსნა ესტრადის თეატრი. მე ხომ თან არ წავიღებ — თბილისს დარჩება კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა. გულწრფელად ვამბობ: დახვეწილი, რაფინირებული ეგოისტი ვარ. მინდა ჩემს მოსწავლეებს ვახსოვდე. მინდა, თბილისს კიდევ ერთი მშვენიერება ვაჩუქო...

პლეხანოველები დიდი ხანია ცდილობენ იმის გარკვევას, თუ რატომ გაჩნდა ერთ-ერთი შენობის ქვემოთ გემის ტიპის უცნაური აივანი, ისინი არ ცდებიან — ამ ადგილას მართლაც უზარმაზარი „ვემი ჩაუშვებს ღუზას“. ეს თეატრის ვესტიბიული იქნება, რომელიც სპეციფექტების საშუალებით ისე განთდება, რომ აქაფებული ზღვის, უკიდეგანო სივრცისა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის შთაბეჭდილებას შექმნის. რობერტ ბარძიმაშვილს ნავი — „შოთა რუსთაველი“ უკვე აქვს. ეს ნავი მას ფოთელმა მეზღვაურებმა აჩუქეს. როგორც ბოლოს მითხრა, მისი იდეების ხორცშესხმას ერთი სიცოცხლე ნამდვილად არ ეყოფა... ■

ნდობის ტელეფონი
ჯონსონ ენ ჯონსონ
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ჰიგიენ“, „ჯენსელი“,
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის

უბის წიგნაკიდან:

1. ლაზურად მაჭანკალს ელჩი ჰქვია.
2. ჯორდანო ბრუნო ძალზედ პრინციპული ადამიანი იყო.
3. მდინარეში ჩახერგილ წვრილ ხეებს, ჩხნდეს ეძახიან.
4. ცნობილი ავტომრბოლელი, ნიკი ლაუდა ავსტრიელი იყო.
5. პარიზში, სენაზე 43 ხიდია გადებული, თბილისში, მტკვარზე — ათი.
6. გუსტავ ეიფელი უმაღლესი სასწავლებლის მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრა.
7. „გეომეტრიის წყალობით, ყველაზე ღრმა გრძნობები იბადება", — ამბობდა როდენი.
8. პლანეტა მარსის ღერძული ბრუნვის პერიოდი 24 საათი 37 წუთი და 22,7 წამია.
9. „მე გამასამართლებენ, როგორც ბავშვები ასამართლებენ ექიმს", — ამბობდა სოკრატე.
10. ყაზბეგის რაიონში მდებარე კლდოვანი მწვერვალი ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს.
11. ქართლის მეფე ლუარსაბ II შაჰ-აბასის ბრძანებით შირაზის ციხეში საბლით დაახრჩვეს.
12. დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხი თვლის ათ ან ხუთერთეულიან სისტემას იყენებს, რადგან ადამიანს თითოეულ ხელზე 5 თითი აქვს. იუკის ტომის ინდიელები კი ოთხი ერთეულით ითვლიან. ისინი თითებს შორის არსებული დაშორებებით ანგარიშობენ.
13. „უბედურებაა, როცა ქალაქის ერთ კვადრატულ მეტრზე კაცს 5 მათხოვარი გხვდება", — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში კოტე ყუბანეიშვილმა.
14. „არ მიყვარს ეს ქალაქი, ძვირია და ჭუჭყიანი", — ამბობდა პარიზის შესახებ ჰემინგუეის „ფიესტას" ერთ-ერთი პერსონაჟი.
15. იარაღულები სოფელია თიანეთის რაიონში, იაშთხვა — სოხუმის რაიონში, იაყუბლო — დმანისის რაიონში.
16. ვარაუდობენ, რომ კოლუმბამდე ამერიკა VI საუკუნეში ირლანდიელმა ბერმა, ბრენდანმა აღმოაჩინა. კონტინენტის მეორე აღმომჩენად (დაახლოებით 1000 წელს), ლეივ ეირიკსონს მიიჩნევენ.

17. იმის მიხედვით, თუ როგორ პოზაში სძინავს კატას, შესაძლებელია იწინასწარმეტყველო, როგორი ამინდი იქნება მეორე დღეს: თუ კატა მოკუნტული წევს, ე.ი. თბება და აცივებას უნდა ელოდოთ; თუ გაშოტილი წევს, მეორე დღეს თბილი ამინდი იქნება.
18. პოეტმა ქალმა, ალინა ვიტუხნოვსკაიამ ბუტირკის ციხეში ერთი წელი გაატარა

სახელების ანატომია

და მათი „მოფერებით-ჩახუტებითი" ფორმები

ავთო მარგველაშვილი

ადამიანის ვინაობა სახელით იწყება. ეს ის სიტყვა-„პაროლია", რომლითაც მას ურთიერთობა უწევს სხვა ადამიანებთან. იყო დრო, როცა მოდურად ითვლებოდა მშობლების სახელების შერწყმით მიღებული სახელის დარქმევა. მაგალითად: ლენასა და გრიშას ვაჟკაცს ლენგრი ერქვა, დიმიტრისა და ლამარას მოსწრება-ქალიშვილს — დილა, გალაქტიონისა და ზინას სიყვარულის ნაყოფს კი, გაზი და ა.შ.

როგორია — კაცმა ჯერ შვილის შექმნაში ოფლი ღვარო, მერე ცოლს ცხრა თვე მუცლით ატარებინო, ღმერთმა ვაჟს მოგასწროს და იმის გამო, რომ ცოლს ზანდა ჰქვია და შენ გივი, შვილს ზანგი დაარქვა და სიცოცხლე გაუმწარო?!.

ამიტომ, ჭკუა-გონებით განთქმულმა ქართველმა კაცმა ეს პრიმიტიული მეთოდი მალევე უარყო და სახელების დარქმევის ახალ ფორმას მიაგნო, რომელიც მშობლების და განსაკუთრებით, მამის ემოციას გამოხატავდა. რა არის იმაზე უკეთესი, როცა შვილს ჰქვია გელოდი, არველოდი, მინდოდი, სად იყავი აქამდე, არ მინდოდი, მაგრამ ექიმს არ ეცალა, და სხვა... ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ გაიზრდებოდა ეს შვილი და, მოსწონდა თუ არა მშობლების არჩევანი, მაინც მთელი ცხოვრება უნდა ეტარებინა. არადა, სახელის გადარქმევა პრობლემებთანაც იყო დაკავშირებული და ცოტა არ იყოს, სირცხვილადაც ითვლებოდა.

მერე ცხოვრებამ ახალი მოდა მოიტანა, მშობელი შვილის მომავალზე სახელის დარქმევითაც ზრუნავდა და პოლიტიკური ბელადების გვარ-სახელებსა და პარტიულ ფსევდონიმებს აჯვარებდა. გაჩნდა სახელები:

ლენსტალბერი — ლენინი, სტალინი, ბერია;

დისტალგო — დიდ სტალინს გოუმარჯოს;

მელორი — მარქსი, ენგელსი და ლენინი ოქტომბრის რევოლუციონერები იყვნენ (ლენინი კიდევ — ჰო, მაგრამ არსად წამიკითხავს, რომ მარქსსა და ენგელსს შტურმით აელოთ ზამთრის სასახლე ან „ავრორას" ზალპის დროს ყურებზე მიეჭიროთ ხელები).

ასეთი სახელების მატარებლებს პარტიაშიც სიამაყით იღებდნენ და თანამდებობასაც იოლად ანდობდნენ. მშვენიერი ტენდენცია იყო! ახლაც ხომ შეიძლება, ბავშვს დაარქვა მოკა — მოქალაქეთა კავშირი, ბუდე — ბურჯანაძე-დევდარიანი, კალბასი — კალანდია, ბალათურია, სიორიძე; დამეკარგე — დავითაშვილი, მერაბიშვილი, კარტოზია, გელბახიანი (რაც მეტ პარტიას მოიცავ, უკეთესია!) და სხვა... მაგრამ იმის მაგივრად, რომ მამამ ჭკუა იხმაროს და ასეთი სახელის დარქმევით თავიდანვე გაუადვილოს შვილს პოლიტიკური კარიერის შექმნა, სულ სხვა მოდა შემოვიდა და ისეთი სახელები მოიტანა, რომელიც ძირეული სახელის კნინობით-ალერსობითი ფორმის მესამე-მეოთხე საფეხურია და „მოფერებით-ჩახუტებით" გრამატიკულ ფორმას უფრო წარმოადგენს: ქეთათო, აკა, ნეკა, აჩი, ბაჩი, კუკა, ტუკა და სხვა. მოკლედ, თუ თვალით არ ნახე ადამიანი, მარტო სახელითვერ მიხვდები, ბიჭია თუ გოგო. თუმცა, ხშირად ეს თვალითაც ძნელი გასარჩევია...

ამ თემამ ისე გამიტაცა, რომ მარტო საკუთარმა აზრმა აღარ დამაკმაყოფილა და უფრო ჭკუასაკითხავი ადამიანებიც დავიხმარე:

მარინა მოლოდინი:

— ჩემს ნაცნობებში მგონი, ასეთი უცნაური სახელი არავის ჰქვია.

— როგორ აფასებთ ტენდენციას, რომელმაც, საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში იჩინა თავი? ვგულისხმობ ისეთი ძველი ქართული და „ბიბლიური" სახელებისკენ შემობრუნებას, როგორებიცაა: მათე, ლუკა, ნოე და სხვა?

— რა თქმა უნდა, დადებითად. რწმენისაკენ შემობრუნება მოხდა. 70 წელი ებრძოდა საბჭოთა იდეოლოგია ეკლე-

სიას. გამოცდასაც კი ვაბარებდით ათეიზმში. ძალიან მიხარია, რომ ჩემი შვილებიც პირველკლასელები იწერენ და ლოცულობენ დილა-საღამოს.

— რა აზრისა ხართ მეორე, უფრო ახალ ტენდენციაზე, რომელიც ქართული სახელების თანამედროვე ინტერპრეტაციებში გამოიხატება?

— არ დაგიმალავთ — არ მომწონს. ვშაყირობთ კიდეც მე და ჩემი შვილები, როცა ტელევიზიით აცხადებენ ასეთ სახელებს. ქართული სახელები ისეთია, რომ არ სჭირდება გადაკეთება, რომელიც ამახინჯებს მას.

— თუ არ ვცდები, თქვენს შვილებს, ცოტნე, გიორგი და ნინო ჰქვიათ.

— დიახ. თუ შეიძლება, ერთ სასაცილო ამბავს მოგიყვებით ამასთან დაკავშირებით.

— სიამოვნებით მოგისმენთ...

— ტყუპი ბიჭი რომ შეგვეძინა, ცოტნე და გიორგი დავარქვით. ცოტნე არ იყო მაშინ იმდენად გავრცელებული და ცნობილი სახელი. ჩვენს სოფელში ეს ამბავი რომ ჩავიდა, ცოტნე ვერ დაუმახსოვრებიათ მეზობლებს და ამბობდნენ: კობას და მარინას გიორგი და მაცნე ჰყავთო (მაშინ „პირველი არხის" საინფორმაციო პროგრამას „მაცნე" ერქვა). თურმე ფიქრობდნენ, რომ კობამ მამამისის სახელი — მათე „გაათანამედროვა" და ამიტომ დაარქვა ბიჭს მაცნე. ერთს კი უთქვამს: მათე რა შუაშია? — მაცნეც ხომ სახელია, არ გაგიგონიათ? — მაცნე მოვიდა შატილსაო...

— მოგეხსენებათ, რომ ადრე, არავითარ შემთხვევაში არ ჩაგიწერდნენ ბავშვის დაბადების მოწმობაში სახელის კნინობით ფორმას. დღეს კი, ჩაიდანი რომ დაარქვა შვილს, უპრობლემოდ ჩაგიწერენ. სწორად მიგაჩნიათ ეს თუ არა?

— ესეც ცუდია და არ მიმაჩნია სწორად. საპასპორტო მონაცემები არის ადამიანის პიროვნების დამადასტურებელი ფაქტი და საბუთში მაინც უნდა იყოს დაცული სახელის ნამდვილი, ძირეული ფორმა.

— რატომ ცდილობს დღეს თამარი, გახდეს თათა, ქეთევანი — ქეთათო, არჩილი — აჩი და ა.შ.? ეს პროვინციალიზმის ერთ-ერთი გამოხატულებაა თუ ცივილიზაციის ლოგიკური შედეგი?

— რა თქმა უნდა, ეს ჩვენი პროვინციალიზმის დადასტურებაა, მცდელობა იმისა, რომ ორიგინალურები ვიყოთ.

— ქალისა და მამაკაცის რომელი სახელები მოგწონთ განსაკუთრებით?

— ჩემი უსაყვარლესი სახელები ჩემს შვილებს დავარქვი. კიდევ მინდოდა, მყოლოდა ერთი გოგო და თეკლა დამერქმია, მაგრამ ასე არ მოხდა...

ვახტანგ რჩეულიშვილი:

— რა თქმა უნდა, იყო უცნაური სახელები, პირადადაც ვიცნობ: ერთს მელორი ჰქვია, მეორეს — დევი.

— მელორის გაშიფრული ვარიანტი ვიცი, მაგრამ როგორ იშიფრება დევი?

— Дитя эпохи Владимира Ильича.

— ო, გადასარევი სახელია! ჩვენ ყველანი „დევები" ვყოფილვართ, თქვენ როგორი სახელები მოგწონთ — თანამედროვე ინტერნაციონალური, თუ ძველქართული, თუნდაც წმინდანთა სახელები?

— წმინდანთა სახელებს ისევ არქმევენ საქართველოში. თანდათან ძლიერდება ეს ტენდენცია და მეც მივესალმები. ეს იმან განაპირობა, რომ გაჭირვებაში მყოფი მიხვდა — შველა მხოლოდ ღმერთშიაო, — და ამიტომაც შემობრუნდა ეკლესიისკენ.

— სახელების კნინობით ფორმებზე რას იტყვით?

— ამაშიც ცუდს ვერაფერს ვხედავ. მეც მყავს სახლში პატარა კუკა. ასეთი მოფერებითი სახელები და „კლიჩკები" უფრო, ტელეშოუს და ესტრადის ვარსკვლავებს მოსწონთ და სჭირდებათ, ალბათ იმიჯისა და ორიგინალურობისათვის. ეს არის სურვილი საკუთარი თავის დამკვიდრებისა და თუ ამას მოახერხებენ — კი, ბატონო!

— მოგეხსენებათ, ადამიანი თავის სახელს ვერ ირჩევს. როცა გაიზრდება, მერე ხვდება, რომ მოსაწონი ან არმოსაწონი სახელი ჰქვია.

— გეთანხმებით. მშობლები ხშირად არქმევენ შვილებს ისეთ სახელებს, რომელიც ბავშვებს არ მოსწონთ და ამით კომპლექსი უჩნდებათ. მე, მაგალითად, გარსევანი მომწონს. შვილიშვილს ველოდები, მაგრამ ჩემს საყვარელ სახელს ვერ დავარქმევ, რადგან რომ გაიზრდება, იქნებ, არ მოეწონოს.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლევალი
უბის წიგნაკიდან:

ცრუ ბრალდებით. პატიმრობის მესამე კვირას, მან კედელზე დაწერა გეგმა, თუ რა უნდა გაეკეთებინა ციხიდან გამოსვლისას. გეგმა სულ ორი პუნქტისაგან შედგებოდა: 1. ცხელი აბაზანის მიღება; 2. მთავრობის ჩამოგდება.

19. ყველაზე კარგი ფუნჯები სიასამურის, მაჩვის, ციყვისა და კამეჩის ბეწვისაგან მზადდება.

20. რამდენიმე წლის წინ, ისრაელის ქალაქების ქუჩებში გაჩნდა ცნობილი ფირმის სარეკლამო დაფები, რომელიც ებრაელ სასულიერო პირთა მოთხოვნით, მალევე ჩამოხსნეს. დაფებზე ფირმის პროდუქცია — ფეხსაცმელი იყო გამოსახული და ქვეშ ეწერა „აი, მესია მოდის".

21. იყო შემთხვევა, როცა ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში შერიფის პოსტის ორმა პრეტენდენტმა თანაბარი რაოდენობის ხმები დააგროვა, რის შემდეგაც ეს პოსტი კენჭისყრით, ე. წ. „არიოლ-რეშკას" პრინციპით გათამაშდა. პოსტი ერგო პრეტენდენტს, რომელმაც „არიოლი" აირჩია.

22. „ქრისტები საქართველოში 175 წლის წინ არიან ჩამოსულები და ამას კაცურად ამბობენ, განსხვავებით სხვა ეთნოსებისგან, რომლებიც ამტკიცებენ — საქართველოს ტერიტორიის ძირძველი და აბორიგენი მოსახლეობა ვართო ", — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში მამუკა არეშიძემ.

23. იმ უამრავ სუვენირს შორის, რომელსაც ტურისტებს ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანზე სთავაზობენ, არის აუდიოკასეტა, სადაც ჩაწერილია სროლის ხმები და აღშფოთებული ხალხის ხმაური. ეს ჩანაწერი 1981 წლის 13 მაისს, რომის პაპზე თავდასხმის დროს არის გაკეთებული.

24. მხატვარმა ზევსკისმა დახატა ბიჭი, რომელსაც ხელში ყურძენი ეჭირა. ნახატი ისეთი რეალისტური გამოვიდა, რომ სურათს ჩიტები ეხვეოდნენ ყურძნის მარცვლების ასაკენკად. ამ ამბავმა ყველა აღაფრთოვანა, გარდა თავად მხატვრისა, რომელმაც განაცხადა: „ბიჭიც რომ ისე კარგად იყოს დახატული, როგორც ყურძენი, ჩიტები დაფრთხებოდნენ".

25. ერთხელ, ვალერიან კუიბიშევის თანაშემწემ თავისი ხელქვეითი დაუდევრობისათვის გამოლანძღა. კუიბიშევმა შენიშნა — ყოველივე ამის თქმა უფრო რბილადაც შეიძლებოდა. „ხელმძღვანელს მტკიცე ხასიათი უნდა ჰქონდეს", — შეეპასუხა თანაშემწე. „მართალია, — დაეთანხმა კუიბიშევი, — ხასიათი მამაკაცის ასოსავითაა: რაც უფრო მტკიცე და მაგარია, მით უკეთესია, მაგრამ ხასიათი, ისევე, როგორც ასო, ყველას კი არ უნდა აჩვენო!.." ■

— თქვენი საყვარელი სახელები?

— ქალის — რა თქმა უნდა, მაია *(იცინის)*, მამაკაცის — გურამი და გარსევანი.

ხათუნა ხოფერია:

— ახლა ვერ ვიხსენებ ვინმეს უცნაური სახელით, მაგრამ ერთ უცნაურობას გეტყვით: სენაკში ცხოვრობს კაცი, რომელიც მამაჩემის მეგობარია და მეც კარგად ვიცნობ და რომელსაც ჰქვია ხათუნა. თურმე, მე რომ დავიბადე, მამაჩემისთვის უსაყვედურია: შეგარცხვინა ღმერთმა! გოგოს როგორ დაარქვი ჩემი სახელიო?!.

— ქალბატონო ხათუნა, ადამიანის გაცნობამდე წინასწარ თუ გექმნებათ მასზე წარმოდგენა სახელის გამო?

— ძალიან ხშირად. სახელითა და გვარით ჩემს წარმოდგენაში დავხატავ მის გარეგნობას და იმდენად ვიჯერებ, რომ თუ სხვანაირი აღმოჩნდა, ვფიქრობ — ალბათ ის არ არის-მეთქი. ისეც ხდება ხოლმე, რომ, ვთქვათ, ადამიანს ჰქვია ქეთინო, ჩემთვის წარმოვიდგენ, რომ მას სხვა სახელი შეეფერება, ან რომელიმეს ავიკვიატებ და დიდი ძალისხმევა მიწევს, რომ ქეთინოს არ დავუძახო რუსიკო და სხვა ამგვარი...

— რელიგიურ მოღვაწეთა სახელების დარქმევას როგორ აფასებთ?

— პროგრესული ნაბიჯია. ბოლო წლებში, დაიწყო წმინდანთა სახელების დარქმევა. ე.ი. ვუახლოვდებით ეკლესიას და პატივს მივაგებთ რელიგიურ საწყისებს. ეს 70-იანი წლების ცოდვების მონანიებას ნიშნავს. ჩემს შვილიშვილს, რომელიც ერთი თვის წინ დაიბადა, მშობლებმა ლუკა დაარქვეს, რადგან წმინდა ლუკას დღე ახლოვდებოდა და მე ბედნიერი ვიყავი ამით. ადამიანს რომ წმინდანის სახელი ჰქვია, ე.ი. ეს წმინდანი მისი მფარველია. სხვათა შორის, ჩემი ნამდვილი სახელი ნინოა და ყოველდღიურად ვლოცულობ: „ევედრე ღმერთსა ჩემთვის, წმინდაო სათნოო ღვთისაო ნინო, რამეთუ გულმოდგინედ შენდამი მოვილტვი, ვითარცა მსწრაფლშემწისა და მეოხისა სულისა ჩემისათვის!..“

— მოფერებითი სახელები როგორ მოგწონთ?

— ცუდი არაფერია იმაში, თუ მოფერებითი სახელებით ბავშვებს მიმართავ, მაგრამ სასტიკად მაღიზიანებს, როცა ეს ბავშვები, უკვე გაზრდილები, ისევ კნინობითი სახელებით მიმართავენ ერთმანეთს. არა მგონია, აჩიში და ბაჩიში გამოიხატებოდეს ცივილიზებულობა და თანამედროვეობა. შეიძლება, ხელოვნების სფეროში ეს სჭირდებათ: მოგეხსენებათ, ჰოლივუდის ვარსკვლავებიდან არც ერთს არ ჰქვია ის სახელი, რომელსაც მანამდე ატარებდა. ცდილობენ, ადვილად დასამახსოვრებელი და ცნობილი სახელები დაირქვან.

— თქვენ როგორ მიმართავთ შვილებს?

— იცით, ჩემმა 12 წლის ბიჭმა შენიშვნა მომცა — ბექუნას ნუ მეძახიო! სამომავლოდ, ბექაც არ მოსწონს და უნდა, სრული სახელით — ბაქარით მიმართონ.

— რომელი სახელები მოგწონთ?

— ქალისთვის ნინო მიყვარს ძალიან, მამაკაცისას კი, ნუ მათქმევინებთ, იმიტომ რომ მყავს მეუღლე, შვილი და ორი შვილიშვილი, ესენი ჩემი უსაყვარლესი მამაკაცები არიან, თავიანთი სახელებითურთ. საერთოდაც, მე მგონი, ადამიანი უნდა გიყვარდეს და მერე, მისი სახელი.

მიხეილ მაჭავარიანი:

— ვიცნობ ადამიანს უცნაური სახელით: მელორ ტყეშელაშვილს.

— თუ შეგიძლიათ, ადამიანის გარეგნობაზე იმსჯელოთ მისი სახელიდან გამომდინარე?

— მაქვს ასეთი თვისება და თქვენ წარმოიდგინეთ, 60% ემთხვევა კიდეც, 40%-ში ვცდები.

— წმინდანების სახელების დარქმევის მომხრე თუ ხართ?

— რა თქმა უნდა, მომხრე ვარ. ძალიან მომწონს წინაპრის სახელის დარქმევაც. მაგალითად, მამაჩემს ვარდენი ერქვა. მიყვარს ეს სახელი და ჩემს შვილს ვადო დავარქვი.

— მოფერებითი სახელები მოგწონთ?

— ამასაც ნორმალურად ვაფასებ. ადამიანის სრული უფლებაა, რაც უნდა, ის ერქვას. თუ სურს, სახელითაც ორგინალური იყოს, ეს მისი ნებაა.

— უნდა იყოს თუ არა პასპორტსა და დაბადების მოწმობაში დაფიქსირებული მისი ნამდვილი, სრული სახელი?

— არ არის აუცილებელი. მშობლები უნდა ეცადონ, რომ არ დაარქვან შვილს ისეთი სახელი, რომელიც კომპლექსსა და პრობლემებს შეუქმნის. თუმცა, ყველას შეუძლია, სახელი შეიცვალოს და პასპორტშიც სასურველი ჩაწეროს.

— რომელი სახელები მოგწონთ?

— დედაჩემის სახელი — მარინე. კარგი სახელებია აგრეთვე: სოფიო, ნინო, ვარდო... კაცის სახელებიდან ყველა ნორმალურია. საერთოდ, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე სახელი არ მომწონს. ასე რომ, ამ მხრივაც ნამდვილი დემოკრატი ვარ...

...გადავწყვიტე, რომელიმე პოპულარულ პიროვნებას დავკავშირებოდი, რომელსაც განსხვავებული სახელით ან მეტსახელით იცნობენ და მათი აზრიც შემომეთავაზებინა თქვენთვის.

დუტა სხირტლაძე:

— ჩემი ნამდვილი სახელი დემეტრეა. დუტა პატარა დეიდაშვილმა შემარქვა, რომელიც დემეტრეს ვერ ამბობდა და მხოლოდ დუტას თქმა მოახერხა. მას შემდეგ, ყველა ასე მეძახის.

— თუ მოგწონთ ფართოდ გავრცელებული ტრადიცია სახელების სახეცვლილებისა?

— სიმართლე გითხრათ, არ მომწონს. მე, როგორც უკვე გითხარით, „სამარიაჟოდ“ არ დამირქმევია ეს სახელი. როცა ვინმეს ვეცნობი, აუცილებლად დემეტრედ წარვუდგები ხოლმე.

— თქვენს შვილებს როგორ მიმართავთ?

— უფროსს მარიამი ჰქვია, უმცროსს — ნინო. არავითარ კნინობით ფორმას არ ვიყენებ მათთან ურთიერთობისას — მხოლოდ მარიამსა და ნინოს ვეძახი.

P.S. არ შეიძლება,რომელიმე რესპონდენტს არ დავეთანხმო, მიუხედავად მათი შეხედულებების სხვადასხვაობისა. ყველა ადამიანს აქვს უფლება, რაც მოსწონს, ის სახელი, მეტსახელი თუ თიკუნი დაირქვას, მაგრამ თუკი ეს ორიგინალურობის დემონსტრირებად ითვლება, იქნებ ჯობდეს, იგი საკუთარ გონიერებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სითბოსა და სიყვარულში ვეძიოთ და საუკეთესო თვისებებით ორიგინალურებს, აღარ დაგვჭირდეს, კიდევ უფრო ორიგინალურობისათვის სახელის გადაკეთებ-გადმოკეთება... ■

ამიდან ჩემოსული ბავშვი, ვცდილობ ამის ვუღრეი ვცდილებთ...



ლელა ჯიყამვილი

გია ჯაფარიძე იმ იღ-ბლიან მსახიობთა რიგს განეკუთვნება, რომელთა ეკრანზე ერთი გაელვებაც კი საკმარისია საიმისოდ, რომ დაამახსოვრონ მაყურებელს თავი. მაშინაც კი, როცა ვინმეს მისი სახელი დაავიწყ-დება, ჩალხია ფილმიდან — „ზოგი ჭირი მარგებელია“ და ჩორტ ივო ზნაეტ — „ხარე-ბა და გოგიადან“ უნებურად გაახსენებს. თეატრშიც ასეა: რა მცირე როლიც არ უნდა ითამაშოს, გია უეჭველად დაგამახსოვრდებათ.

— თეატრთან ჩემი პირველი შეხება ძალიან ადრე მოხდა. პირველი როლი რომ ვითამაშე ონში, 5 წლის ვიყავი. უფრო ადრე, ჩვილობის პერიოდში, ჩემი აკვანი თეატრში იდგა. დედაჩემი სცენაზე გამოდიოდა, მე შინ ვერ მტოვებდა და კულისებში დგამდა აკ-ვანს... მამა ინჟინერი იყო, დედა — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მოყვარული თეატრალი. ბიძაჩემი — გიგა ჯაფარიძე რესპუბლიკის სახალხო არტის-ტი იყო. სკოლა რომ დავამთავრე, ფაქტო-ბრივად, უკვე ვიცოდი, მსახიობი რომ გამოვ-იდოდი — ისეთ „კალაპოტში“ ვიდექი, სხ-ვაგან ვერ გადავუხვევდი.

— გამიგონია — საკმაოდ ცელ-ქი ბავშვი იყავით. მგონი, ჩხუ-ბთანაც არ იყავით მწყრალად...

— მეტყობა ცხვირზე?.. საინტერესო ბავშვობა მქონდა. შემოქმედებითი სიტუა-ცია იყო ჩემ ირგვლივ: ყველა ხატავდა, მღეროდა, აქანდაკებდა, უკრავდა... ბებია მყავდა მიქელაძის ქალი. ისე უკრავდა გიტარაზე, მგონი, იშხნელებზე უკეთაც კი... იქ, მთაში, სხვანაირი იყო ყველაფერი. ახლა ზოგჯერ ისე მომენატრება იქაურობა, თე-ატრში მეტყვიან ხოლმე ბიჭები: აუ, დაიწ-ყო ახლა ამას ყმუილი — მთის მონატრე-ბაო... საშუალება აღარ არის, თორემ ინ-სტიტუტში რომ ვსწავლობდი, კვირაში ორჯერ დავდიოდი... მოძრავი ბავშვი ვიყავი, სანადიროდ დავდიოდი, სათევზაოდ. რაიონში „ამოვიზარდეთ“ მე და ჩემი თაობა. ისეთი ბავშვები ვიყავით, V-VI კლასში ონიდან ამბროლაურში მივყვებოდით რიონს ცურ-ვა-ცურვით — ვვაჟკაცობდით ჩვენი აზრით. ონში ერთი მაღალი ხიდია, იქიდან ვხტე-ბოდით. მამა ამბროლაურში მუშაობდა და შინ რომ მოდიოდა მანქანით, მდინარეს გაჰყურებდა — ჩემი შვილი ხომ არ მოცურავსო.

— ისეთი ხასიათი გაქვთ, როგორიც როლები — ძლიერი, დაუმორჩილე-ბელი, მოჩხუბარი...

— ვჩხუბობდი, მაგრამ ეს ხულიგნური ჩხუბი კი არ იყო — უბრალოდ, „მევაჟკა-ცებოდა“ და ვვაჟკაცობდი, „მებაშიაჩუკე-ბოდა“, „მეარსენებოდა“.

— კინოროლებიც რა კარგად შეურჩევიათ თქვენთვის...

— მეც მომეწონა. განსაკუთრებით — „ხარება და გოგია“, „ზოგი ჭირი მარგებე-ლია“: ერთში ყაჩაღს ვთამაშობ, მეორეში — მოჩხუბარ ძმას... „ხარება და გოგიას“ ვიღებთ და მოვიდა ერთი კახელი, მოგვი-ტანა 20-ლიტრიანით ღვინო. დალიეთ, ბიჭებო, თქვენი ჭირიმეო, — გვითხრა. და-ვამთავრეთ გადაღება. შეზარხოშებული მსახიობები და ეს მსოფლიო ჩემპიონები — ომარ ფხაკაძე და ლევან თედიაშვილი — ლომებივით კაცები, ვბრუნდებით ერ-თად. გადაღების მერე, არც გაგვიხდია, ისევ ჩოხები გვაცვია, ვაზნებიანი ჯიბეებით. მიკროავტობუსში ვსხედვართ და რომ იტყვიან, შეზარხოშებულები ვჟიჟინებთ. გურჯაანის შესასვლელში ერთი პატარა ხიდია და ამ ხიდზე პატარა, მუცელგად-მოგდებული, კახელი ინსპექტორი დგას. დაგვიქნია ხელი. გააჩერა მძღოლმა და გადავიდა. დაგვიანდა დაბრუნება. ლევან თედიაშვილმა თქვა: მგონი, ეგ ფულსა სთხ-ოვს მძღოლსაო, — გააღო კარი, გადავიდა. გადავყევით ჩვენც და კბილებამდე შეიარ-აღებულები, შვიდნი წავედით მათკენ. ინ-სპექტორი ჩვენკენ ზურგით იდგა. მძღოლმა უთხრა: აი, ხომ გითხარი — გადაღებიდან მოვდივართო. იმან დაგვინახა და თქვა: ვა, კაცო, ბედი არ გინდა? — მე რო სამორი-გეოდ გამოვალ, მაშინ გაცოცხლდება ყვე-ლა კაკო ყაჩაღიო... ასე ჩაუვარდა კოვზი ნაცარში...

— თქვენ სულ საბრძოლველად შემართულ მამაკაცებს ასახიერებთ. შეიძლება, ბევრმა არც იცოდეს, რომ ნამდვილ ომშიც ხართ ნაბრძო-ლი.

— 4 დეკემბერს წავედით და შვიდში ძლიერი შეტაკება გვქონდა მტერთან. იქაც სვანური ქუდი მეხურა და ერთმა დაცხრი-ლულმა ქართველმა ბიჭმა დამიძახა: სვა-ნურქუდიანო, მიშველეო!.. აღმოჩნდა, რომ ისიც რაჭველი ყოფილა. ისიც გამოვიყვ-ანე, მისი ძმაც, მაგრამ ძმას ვერაფერი ვუშ-ველეთ — გარდაიცვალა...

— ბევრ უბედურებას ნახავდით და სასოწარკვეთა არ დაგეუფლათ?

— ომში რომ მივდიოდი, ველოდი, რომ ბევრ უბედურებას ვნახავდი. ზოგჯერ გული მწყდება, რომ ამბობენ: რას მიდიოდით? ხომ იცოდით — გაყიდული ომი იყოო... ვინ გკითხავს შენ, როგორ ომში მივდიო-დი?! მე იმწუთას კი არ გადამიწყვეტია, ომში წავალ-მეთქი, ამაზე ნაფიქრი მქონდა, ამისთვის შინაგანად მზად ვიყავი... საო-ცარი კადრი ვნახე ტელევიზორში: სამა-ჩაბლოს ომში დაჭრილი ბიჭი იწვა, ბარძაყის კუნთში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი; ექი-მი ადგა თავზე და ხელით იღებდა ტყვიას, ის ბიჭი კი იწვა, კოპებშეკრული. გავგიჟ-დი, ეს რომ ვნახე. წავედი ომში — აბა რა! ეს ჩემთვის საამაყო ფაქტია.

— რა გენატრებათ ხოლმე ყვე-ლაზე მეტად?

— რა თქმა უნდა, რაჭა. ჰოდა, ვცდილობ, ეს დანაკლისი ავინაზღაურო და გლდანის ირგვლივ თუ რაიმე ტყეა, ფეხით მაქვს ყველა შემოვლილი. დავდივარ თბილისში, თითქოს რაჭას ვეძებ. იმისთანა ლამაზი ადგილები მაქვს ნაპოვნი, რომ თბილისელი კაცი ვერც კი წარმოიდგენს, თუ ასეთი რამ არსებობს. გლდანის ტბა რომ არის, იმის თავზე სერია — მამკოდისა და გლდა-ნის ტბას შუა. ულამაზესი გადმოსახედია, საოცრებაა. იქით გაიხედავ — მამკოდის ეკლესია ჩანს, აქეთ გაიხედავ — გლდანი. ხომ გგონიათ, რომ რუხი უბანია გლდანი? იქიდან რომ გადმოხედავთ, ნახავთ, რა ლამა-ზია. მთიდან ჩამოსული ხალხი, პატარა მთას გულში ვატარებთ... ■

ლელა ჭანკოტაძე

მეოცნებე და რომანტიკული ბუნების თათია გიორგობიანს თავისი/ მენეჯერი — ბიჭიკო ქადაგიძე, სიყვარულით პატარა და ცელქ გოგოს ეძახის. ისიც გამიმხილა: ძალიან ფოტოგენურია, მსახიობური ნიჭი აქვს და სურათების გადაღებაც უყვარსო. ერთ-ერთი გადაღების დროს, თათია თურმე იძულებული გახდა, ჭაობში ჩასულიყო, რომელშიც უამრავი ბაყაყი, წყალმცენარე და თავკომბალა ფეხებზე შემოეხვია. მომღერალმა ეს სიმწარე გმირულად გადაიტანა. ფოტოები მართლაც მშვენიერი გამოვიდა...

სწავლის მოყვარული თათია გიორგობიანი თავს ოცნების უფლებას არ აძლევს...

თათია ბავშვობიდან მღერის. ის თავისი მშობლების ერთადერთი შვილია. დედამისი ბიოლოგია, მამა – გეოლოგი. მუსიკალური ოჯახი აქვთ. როგორც დედის, ასევე მამის უახლოესი ნათესავებიც უკრავენ და მღერიან, თათიას დეიდა – ეკა გოდერძიშვილი პირველი თაობის „ძზიურელია“, მაგრამ სიმღერას არ გაჰყვა. ახლა ის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია.

თათიას ძალიან უყვარს მოგზაურობა. ის ბევრ ქვეყანაშია ნამყოფი. ყველას ჩამოთვლას კი მოერიდა. მისი სურვილია, უფრო მეტი ქვეყანა ნახოს და სხვა ერების კულტურებს ეზიაროს. სულ ახლახან, თათია თელ-ავივიდან დაბრუნდა.

— რა სიახლეებია შენს ცხოვრებაში?

– ვწერ რამდენიმე ახალ სიმღერას. შემიძლია ვთქვა, რომ მზად ვარ ალბომის გამოსაშვებად. გარდა ამისა, იწყება კლიპის გადაღებები. ეს იქნება დუეტი ოთხი წლის ლიზა მაღრაძესთან. მას ძალიან უყვარს სიმღერა. გია მაჭარაშვილმა გვაჩუქა ეს სიმღერა, რომელიც ძირითადად, ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. მირჩევნია, სხვა გეგმები ჯერ არ გაგანდოთ, რადგან როცა რაღაცას წინასწარ ვამბობ, ის არ მისრულდება ხოლმე.

— კლიპი ჯერ არ გაქვს?

– არა, თუ არ ჩავთვლით ჩემი და გია მაჭარაშვილის ერთობლივ ნამუშევარს.

— შენ და გია აქტიურად თანამშრომლობთ. რითია ეს გამოწვეული?

– ვფიქრობ, რომ საქართველოში ის ერთ-ერთი კარგი კომპოზიტორია. ძალიან მომწონს და მიყვარს მისი სიმღერები. ამასთან, ჩვენს ოჯახებს ერთმანეთთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს. „არტ-იმედის“ მხრიდანაც არანაირი პრობლემა არა მაქვს. მე შემიძლია ნებისმიერი კომპოზიტორის სიმღერა შევასრულო. აქ არის სამხატვრო საბჭო, რომელიც წყვეტს, გამომადგება თუ არა ესა თუ ის სიმღერა, თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც ჩემზეა.

— ე.ი. კომპეტენტური ადამიანები გეუბნებიან, როგორი ბედი ექნება სიმღერას, გაჰიტდება თუ არა?

– ნებისმიერი სიმღერა შეიძლება გახდეს პოპულარული. მე საკუთარი თავი დამიჭერია იმაში, რომ მომწონებია ის სიმღერა, რომელზეც თავიდან ცუდი წარმოდგენა მქონდა. ამის მიზეზი კი, მხოლოდ ის ყოფილა, რომ ეს სიმღერა ბევრჯერ მოვისმინე.

— გარდა სიმღერისა, კიდევ რითი ხარ დაკავებული?

– ვსწავლობ სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, მაგისტრატურის პირველკურსელი ვარ. სწავლას ჩემს ცხოვრებაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა. არასდროს მომხდარა, რომ კონცერტის გამო, გაკვეთილები ან ლექციები გამეცდინა ან სკოლაში მოუმზადებელი მივსულიყავი. პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. X კლასი ამერიკაში დავამთავრე. ქალაქ ვუდსვილში ვსწავლობდი. სწავლა მედალზე დავასრულე, რაც იოლი არ იყო.

— შენი პროფესია თუ გიწყობს ხელს ჟურნალისტებთან ურთიერთობაში?

– პრეტენზია ჟურნალისტებისადმი არასდროს მქონია, არც პრობლემა შემქმნია, რადგან ყოველთვის ვიცი, რა და როგორ ვთქვა. ჯერჯერობით, ჩემს კოლეგებს არ ვემდური.

— როგორ უთავსებ სწავლას, კონცერტებსა და რეპეტიციებს ერთმანეთს?

– ვცდილობ, ყველაფერი მოვასწრო. ისე მაქვს დრო განაწილებული, რომ ლექციების მომზადება შევძლო.

— შელავათებით არ სარგებლობ?

– რა თქმა უნდა. არავინ თქვას, რომ მომღერალს ლექტორები შელავათს არ უწევენ, მაგრამ ჩემთვის უხერხულია, მოუმზადებელი ვარ-მეთქი, რომ ვთქვა და ჩემი პოპულარობით ცუდად ვისარგებლო. ლექტორები, მეგობრები, სტუდენტები ხშირად მაქებენ, მეუბნებიან: კარგად მღერი, გიყურებთ, გისმენთ, კარგი გოგო ხარო. ასეთ შემთხვევაში ვწითლდები და ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს...

— შენი სპეციალობით მუშაობას თუ აპირებ?

– ბოლომდე მინდა ჩემი საქმე გავაკეთო – ასპირანტურა უნდა დავამთავრო და უნივერსიტეტში, კათედრაზე დავრჩე. სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, პროფესია კი სხვა მაქვს. მინდა პროფესიონალი ვიყო.

— ცხადია, უნივერსიტეტში ყველა გიცნობს. როგორი დამოკიდებულება აქვთ სტუდენტებს შენ მიმართ?

– ყველა მცნობს. ეს ძალიან მიხარია. სხვა სტუდენტებისგან თითქმის არ განვსხვავდები. სპორტული ფორმით, ჩან-

ყველა მეუბნებოდა: ომია, სად მიდიხარო?..

თამოკიდებული შევდივარ ლექციაზე. არ ვცდილობ, ვიზუალურად მათგან განსხვავებული ვიყო. კონცერტზე, რა თქმა უნდა, ბოტასებით არ მივალ. რადგან სხვები გიყურებენ და გაკვირდებიან, უფლება არ გაქვს, კარგად არ გამოიყურებოდე. არ მახსოვს, რომ მოუწესრიგებელი გამოვსულიყავი შინიდან. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ადამიანმა შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა ჩაიცვას სუფთად და ლამაზად. ირგვლივ უამრავი პრობლემაა. დილით სინათლე რომ არ არის და ხელები გათოშილი გაქვს, ძნელია იმაზე იფიქრო, რომ მომხიბვლელად გამოიყურებოდე... როცა მოწესრიგებული ვარ და კარგად გამოვიყურები, თავს კომფორტულად ვგრძნობ.

— „არტ-იმედი“ რამდენად აქცევს ყურადღებას თავისი მომღერლების ჩაცმულობას?

— ყველა მაქსიმალურად გვიწყობს ხელს. როცა რაღაც გრანდიოზული პროექტი მზადდება, ტანსაცმლის პრობლემას თავად ჭრიან. მაგალითად, „ბასტი-ბუბუს“ კონცერტებზე მე ვიყავი არიელი. ძალიან კარგი ფორმა მეცვა, რაც ჩემი სახსრებით არ შემიძენია. გვემსახურება სალონი, სადაც შეგვიძლია, უფასოდ გავიკეთოთ ვარცხნილობა და მაკიაჟი. მომღერლისთვის აუცილებელია, ყოველთვის მომხიბვლელი იყოს.

— რომელიმე დიზაინერს თუ მიმართავ ხოლმე დასახმარებლად?

— „ოქროს დისკის“ პრეზენტაციაზე, ავთო ცქვიტინიძის მიერ შეკერილი ერთ-ერთი საგამოფენო კაბა მეცვა. მყავს რამდენიმე ნაცნობი დიზაინერი, რომელთაც დახმარებისთვის მივმართავ ხოლმე. ასეთი ურთიერთობა პირადი ნაცნობობის დონეზე წყდება.

— როცა გასტროლებზე მიდიხართ, კომპანია რაღაც თანხას გაძლევთ, ტანსაცმლის ან სხვა წვრილმანების შესაძენად?

— ჯერ ქვეყნის გარეთ გასტროლი არ მქონია. საშობაოდ ისრაელში ვიყავი, მაგრამ ამაში „არტ-იმედს“ არანაირი მონაწილეობა არ მიუღია — პირადი მიწვევით წავედი. ყველა მეუბნებოდა: ომია, სად მიდიხარო?.. თელ-ავივში ვიყავი. იქ საერთოდ არ იგრძნობა რაიმე დაძაბულობა. ქალაქი ჩვეული რიტმით ცხოვრობს. თუმცა, შობას, უკვე მეორედ, იერუსალიმში შევხვდი. საოცარი სანახაობაა.

— რას სთხოვ უპირველესად, საკუთარ თავს?

— არ მეპატიება, რომ არ ვიყო ფორმაში, არ მეცვას კარგად. ძალიან მიყვარს ძილი, მაგრამ სიზარმაცე არ მეპატიება, ამიტომ კარგა ხანია, რაც ძილს დავემშვიდობე. არ შემიძლია რაღაცის საშუალოდ გაკეთება — ან კარგად ვაკეთებ, ან საერთოდ არ ვაკეთებ. რა თქმა უნდა, შეუცდომელი არავინაა. არასდროს მითქვამს: ამას ვერ გავაკეთებ-მეთქი, რადგან ხშირად დამიჭერია საკუთარი თავი იმაში, რომ ვაკეთებ იმასაც, რის გამოც სხვას ვკიცხავ. ამიტომაც, არასდროს განვსჯი სხვა ადამიანებს.

ახლა საკუთარ თავს ვაიძულებ, რომ აღარ ვიოცნებო და მიწაზე დავეშვა

ეს ჩემი სტილი არ არის.

— რა შეგიძლია მითხრა საკუთარ თავზე? როგორი ხარ?

— ძალიან რომანტიკული ვარ. ვწერ ჩანახატებს. მიყვარს პოეზია, მეოცნებე გოგო ვარ. ახლა საკუთარ თავს ვაიძულებ, რომ აღარ ვიოცნებო და მიწაზე დავეშვა.

— შენი ბავშვობის ოცნება მომღერლობა იყო?

— ბავშვობაში უფრო არარეალურ სამყაროზე ვოცნებობდი — ფერიებსა და ზღაპრის გმირებზე. რა თქმა უნდა, ძალიან პრანჭია ვიყავი, ოღონდ ვინმეს ეთხოვა — მაშინვე სიმღერას ვიწყებდი და ჩემს ბავშვურ რეპერტუარს თავიდან ბოლომდე ვასრულებდი ხოლმე.

— ახლა რაზე ოცნებობ?

— ახლა ისეთი დრო დადგა, რომ რომანტიკულ ოცნებებს გადავეჩვიე და მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ მშვიდობა იყოს. ჩემი მეგობრები თუ კარგად იქნებიან, ყველას ექნება ელემენტარული პირობები იმისთვის, რომ ნორმალურად იცხოვროს. ალბათ ამის შემდეგ შეგვეძლება ვიოცნებოთ...

■



ცნობილი მხატვარი, გია ბულაძე ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდა. მიუხედავად იმისა, რომ პუტკუნა ბავშვი იყო, იოლად ცივდებოდა და ექიმების ჩარევის გარეშე მორჩენა უჭირდა. გარკვეული თვალსაზრისით მას ავადმყოფობა ახარებდა კიდეც, რადგან იცოდა, რომ მეორე დღეს მშობლებისგან უამრავ საჩუქარს მიიღებდა. ბოლოს, იმდენად მიეჩვია ინექციებს, როგორც კი თავს შეუძლოდ იგრძნობდა, დედას ეხვეწებოდა — ნემსი გამიკეთეო. გამოჯანმრთელების შემდეგ კი, ეზოში გარბოდა ფეხბურთის სათამაშოდ. თუმცა, წონის გამო, სირბილი უჭირდა და თანატოლები კარგ თავდამსხმელად არ მიიჩნევდნენ. სამაგიეროდ, მეკარეობა მშვენივრად გამოსდიოდა. ნახტომებისას თავს არ ზოგავდა, სწორედ ამიტომ იყო, რომ იდაყვები და წვივები მუდამ გადატყავებული ჰქონდა.

რატომ არ მოსწონდა გია ბულაძე თვითმფრინავის გამგზაცებელთა ჯგუფში და რა კომპრომისი არ ასვენებს

ხათუნა მაღრაძე

— მეკარეობას უკეთ ვართმევდი თავს. მოედანზე სირბილის დროს კი, 15 წუთში უკვე დაღლილი ვიყავი. ბურთის აღებას ამდენი მოძრაობა არ სჭირდება. როცა ჩემკენ დარტყმულ ბურთს ვხედავდი, თავგამეტებით მივექანებოდი მის დასაჭერად და ასფალტზე მთელი ძალით დავეხეთქებოდი ხოლმე. არ დავეძებდი, რაიმეს ვიტკენდი თუ არა. ფეხბურთის სიყვარულით დავიწყე ხატვაც. ჩვენს ოჯახში მიხეილ მესხის კულტი იყო. მაშინ ჩვენი „დინამო“ ძალიან კარგად თამაშობდა. მამაჩემი მესხისტი გახლდათ და ბუნებრივია, მეც მისი გავლენის ქვეშ ვიყავი მოქცეული. როცა „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მთელი ოჯახი ამ სიხარულით ვცხოვრობდით. შესაბამისად, მე ამ სიყვარულს ფუნჯითა და საღებავით გამოვხატავდი. ახლობლებიც სულ ამ თემაზე მაძლევდნენ „შეკვეთებს“. ვცდილობდი, ნახატები დინამიკაში შემესრულებინა. ფიგურების ხატვის სიყვარულიც იმ დროიდან მომდევს.

— ბატონო გია, თქვენს თაობას ახალგაზრდა დრამატურგმა „ჯინსების თაობა“ უწოდა. რატომ?

— ჩვენს დროს ჯინსი ახალი შემოსული იყო და ძნელად თუ იშოვებოდა. მისი ჩაცმა, თითქმის დისიდენტობის ტოლფასი იყო. მახსოვს, ერთხელ, ძლივს მოვახერხე მისი შეძენა სურამში, ებრაელ გადამყიდველებთან. ის „სიამოვნება“ 50 მანეთზე მეტი დამიჯდა. ვისაც „ლევისი“ ეცვა, ის მაგარ ბიჭად ითვლებოდა. ყველა გოგო მას უყურებდა, თანაც — სავალდებულო იყო, მხრებამდე თმა გქონოდა, ყბებამდე ჩამოსული „ბაკები“ გეტარებინა და პლატფორმებზე მდგარიყავი, თუ გინდოდა, რომ მოდური ბიჭის იმიჯი გქონოდა.

— თქვენ, როგორც მხატვარი, ინდივიდუალურ სტილს არ ირჩევდით?

— არა, მეც იმდროინდელი სტანდარტების შესაბამისად მეცვა, თანაც, პოპულარული ბიჭი არასოდეს ვყოფილვარ, გამომდინარე იქიდან, რომ ცოლი ადრეულ ასაკში მოვიყვანე და თვალებს აქეთ-იქით აღარ ვაცეცებდი... სხვა ინტერესები მქონდა — ბევრი უნდა მემუშავა, რომ ოჯახი მერჩინა, რადგან მშობლები ადრე გარდამეცვალნენ და მარტოს მიწევდა ყველა პრობლემის მოგვარება. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: „ჩაკეტილი“ საყელო მიყვარდა, ეს იყო ჩემი გამორჩეული სტილი, რაც აქამდე შევინარჩუნე.

— რამდენადაც ვიცი, ახალგაზრდობაში იოგათი იყავით გატაცებული. რატომ ვერ მიაღწიეთ მედიტაციის ამ სახეობაში წარმატებას?

— ჩემი ახალგაზრდობის დროს, იოგას ბუმი იყო. მეც გამიტაცა ჰათხა-იოგამ. მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო და თავი დავანებე. აღმოსავლური მედიტაცია, ჭეშმარიტების ძიების ის ფორმაა, რომელიც მე პასიურს მხდიდა, რადგან უნდა დამეთრგუნა ის, რაც დასავლურ სამყაროსთან მაკავშირებდა. მე მცხეთაში ვარ გაზრდილი, ჩემი მშობლები იქ ცხოვრობდნენ და როცა მთელი ბავშვობა უყურებ ჯვარს, სვეტიცხოველს, სამთავროს, ეს უკვე ნიშნავს, რომ შენს პიროვნებაში დასავლურ-ქრისტიანული მიმართულება მძლავრობს.

— თქვენ „თვითმფრინავის ბიჭების“ უახლოესი მეგობარი იყავით, ერთად აწყობდით სამოქმედო გეგმებს, რატომ მოხდა ისე, რომ გაფრენის დღეს მათთან არ იყავით?

— მე და სოსო წერეთელი სტუდენტობის დროიდან ვმეგობრობდით. ერთად გავიცანით თემურ ჩიხლაძე — შემდგომში მამა თეოდორე. ჭეშმარიტების ძიების სურვილმა ტაძარში მიგვიყვანა. ის პერიოდი ილია მეორის აღსაყდრებას დაემთხვა და ეკლესიაში მნიშვნელოვანი ძვრები დაიწყო. ეს ის დროა, როცა ზვიად გამსახურდია გადასახლებიდან ახალი დაბრუნებულია. მახსოვს, ის ხშირად იდგა ხოლმე სიონის მარცხენა სვეტთან უტყვად და არავისთან გასაუბრებას არ ცდილობდა. ერთხელ, მივედით და გამოველაპარაკეთ. მაშინვე ვიგრძენი, რომ რაღაც სხვა იცოდა ამ კაცმა, რომ სხვა ბედისა და სხვა მასშტაბის პიროვნება იყო. მოგვიანებით, მე და სოსო სტიქაროსნები გავხდით, თემური კი მღვდლად აკურთხეს. ჩვენს წრეშივე ჩამოყალიბდა აზრი, რომ მომხდარიყო ხმაურიანი გასვლა საბჭოთა კავშირიდან. მე ამ იდეას სერიოზულად არ შევხვედრივარ, თუმცა მესმოდა მათი არანორმალური იდეალიზმისაც. სოსოს ვუთხარი: იქნებ, ნახატებით თქვა შენი სათქმელი-მეთქი?.. ის კი ამბობდა: საბჭოთა მხატვარს, მირჩევნია, საბჭოთა უსაქმური მერქვასო.

— ალბათ გრძნობდით, რითიც დამთავრდებოდა მათი გაფრენა და სიკვდილის შეგეშინდათ...

— ბუნებრივია, სიკვდილი არ მინდოდა, მაგრამ მათ საქციელში ლოგიკას მართლა ვერ ვხედავდი, თანაც მე ალბათ სხვა ბედის ადამიანი ვიყავი, უკვე ცოლ-შვილი მყავდა და მათ უპატრონოდ ვერ დავტოვებდი.

— მხატვრის ცხოვრება ყოველთვის მატერიალურ გაჭირ-

ვებასთან ასოცირდება. თქვენ უამრავ შეკვეთას ასრულებთ და ალბათ მსგავსი პრობლემები არა გაქვთ.

— ჩემს სარდაფში დღესაც 400-ზე მეტი ნამუშევარი დევს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ყიდვის სურვილი არავინ გამოთქვა და შესაბამისად, შემოსავალიც არ მქონია. კომერციულად მომგებიანი შეკვეთებიც აღარ არსებობს.

— თქვენ მოხატეთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროსა და სხვა დაწესებულებების კედლები. დავიჯერო, ამ ნამუშევრებში სოლიდური ანაზღაურება არ მიგიღიათ?

— თითოეული მათგანის შესრულებისათვის შემოსავალი მიზერული იყო. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ძალიან მომთხოვნი ვარ — მართლა სიმბოლურ თანხებს მიხდიდნენ, მაგრამ მაინც მადლიერი ვარ, რომ ეს შეკვეთები მქონდა.

— მახსოვს, ამბობდით: პარლამენტის კედლების მოხატვის დროს ისეთი ფერები შევარჩიე, იქ არსებული გარემო ცოტათი მაინც განმემუხტაო, — მაგრამ როგორც ჩანს, ვერ შეძელით...

— ამ შენობაში იმდენად მძიმე აურაა, მუშაობის პერიოდში ჩემზეც მოქმედებდა. თანაც ჩვენი პარლამენტარები ისეთ ძველბიჭურ პოლიტიკას მისდევენ, რომ ჩემი ფერებით მათი დაწყნარება შეუძლებელი აღმოჩნდა...

— რამდენადაც ვიცი, ცალკეული პოლიტიკური წრეებისგან თქვენც გქონდათ შემოთავაზებები პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე. რატომ არ მიიღეთ ეს წინადადებები?

— არასოდეს არ მინდოდა, პოლიტიკოსი ვყოფილიყავი, თუმცა ვცდილობ, ვიაზროვნო სახელმწიფოებრივად. მაქსიმუმს ვაკეთებ საიმისოდ, რომ ექსტერიერითა თუ ინტერიერით, ადამიანებში მოქალაქეობრივი გემოვნების განცდა გავაღვიძო, რის საშინელ დეფიციტსაც განვიცდით. ვხედავ, რომ დღეს პროფესიონალიზმი პატრიოტიზმის ტოლფასია.



ნინიკო ჯერ თხუთმეტი წლისაა და ცდილობს, საკუთარი თავი იპოვოს

— ბატონო გია, წელან ქუჩური პოლიტიკა ახსენეთ. ახალგაზრდობაში ალბათ სულ სახატავი დაფით ხელში დადიოდით, უბნის თავაშვებული ბიჭები ამის გამო არ გჩაგრავდნენ?

— ჩემს ახალგაზრდობაში, თუ გინდოდა, ძალაუფლება გქონოდა, ორი გზიდან ერთ-ერთი უნდა აგერჩია: ან კომკავშირული კარიერა ან ქურდული ცხოვრება. არც ერთი მინდოდა და არც მეორე, მაგრამ არავის დავუჩაგრივარ. მე სხვა სამყაროში ვცხოვროდი და „ძველი ბიჭები" არ მეხებოდნენ. უბრალოდ, დიდი პრეტენზია არ უნდა მქონოდა — ვთქვათ, უბნის ყველაზე ლამაზი გოგო არ უნდა მყვარებოდა. მეც თავს არ ვიტკივებდი ზედმეტი პრობლემებით და დაუწერელ კანონს ვემორჩილებოდი... ვამაყობ იმით, რომ ქუჩის აკადემია არ გამივლია.

— როგორ დავიჯერო, ერთი ისეთი გოგო არ მოგწონებიათ, სხვასაც რომ ჰქონოდა მასზე პრეტენზია?

— ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა. უნდა გითხრათ, რომ პორტრეტების ხატვას საერთოდ ვერიდებოდი, რადგან უსიამოვნო სიტუაციაში ვვარდებოდი: მიყვარდებოდა ყველა გოგო, ვის სახესაც დიდხანს ვაკვირდებოდი და ტილოზე გადამქონდა. მერე საშინელი დისკომფორტი მექმნებოდა — მასზე ვფიქრობდი და ვიტანჯებოდი. ჩემს კურსზე ერთი ულამაზესი ქალიშვილი სწავლობდა. მაშინ 19 წლის ვიყავი. ის დამთანხმდა, რომ მისი პორტრეტი დამეხატა, რამდენიმე დღეში შინ მეწვია. მეც ხელსაწყოები მოვიმარჯვე და მუშაობას შევუდექი. ვუყურებ და ვხედავ, რომ არაჩვეულებრივად ლამაზია ეს ოხერი. სპილოსძვლისფერი, მაქმანიანი პერანგი აცვია, თავი უცნაურად უჭირავს და გაწელილი ფრაზებით საუბრობს, გრძნობს თავისი არაჩვეულებრივად დახვეწილი ნაკვთების სილამაზეს. დავიწყე ხატვა და ფუნჯით ვეალერსები მის სახეს, თანაც შეუსვენებლივ ვლაპარაკობ, რომ ჩემი საუბრით თავი მოვაწონო. უნდა გითხრათ, რომ ცხვირი მაშინაც მოკაუჭებული მქონდა და თანაც, წვერი ჯერ არ ამომსვლოდა, რომ მოდური „ბაკები" მომეშვა... ხომ წარმოგიდგენიათ, რა სანახავი ვიქნებოდი, მაგრამ მაინც ვცდილობდი მის მოხიბვლას. ხატვის პროცესში, ისიც გამომხედავდა ხოლმე მრავალმნიშვნელოვნად და მიღიმოდა. ვფიქრობდი: ეს ლამაზი გოგო დავაინტერესე-მეთქი. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. ბოლოს კი, ჩემი სახლის აივანს (ბელეტაჟზე ვცხოვრობდი) კურსელი ბესო მოადგა. მაშინ ეს ბიჭი პოპულარული იყო ჩვენს თაობაში. ფიზიკურად ძლიერს, ვნებიანად ბანჯგვლიანი მკლავები და ფეხები ჰქონდა. გიაო! — დამიძახა. მე-მეთქი, ბესო?! — კი ვუთხარი, მაგრამ ვაი, ამ თქმას! მანდ არისო? — მკითხა ჩემს მუზაზე. კი-მეთქი, — ვუპასუხე და მის დასაძახებლად შევბრუნდი. ისიც გახარებული მივარდა აივანს, რამდენიმე წამი ერთმანეთს დაელაპარაკნენ და შემდეგ, სპილოსძვლისფერ-პერანგა ლამაზმანი აივნიდან გადახტა და „პოდრუჩკით" გაჰყვა ბანჯგვლიან ბესოს... ეს ამბავი ძალიან განვიცადე და მხოლოდ ერთი კვირის თავზე შევძელი მისი დაუმთავრებელი პორტრეტის განადგურება.

— თქვენს ბოლოდროინდელ ნამუშევრებში ქალის სახე იშვიათად ჩნდება. მუზების სიმცირეს ხომ არ განიცდით?

— ჩემი მუზები ჩემ მიერ დახატულ პორტრეტებსა და კომპოზიციებში შეგიძლიათ ნახოთ. როცა რომელიმე ქალი გამიტაცებს, მისი სახე უეჭველად გაჩნდება ხოლმე ტილოზე. ჩემმა მეუღლემ ეს მშვენივრად იცის, ამიტომ დაკვირვებით ათვალიერებს თითოეულ ტილოს და თუ ქალის სახეში საკუთარი თავი ვერ აღმოაჩინა, ჩუმად ჩაილაპარაკებს: აჰა, ყველაფერი გასაგებიაო, — და იწყებს ძიებას — ვინ არის ეს უცნობი... თუმცა, ბოლო

ლაშა ბუღაძე

დროს, ეს პრობლემა შედარებით მოგვარებულია, რადგან უკანასკნელ ნამუშევრებში თითქმის ყველა ქალი ჩემს გოგონას ჰგავს და მეუღლეც მშვიდად არის...

— რას მოგვიყვებით მეუღლის შესახებ?

— 16 წლის ვიყავი, როცა ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. სამხატვრო აკადემიის პირველ კურსზე სწავლობდა. ქერა, ცისფერთვალება გოგონა იყო და ძალიან მოვიხიბლე მისით. როცა დაილაპარაკა, მივხვდი, რომ აზროვნებს. მასში ამ ღირსებების ერთობლიობამ მომნუსხა. ჩვენი გაცნობის დღეს, აკადემიაში საახალწლო ზეიმი იყო დაგეგმილი. საერთოდ, სმა არ მიყვარს, ამით არ ვგავარ ქართველ მამაკაცებს. ლექციების დამთავრების შემდეგ, ერთი ლოთი თანაჯგუფელი გადამეკიდა: ვიცი, შინ აბსტრაქტული ნამუშევრები გაქვს და მიჩვენეო. მაშინ აბსტრაქტული ნახატები იკრძალებოდა. ჩემმა ჯგუფელმა, ერთი ბოთლი კონიაკი აიღო და ჩემთან ავედით. როგორც ჩანს, საახალწლო ზეიმზე წასასვლელად სიმხნევე მჭირდებოდა და მეც მასთან ერთად ის კონიაკი გამოვცალე. შემდეგ, ერთი ბოთლიც დავუმატეთ. უნდა გითხრათ, რომ ბავშვობიდან, საოცრად მიყვარს ცეკვა. კონიაკმა კი ისე დამათრო, რომ იმ საღამოს, ყველა ნაცნობ გოგონასთან ვიცეკვე. ბახუსის ზემოქმედების ქვეშ ვიყავი და თავს უფლება მივეცი, ძალიან უხეშად მოვქცეოდი გოგონებს — ლამის ხელ-ფეხი დავამტვრიე. ბოლოს, ანასთან მივედი და საცეკვაოდ გამოვიწვიე. მე თვითონ არ დავიჯერე, როცა დამთანხმდა. ხელები შემომხვია და ჩუმად მითხრა: თავი ხელში აიყვანე, ცუდად იქცევიო. ამ ერთმა წინადადებამ გამომარკვია და საკუთარი სახე დამიბრუნა... ამ შეხვედრის შემდეგ, გარკვეული პერიოდი, ერთმანეთი აღარ გვინახავს. თუმცა, როცა კვლავ შევხვდით ერთმანეთს, გადაწყვეტილების მიღება არ გაგვჭირვებია და მალე ვიქორწინეთ.

— მეუღლის ამგვარი გავლენა თქვენზე დღემდე გრძელდება?

— კი, რა თქმა უნდა, მე ამას ვაღიარებ. თუმცა, თვითონ ამბობს: თუ რაიმეს იტყვი, ადამიანი აზრს ვერ შეგაცვლევინებსო, — მაგრამ მე, გარკვეულწილად, მაინც მისი გავლენის ქვეშ ვიმყოფები. ვიღაცაზე რომ იტყვის — კარგი ტიპიაო, — ჩემდა უნებურად, სიმპათიით განვეწყობი ხოლმე მისდამი... მაგალითად, კატები არ მიყვარს, ცხოველებთან განსაკუთრებული სიყვარული არ მაკავშირებს. ანი მათზე ისეთი სითბოთი მელაპარაკა — მას შემდეგ, კატებს რომ დავინახავ, თვალებით ვეფერები ხოლმე...

— დარწმუნებული ვარ, თქვენი ოჯახი ზედმეტად ტრადიციული არ არის.

— ნამდვილად. არ შეიძლება, მხატვრის ოჯახი ტრადიციული იყოს — თუნდაც იმიტომ, რომ მხატვრობა ძალიან ჭუჭყიანი საქმეა, ყველაფერს საღებავებით ვსვრი. ბინის მთავარი ფართი ჩემს ტილოებს უკავია. თანაც, ყველა შეჩვეულია, რომ მე, პირველ რიგში, სულიერი მოთხოვნილებები უნდა დავიკმაყოფილო და ვხატო. რა ვქნა — ასეთი ეგოისტი ვარ.

— თქვენს ეგოისტობაზე არაფერი მსმენია, მაგრამ ის კი გამოგონია — ზედმეტად ამბიციურია და სამხატვრო აკადემიის რექტორობა უნდაო...

— არ დავმალავ, რომ მართლაც ვაპირებ რექტორის არჩევნებში მონაწილეობას, რადგან ჩემზე უკეთესი კანდიდატურა დღეს აკადემიაში არ არის; საორგანიზაციო დარგში ისეთი გამოცდილება მაქვს, რომ კონკურენტი ძნელად თუ მომეძებნება. ჩემი მხრიდან ამგვარი სურვილი, ამბიცია კი არა, უმძიმესი ტვირთია, რომელიც საქმის სიყვარულის გამო უნდა ვზიდო.

— ალბათ იმასაც იტყვით, რომ როგორც ხელოვანი კონიექტურული მოსაზრებებით კომპრომისზე არასოდეს წასულხართ...

— ჩემი ცხოვრების მანძილზე, მხოლოდ ერთი კომპრომისი მახსენდება, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს უკავშირდება. მაშინ ჩემს ოჯახს ძალიან უჭირდა, შემოსავლის არანაირი წყარო არ გვქონდა. ამიტომ დავთანხმდი, დამეხატა კომპოზიცია — „ლერმონტოვი საქართველოში". იმდენად გამიძნელდა ამ სურათის შექმნა, რომ ტილოზე ფუნჯის დადებას ძლივს ვახერხებდი, მაგრამ თავს ძალა დავატანე და ნახატი შევასრულე. სამაგიეროდ, მივიღე 2.500 მანეთი. ეს ჩემთვის სერიოზული თანხა იყო. კვების პროდუქტებთან ერთად, მაცივარი და სხვა ნივთებიც შევიძინეთ... ამ ამბის შემდეგ, წლები გავიდა. ეს ნამუშევარი მხატვრის სახლში, კუთხეში მიგდებული ვიპოვე. არ დამიჯერებთ, მაგრამ მოვიპარე, შინ წამოვიღე და გავანადგურე... შარშანაც მომიხდა ერთ კომპრომისზე წასვლა, მაგრამ ეს საკითხი ჩემს შვილს ეხება და მასზე საუბარი არ მსურს.

— ალბათ ლაშას მოთხრობის „პირველი რუსის" გამო, ატეხილ სკანდალს გულისხმობთ?.. გულახდილად მითხარით — თქვენ ის დაიცავით, როგორც მამამ თუ, როგორც მკითხველმა?

— ორივე პოზიციიდან. არ შეიძლება, ხელოვანი შეზღუდო, მით უმეტეს, რომ მისი ნაწარმოების სათაურშივე ჩანდა — ავტორი თამარს კი არ შეურაცხყოფდა, არამედ რუსებთან ჩვენს დამოკიდებულებას ამათრახებდა, მძიმე ფორმით ამხელდა იმ მონურ ფსიქიკას, დიდ მეზობელთან მიმართებაში რომ იკითხება... ბავშვს ამგვარი შემართება ჰქონდა და რატომ არ ავყვებოდი?!. ლაშა ძალიან თვითკრიტიკულია, ამიტომ თავისი ნაშრომის მიმართ თვითონვე ჰქონდა გარკვეული პრეტენზიები, მაგრამ მის წინააღმდეგ გალაშქრებას არ უნდა ჰქონოდა პოლიტიკური და ინკვიზიციური ხასიათი.

— ხელოვანების გარემოცვაში ალბათ თქვენს ქალიშვილსაც გაუჭირდება სხვა საქმიანობის არჩევა...

— ნინიკო ჯერ თხუთმეტი წლისაა და ცდილობს, საკუთარი თავი იპოვოს. ჯერჯერობით, უცხო ენის შესწავლითა და ფეხბურთითაა გატაცებული, განსაკუთრებით მადრიდის „რეალითაა" მოხიბლული. თავის ოთახში ჩემი ნახატები ჩამოხსნა და რაულის ფოტოები დაკიდა...

— თქვენ ამ ამბავმა არ გაგაღიზიანათ?

— არა. წარმოიდგინე — დედა ხელოვნებათმცოდნეა, მთელი დღე წიგნებში იქექება, ძმა პიესებს წერს, მამა კი დაუსრულებლად ჯღაბნის ტილოებს. თვითონაც რომ იგივე აკეთოს, ჩვენ შორის ჩაიკარგება, ამიტომ საკუთარ გზას ეძებს. მომავალი გვიჩვენებს, შეძლებს თუ არა, იყოს ინდივიდუალური.

■

ანი და გია ბუღაძეები ქალიშვილთან ერთად

საბერძნეთიდან ორმა ოჯახმა გამოგვიგზავნა საჩუქრები — ტანსაცმელი და საკვები

„ეს ყველაფერი ადრე, არც კი დაგვესიზმრებოდა...“

ლიანა ჭანკოტაძე

ალბათ ყველას ახსოვს ჩვენს ჟურნალში („გზა“ 2002 წ. №10) გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ხაშურის რაიონის სოფელ გომში მცხოვრებ შიუკაშვილების მრავალშვილიან ოჯახს შეეხებოდა. ქალბატონი ლენა და ბატონი ჯემალი აუტანელ სიღარიბეში ცხოვრობდნენ და გაჭირვებით ახერხებდნენ შვიდი მცირეწლოვანი ბავშვის გამოკვებას. ჩვენს პუბლიკაციას უამრავი კეთილი ადამიანი გამოეხმაურა. პირველი დახმარება ამ ოჯახს, ჩვენმა რედაქციამ აღმოუჩინა. შემდეგ კი, არა მარტო ქართველმა, არამედ ბევრმა უცხოელმა და უცხოეთში მცხოვრებმა ადამიანმაც მოისხა ხელმოკლე ოჯახის მადლი. ქალბატონი ლენა გვიამბობს:

— მახსოვს, ინტერვიუსთვის რომ მოხვედით, იმ დღეს მეზობლის მოცემულ, ღორის ნაწლავებს ვრეცხავდი, ახლა კი, საახალწლოდ, ჩვენ თვითონ დავკალით ღორი, რომელიც კეთილი ხალხის მიერ მოტანილი ფქვილითა თუ სხვა საკვებით გამოვზარდეთ. უნდა გენახათ, რა ბედნიერება ტრიალებდა ჩვენს ეზოში, ასეთი გახარებული ბავშვები არასოდეს მინახავს — მათ სახეზე ხომ მანამდე ერთთავად ტკივილი იყო აღბეჭდილი.

— ვიცი, ბევრი ადამიანი მოვიდა თქვენთან დახმარების მიზნით.

— ვინ მოთვლის?! მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ზოგი თავის სახელსაც კი არ გვეუბნებოდა. ისე გვიტოვებდა საჩუქრებს. რა აღარ მოგვიტანეს — ფქვილი, სხვადასხვა პროდუქტი, უამრავი ტანსაცმელი, სათამაშო...

— ბოლო დროს თუ მოსულა ვინმე?

— დიახ, საახალწლოდ მოვიდა ერთი კაცი, ტკბილეული, შაქარი და ფქვილი მოგვიტანა. მიუხედავად გაჭირვებული ყოფა-ცხოვრებისა, ხალხს ჩემი საცოდავი ოჯახი მაინც არ ავიწყდება. ქუთაისიდან მოვიდნენ უნივერსიტეტის ლექტორები და სტუდენტები, ის კი არა და, დაგვპირდნენ — უფროს გოგონას ჩვენთან ვასწავლითო... იყვნენ თბილისიდან სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, სამღვდელოება. თბილისიდან იყო ჩამოსული მამა გიორგი. ხაშურის ეკლესია ყოველთვიურად ორმოცდაათ ლარს გვიგზავნის, ამას ემატება რაიონის გამგეობის ოცდათხუთმეტი ლარი, რაც ძალიან დიდი შვებაა ჩვენთვის. სულ რომ არავინ მოვიდეს და არაფერი მოგვიტანოს, იმის იმედი მაინც მაქვს, რომ ბავშვებს პური არ გამოელევათ.

— რამდენადაც ვიცით, საზღვარგარეთიდანაც დაგეხმარნენ?

— დიახ. საბერძნეთიდან ორმა ოჯახმა გამოგვიგზავნა საჩუქრები — ტანსაცმელი და საკვები. ჩემი შვილები ამაყობენ და ბედნიერები არიან იმით, რომ ამერიკელმა და-ძმამ — ხუთი და შვიდი წლის — ადამმა და კარინამ გამოუგზავნეს საჩუქრები, ფოტოსურათთან და წერილთან ერთად, რომელშიც წერდნენ, რომ ყველანი ძალიან უყვართ და ბევრი იფიქრეს ჩემს შვილებზე...

შუათანა გოგონას კი, დიდი ხნის ოცნება აუხდა

— როგორც ვიცი, რამდენიმე თვის წინ თბილისშიც იყავით მიწვეულები.

— შავი ზღვის აუზის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გაგვიმართა საქველმოქმედო კონცერტი. სპეციალურად გამოგვიგზავნეს მიკროავტობუსი და წაგვიყვანეს. კონცერტი უნივერსიტეტის შენობაში გაიმართა. ბავშვები ბედნიერები იყვნენ ქართველ მომღერლებთან შეხვედრით. ბოლოს, სცენაზე აგვიყვანეს და საჩუქრები გადმოგვცეს. მერე მიკროავტობუსი ტკბილეულით გაავსეს, ორასი ლარიც გადმოგვცეს — კონცერტის შემოსავალი. იმ ფულით პატარა ტელევიზორი ვიყიდეთ, ნაწილი შევინახეთ.

— ე.ი. შეიძლება ითქვას, ცოტა წელში გაიმართა თქვენი ოჯახი.

— რა შედარებაა?! ადრე, მთელი ერთი კვირა შეიძლებოდა, ისე გასულიყო, რომ ლუკმა არ გვეგემა... ბავშვებს ტანსაცმელი და სათამაშოები გაუჩნდათ, აღარც საწოლების უქონლობას განვიცდით. ამას წინათ, ორადგილიანი ხის ტახტი გვაჩუქეს. შუათანა გოგონას კი, დიდი ხნის ოცნება აუხდა: მუსიკის მასწავლებელი, ქალბატონი ნანა უფასოდ ამეცადინებს. ეს ყველაფერი ადრე, არც კი დაგვესიზმრებოდა. მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენი გაჭირვება გაიზიარა და ხელი გაგვიმართა! ღმერთი გადაუხდის მათ გაღებული სიკეთისათვის. ■

სახელოვანი მშობლების შვილობა აბა, ვის არ ეამაყება? როგორია — დედა, უსაყვარლესი მსახიობი გყავდეს, მამა — მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ლიტერატორი, მწერალი, დიპლომატი? თანაც ორივე — ლამაზი, წარმოსადეგი, საყოველთაო ყურადღების ობიექტი და ბოლოს — ლეგენდად ქცეული სიყვარულის „ავტორი“! დაგვეთანხმებით — ბედნიერებაცაა და დიდი პასუხისმგებლობაც. ასეთ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული ბატონი ლაშა — მედეა ჯაფარიძისა და რევაზ თაბუკაშვილის ვაჟი.

ერთმანეთისა და სიკეთისათვის დაბადებულნი

ანუ სტუმრად თაბუკაშვილების ოჯახში

მარინა ბაბუნაშვილი

— ბატონო ლაშა, თქვენი მშობლების სიყვარულზე ლეგენდები დადიოდა. გვიამბეთ მათზე.

— ახალგაზრდობაში ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეიძლება, „სტაჟიან“ ცოლ-ქმარს ჭაბუკური გატაცებით ასე უყვარდეს ერთმანეთი-მეთქი. მერე მეც დავკაცდი, ჩემთანაც მოვიდა სიყვარული, მეც გავხდი „სტაჟიანი“ და ამ გადასახედიდან აღარ მიკვირს მათი გაუცვეთელ გრძნობა. ისინი ერთმანეთით ხარობდნენ, ცალ-ცალკე ვერც კი აღიქვამდნენ სილამაზეს, ერთად ყოფნისას კი, თითქოს მეცხრე ცაზე იყვნენ — ყველათი და ყველაფრით აღტაცებას გამოხატავდნენ. ორივეს მიმტევებელი ხასიათი ჰქონდა, დედას — განსაკუთრებით. ჩემს მშობლებს უზომოდ უყვარდათ სხვისთვის დახმარების გაწევა. ისინი თითქოს ერთმანეთისა და სიკეთისთვის იყვნენ დაბადებულნი...

— ქალბატონმა მედეამ, ისე შეისისხლხორცა ყვავილების გამყიდველი გოგონას როლი (ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“), თურმე კარგა ხანს ელიზას ეძახდნენ...

— როცა „პიგმალიონის“ პრემიერის დღე დადგა, მამამ, ჯაბა იოსელიანი იხმო თავისთან. ჯაბა ხომ თავიდანვე ჩემი მშობლების მეგობარი იყო, მერე კი ჩემი ნათლია გახდა. რეზომ მუჭში ჩაუტენა ფული ჯაბას და უთხრა: გთხოვ, წადი და მედიკოს ყვავილები მოუტანეო. ჯაბამ მუშტი გაშალა და გაკვირვებულმა ჰკითხა რეზოს: რად მინდა ამდენი? ამით ხომ მთელი ბაღი მომივაო? მამამ უპასუხა: ჰოდა, შენც მთელი ბაღი აქ მოუტანეო... მამაჩემს არასოდეს დაუმალავს ის გრძნობა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე ჰქონდა დედის მიმართ.

— ქალბატონი მედეა გვარად მაჭავარიანი იყო, დედის გვარზე რატომ გადავიდა?

— ჩემი ბაბუა — მედიკოს მამა 1937 წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს. მაშინ, რეპრესირებულის შვილიც ხალხის მტრად ითვლებოდა. ამიტომ ბებიამ იგი სასწრაფოდ გადაიყვანა თავის გვარზე. მისი მოვლა-პატრონობა ბიძის — ალიოშა ჯაფარიძის მეუღლემ, ვარო ჯაფარიძემ და ბიძაშვილებმა იკისრეს. დედა მთელი ცხოვრება ემადლიერებოდა ვარო ბიცოლას, რომელიც არაფერს იშურებდა მედიკოსათვის.

— მას შემდეგ, რაც „თბილისქალაქობის“ ზეიმი ტრადიციად იქცა, ქალბატონი მედეა მუდამ ამ სასიამოვნო ორომტრიალის შუაგულში იყო.

— „თბილისობის“ ზეიმი რომ შემოიღეს, ქალაქის მესვეურებმა „ქეთო და კოტეს“ რეჟისორი, ვახტანგ ტაბლიაშვილი და დედა მიიწვიეს საპატიო სტუმრებად, გამოაწყვეს ძველთბილისურ სამოსში, გვერდით ყარაჩოხელები ამოუყენეს, ჩასვეს ეტლში და მთელი თბილისი შემოატარეს.

— ქალბატონი მედიკო დეპუტატიც ყოფილა ერთხანს.

— დეპუტატობის იმ ოთხწელიწადს მას არც თეატრში უთამაშია, არც კინოთი დაკავებულა, რადგან ამბობდა: იმდენად საპასუხისმგებლო მოვალეობა მაკისრია, მსახიობობას ვერ შევუთავსებ, ორივეს ერთად რომ შევეჭიდო, ვიცი, არც ერთი არ გამომივაო...

— ბატონო ლაშა, თქვენს სიყვარულზეც ბევრი უჩვეულო ამბავი მსმენია. ამბობენ: ლაშა და „პატარა“ მედიკო (როგორც თქვენს მეუღლეს ახლობლები ეძახიან), ყველგან ხელიხელჩაკიდებულნი დადიოდნენო. გვიამბეთ რამე იმ პერიოდის შესახებ.

— მედიკო უნივერსიტეტის ბაღში გამაცნო ჩემმა მეგობარმა. მაშინვე მოვიხიბლე მისით. მან კი რატომღაც ცხვირი ამიბზუა, კარგა ხანს, ცივად მექცეოდა. მერე გამომიტყდა: გოგონების ყურადღებით განებივრებული ბიჭი მეგონე და ამიტომაც არ მომწონდი თავიდანო... ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და დღემდე ასეა. იცით, რა ლამაზი გოგო იყო? თანაც, ძალიან მიხაროდა, რომ დედაჩემის მოსახელე იყო. ცხრამეტი წლის ვიყავი, ცოლად რომ შევირთე.

— ასეთ ახალგაზრდებს ალბათ, გიჭირდათ სწავლისა და მშობლის მოვალეობის ურთიერთშეთავსება, არა?

— მედიკო ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა შვილი შეგვეძინა. ჯერ რეზიკო გაჩნდა, ოთხი წლის მერე კი — ოთარი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს შვილებთან ერთად გავიზარდეთ. სურვილი ყოველთვის მქონდა იმისა, რომ ბავშვების აღზრდაში დავხმარებოდი მედიკოს, მაგრამ რამდენად გამომდიოდა ეს, მიხვდებით, როცა ერთ ეპიზოდს გიამბობთ. რეზიკო ჯერ კიდევ ძალიან პატარა ბრძანდებოდა — 8 თუ 9 თვის. უნივერსიტეტში საზაფხულო სესია იყო დაწყებული და მედიკოსაც ერთ-ერთ გამოცდაზე აგვიანდებოდა. თავი გამოვიდე: მშვიდად წადი, ბავშვს მე დავიტოვებ-

„ქეთო და კოტეს“ გადამღები ჯგუფი (შუაში რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი)

მთათუშეთში ყოფნისას, ბათირას მონდომებით გადავწყვიტეთ, ფიცვერცხლნაჭამი

ლამა, „პატარა“ მედიკო და რეზიკო

მეთქი. წავიდა თუ არა, გადავწყვიტე, რეზიკოსთვის მზის აბაზანის პროცედურა ჩამეტარებინა (იმ პერიოდში ბავშვს ხშირად აწვენდნენ მთლად შიშველს მზის გულზე, ამ ყველაფრის მომსწრე მეც ვიყავი). მართლაც, გავაშიშვლე, შევარჩიე მზიანი ადგილი და მზეს მივუფიცხე ჩემი შვილი. მე კი (წინა ღამის ნამთვრალევი გახლდით და თავი მისკდებოდა), გადავწყვიტე, მურაბიანი წყლით გამოვსულიყავი „პახმელიაზე“. გავიმზადე ცივი სასმელი, შიგ ყინულის ნატეხები ჩავყარე და ბავშვს გვერდით მივუჯექი. დროდადრო, ნებანება ვსვამდი. დღესაც არ ვიცი, როგორ მოხდა – მაგიდაზე დადგმულ ჭიქას ხელი რომ წავავლე, გამისხლტა და გაყინული წყალი მზის გულზე მიფიცხებულ ბავშვს გადაესხა. დღემდე არ დამავიწყდება რეზიკოს გაკვირვებული მზერა. თითქოს თვალებით მეუბნებოდა: რას მერჩი, მამა, რატომ მკლავო?!. მას მერე თავი აღარ გამომიდვია ბავშვების მოვლა-პატრონობაზე.

— ვისაც ლიტერატურასთან შეხება აქვს, თითქმის ყველას, ბავშვობისას მაშინდელ პიონერთა სასახლეში უვლია. ვიცი, რომ არც თქვენ ხართ გამონაკლისი.

– მაშინდელი სასახლე (ალბათ ახლანდელიც) მოზარდის ნიჭისა და უნარის დამფრთიანებელი იყო. ბავშვობიდანვე ვწერდი ლექსებსა და მოთხრობებს. ახლობლების რჩევით, მივედი სასახლის ნორჩ შემოქმედთა წრეში. ლიტერატურის კაბინეტის გამგე ქალბატონი ფაცია პაიჭაძე გახლდათ. ჩვენ მას ფაცია დეიდას ვეძახდით. იგი ღრმად სწვდებოდა ბავშვის სულს და არაჩვეულებრივად კარგად ხედავდა იმ უნარს, რაც მოზარდს ჰქონდა. არასოდეს დამავიწყდება ის ორი კვირა, რომელიც ფაცია დეიდას ინიციატივით მთათუშეთში გავატარეთ. ურბანიზებული და ხმაურიანი ქალაქიდან ერთბაშად აღმოვჩნდით პირველყოფილ, თითქოსდა გაცოცხლებულ, მითოლოგიურ სამყაროში და ჩვენ თვალწინ ზღაპრული სურათი გადაიშალა: ვერტმფრენი, კარავი, ზურგჩანთა, საძილე ტომარა, ძველქართული ხიბლის მქონე სახელები, ომალო, დიკლო, ფარსმა, ცხენზე ამხედრებული თუში ბათირა, ლექსებში დათენებული ღამე... მიხარია, რომ ჩემი ცხოვრების ეს უმშვენიერესი ეპიზოდი ფოტოსურათმაც დააფიქსირა... მთათუშეთში ყოფნისას, ბათირას მონდომებით გადავწყვიტეთ, ფიცვერცხლნაჭამი მეგობრები გავმხდარიყავით და მართლაც, რამაზ საყვარელიძემ (ცნობილი პოლიტოლოგი), მანანა ხელაიამ (ჩინებული ლიტერატორი და გერმანიაში ჩვენი ელჩის, კოტე გაბაშვილის მეუღლე), ნინო რამიშვილმა (გერმანული სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი) და ჩვენმა უსაყვარლესმა უფროსმა მეგობარმა, ფილოლოგმა მანანა ჯანელიძემ, ფიცვერცხლობის გასაოცარი რიტუალით სამუდამო დამმობა შევფიცეთ ერთმანეთს. თითოეულ ჩვენგანს დღემდე მოგვყვება ერთურთის სიყვარული და პატივისცემა.

— ბატონო ლაშა, თქვენი პიესები მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იდგმებოდა უფრო ხშირად...

– ჩემი სამეგობრო საკმაოდ დიდია, მაგრამ მარჯანიშვილელებთან ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებდა: ალბათ იმიტომ, რომ დედაც იქ იყო. ჩემი პირველი პიესა – „ჭრილობა“ – მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა. მთავარ როლს საშა იოსელიანი ასრულებდა. საშკა დღეს აღარ არის, მოგეხსენებათ – აფხაზეთში დაიღუპა. მისმა სიკვდილმა უზომოდ დამწყვიტა გული. საშკა საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო, რომელიც არასდროს არაფერს იშურებდა მეგობრებისათვის... მახსოვს, ერთხანს ძალიან გავსუქდი. ერთ მშვენიერ დღეს, შინ მისულს სიურპრიზი დამხვდა: საშკას სავარჯიშო ტრენაჟორები და კედლის კიბე მოეტანა და დაემონტაჟებინა. ის ხომ ძალიან სპორტული კაცი იყო, ვერ აიტანა ჩემი ფორმის შეცვლა და ამიტომაც გადაწყვიტა, რომ ვარჯიში მიშველიდა. მართლაც – მიშველა... მას უნიკალური ვიდეომასალა ჰქონდა გადაღებული აფხაზეთში. სამწუხაროდ, ბევრი საშკასნაირი ვაჟკაცი შეეწირა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებს...

— დაბოლოს — ბატონი რეზოს ბიოგრაფიის ერთ შტრიხს მინდა შევეხოთ. ვიცი, რომ მამათქვენს ხატების შეგროვება უყვარდა...

– მამაჩემს მართლაც ძალიან უყვარდა ხატების შეძენა. შეიძლება ითქვას, რომ კოლექციონერი იყო ხატებისა. რა თქმა უნდა, კარგია, როცა შინ გაქვს ხატი, სანთელს ანთებ და ლოცულობ, მაგრამ მისი ადგილი მაინც საღმრთო სახლშია. ამ სამი წლის წინ გადავწყვიტე, რომ ღვთისმშობლის ხატი საპატრიარქოსთვის მეჩუქებინა. პირადად უწმიდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს გადავეცი ჩვენი ოჯახის ხატი. მაღალი ღმერთი და ღვთისმშობელი მარიამი იყოს ჩემი ქვეყნისა და ერის მფარველი!

პირადად უწმიდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს გადავეცი ჩვენი ოჯახის ხატი

ოჯახში ერთს ყოველთვის წამყვანის როლი აკისრია, მეორეს კი — მიმყოლის. როცა ამა თუ იმ როლის შესრულებას კისრულობთ, ქცევის გარკვეულ ნორმებს უნდა დაემორჩილოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ოჯახური თანაცხოვრება, შესაძლოა, ლიდერობისათვის გაუთავებელი ბრძოლის ასპარეზად იქცეს. როგორც არ უნდა ატრიალო, ჭეშმარიტება ერთია — ორთქლმავალი, რომელსაც ვაგონები მიჰყავს, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ, შემადგენლობა დანიშნულების ადგილს ვერ აღწევს...

ლიდერი კი არა, ნამდვილი ტირანია!

რა უნდა ვქნათ, როცა მეუღლე მიიჩნევს, რომ იგი უფლებამოსილია, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ჩვენი ერთობლივი ცხოვრების ნებისმიერი საკითხი?

ქალის თვალსაზრისი

ეკა, 32 წლის:

დიტო ყოველთვის გამოირჩეოდა იმით, რომ მტკიცედ იცოდა, რა უნდოდა ამ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდში, არასოდეს მიწევდა იმაზე ფიქრი, თუ სად წავსულიყავით დროის გასატარებლად, ან არდადეგებზე სად დაგვესვენა. დიტომ ყოველთვის იცოდა, რომელ კინოთეატრში უჩვენებდნენ ჩემთვის სასურველ ფილმს. ასე რომ, ჩემს ფუნქციებში იმთავითვე, მხოლოდ თავის მოწესრიგება და მასთან შეხვედრა შედიოდა. საბოლოოდ, ყველაზე მეტად, სწორედ ამ მზრუნველობამ დაიპყრო ჩემი გული (ახლა კი მიმაჩნია, რომ სწორედ ამან დამღუპა) და ცოლობაზე დავთანხმდი. ჩვენ დავქორწინდით და თავდაპირველად, მისი ასეთი მზრუნველი დამოკიდებულება მხიბლავდა კიდეც. დიტო თავად არჩევდა მაღაზიაში ხორცს, ადგილს, სადაც შვებულება უნდა გაგვეტარებინა, თავადვე ყიდულობდა ჩემთვის ჭურჭს... გარკვეული ხნის შემდეგ, მისი მოჭარბებული მზრუნველობა ჩემთვის მოსაბეზრებელი გახდა, ახლა კი, საერთოდ ტირანად იქცა. მე აღარ მსურს, რომ პირში ვუყურო ქმარს და ყველაფერში დავეთანხმო. ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ მაქვს ჩემი აზრი! მაგრამ დიტოს ეს სულაც არ აინტერესებს... რატომ არ შეიძლება, რომ თუნდაც დასასვენებელი ადგილის შერჩევისას მომეთათბიროს? ნებისმიერი ნორმალური ადამიანივით, მეც ხომ რაღაცა მინდა და რაღაცა — არა? დიტოს ჩემი აზრებისადმი უცნაური დამოკიდებულება აქვს. იგი ამბობს, რომ ყველა ქალი ქათმისტვინაა და მათ არანაირი ლოგიკა არ გააჩნიათ. „ქალური ლოგიკა კი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამოიგონეს, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სრული უგუნურება დაემალათ", — მითხრა ერთხელ მან, „გულახდილი" საუბრისას. სინამდვილეში ხომ, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ცხოვრებისეულ წვრილმანებში ქალები უკეთ ერკვევიან და ინტუიციაც მათ უფრო გამახვილებული აქვთ. ამის უამრავი მაგალითი არსებობს! არაერთხელ მომხდარა ისე, რომ დიტოს არც ჩემი აზრი გაუთვალისწინებია და არც ჩემი წინათგრძნობისთვის გაუწევია ანგარიში; შემდეგ კი აღმოჩენილა, რომ მე მართალი ვიყავი. თუმცა, მას ეს არც დაუფიქსირებია და საკუთარი შეცდომაც არასოდეს უღიარებია! ნუთუ, ეს ყველაფერი საწყენი არ არის! გამოდის, რომ მე ერთი უტვინო არსება ვარ და ჩემთვის ისიც კი გაუგებარი ხდება, რატომ ვიმყოფები მის გვერდით.

თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ლიდერის თვისებებით არ გამოვირჩევი. ჩემთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება — პრობლემაა. ყველაფერს ათჯერ მაინც ავწონ-დავწონი ხოლმე, ახლობლებსა და მეგობრებს რჩევას ვეკითხები და მხოლოდ ამის შემდეგ ვიღებ გადაწყვეტილებას. ალბათ დიტო ასეთი თავდაჯერებული და გაბედავი რომ იყო, სწორედ იმიტომ შევიყვარე. მაგრამ მეორე მხრივ, ხომ არ შეიძლება, რომ მუდამ პატარა, სულელი ბავშვივით მექცეოდეს?! ლიდერობას არ ველტვი და არც ამ სტატუსის მოსაპოვებლად მასთან ცილობას ვაპირებ, მაგრამ საკუთარი თავის მნიშვნელოვნობა მეც მსურს, რომ შევი-

| ძველებური, იშვიათი ნიუთების მაღაზია | | |

გრძნო. არსებობს რაღაც-რაღაცები, რაშიც მე უკეთ ვერკვევი (და დიტომ ეს თავადაც კარგად იცის), თუმცა იგი ამ შემთხვევაშიც ახერხებს, ისე მოაწყოს საქმე, რომ საკუთარი ფხიზელი მეთვალყურეობის აუცილებლობა წარმოაჩინოს. რა თქმა უნდა, ამის გამო, მასთან გაყრას სულაც არ ვაპირებ, მით უმეტეს, რომ რაღაც თვალსაზრისით, ჩემთვის ასეთი მდგომარეობა მოსახერხებელია (ნაკლები პრობლემა მაქვს და ფიქრიც თითქმის არაფერზე მიწევს), მაგრამ წყენა კი, ნამდვილად მახრჩობს.

მამაკაცის თვალსაზრისი

დიტო, 35 წლის:

ოჯახში, უფროსი შვილი ვიყავი, ამიტომ ჩემი უმცროსი და-ძმის მაგივრად, გადაწყვეტილების მიღებას ბავშვობიდანვე მივეჩვიე. ჩემი აზრით, ეს ნორმალური, მამაკაცური პოზიციაა. მამაკაცი ხომ ოჯახის დამცველი და მარჩენალია. ისტორიულად ასე მოგვდგამს, სწორედ მის მხრებზე გადადის ყველა სიმძიმე. ვერ ვიტან კაცუნებს, ცოლებს კისერზე რომ შეაჯდებიან და აჭენებენ. მე ასეთი არა ვარ და მეამაყება კიდეც! ოჯახს საკმაოდ კარგად ვუძღვები. ცოლ-შვილს არაფერი აკლია. ჩემი საზოგადოებრივი

მდგომარეობა და ფინანსური კეთილდღეობა სწორედ იმით მოვიპოვე, რომ დღეში რამდენჯერმე, დამოუკიდებლად ვიღებდი გადაწყვეტილებას. სასაცილო იქნებოდა, ცოლისათვის რჩევა მეკითხა — რომელ ბანკში დამებანდებინა ფული, ან რომელი მომწოდებლისაგან შემეძინა საქონელი, — მას ხომ ამის არაფერი გაეგება!

ოჯახური საქმეების თაობაზე კი, ეკა აშკარად აზვიადებს. მე მას ვეთათბირები ხოლმე, უბრალოდ შეიძლება, იგი ამას ვერ ამჩნევს, ან არ უნდა, რომ შეამჩნიოს. გეთანხმებით, ასეთი რამ არცთუ ისე ხშირად ხდება, მაგრამ ამის ახსნაც შემიძლია. ზოგჯერ, მოგზაურობის მარშრუტის მასთან შესათანხმებლად, უბრალოდ დრო არ მყოფნის: მთავაზობენ ხელსაყრელ ტურს — მე მაშინვე ვთანხმდები და საგზურს ვყიდულობ. თანაც არა მგონია, მისთვის მნიშვნელობა ჰქონდეს, სად დაისვენებს. უმთავრესი ხომ ისაა, რომ ერთად მივემგზავრებით და თანაც არცთუ ისე ურიგო ადგილას. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ეკას არ მოსწონებოდა იქ, სადაც წამიყვანია. მე ხომ ჩემი ცოლის გემოვნება კარგად ვიცი და ვცდილობ, შევარჩიო ის, რაც მას ესიამოვნება.

ქალური ლოგიკის თაობაზე განაწყენება კი, უაზრობად მიმაჩნია. ლოგიკური — ნათელი და არგუმენტირებული აზროვნების უნარი, მხოლოდ მამაკაცებს აქვთ. ქალებს ეს ინტუიციისა და ემოციის დონეზე აქვთ განვითარებული, ის კი ხშირ შემთხვევაში არასაიმედო პარტნიორია. გეთანხმებით, უნდა გავითვალისწინო ცოლის აზრიც, მაგრამ მე ხომ სწორედ ასე ვიქცევი. ყოველთვის ვუსმენ მას, შემდეგ კი ისე ვიქცევი, როგორც გონება მკარნახობს. ტყუილად ხომ არ ამბობენ — მოუსმინე ცოლს და რასაც გეტყვის, ყველაფერი პირიქით გააკეთეო. ეს სიბრძნე საუკუნეების მანძილზეა გამოცდილი. ასე რომ, ამ თემაზე კამათს აზრი არა აქვს. საერთოდ, პრობლემების გადაჭრით რატომ უნდა შეიწუხოს ქალმა თავი? მამაკაცი უფრო ძლიერია, ე.ი. პასუხისმგებლობაც თავად უნდა იტვირთოს. კარგად მახსოვს, ერთხელ ეკა სწორედ ისე მოიქცა, როგორც მას სურდა; შემდეგ კი, როცა ამ საქმიდან სასიკეთო არაფერი გამოვიდა, ყველაფერი მე გადმომაბრალა. მე არასოდეს ვიქცევი ასე. თუ შევცდები, საკუთარ შეცდომას ვაღიარებ და სხვას არ დავადანაშაულებ. პასუხისმგებლობა საკმაოდ სერიოზული რამაა და მასთან გამკლავება ყველას როდი ძალუძს. ეკას, მაგალითად, იგი ნამდვილად არ ხელეწიფება. ასე რომ, სჯობს, ისევ მე გადავწყვიტო პრობლემები, მან კი მშვიდად და წყნარად იცხოვროს და ლამაზი თავი ცუდზე ფიქრით არ შეიწუხოს.

ფსიქოლოგის აზრი

რჩევა ცოლს

● ცოლ-ქმარს ყოველ ოჯახში თავისებური, სტერეოტიპული ქცევა უყალიბდება. თქვენს შემთხვევაში, მოხდა ისე, რომ ქორწინების პირველივე დღიდან გადაწყვეტილებას ოქვენი მეუღლე იღებს, თქვენ კი მას ემორჩილებით. თქვენ თავად აირჩიეთ ქცევის ასეთი მოდელი. იმისათვის, რომ შეცვალოთ ეს მოდელი, თავადვე უნდა შეიცვალოთ. რამდენად მზად ხართ საამისოდ?

● მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, მხოლოდ ამ შემთხვევაშია გამართლებული, როცა დარწმუნებული ხართ საკუთარი პოზიციის სისწორეში. თუ ამ ნაბიჯის გადასადგმელად გამბედაობა არ გყოფნით, სჯობს, გადაწყვეტილების მიღება ქმარს დაუთმოთ.

რჩევა ქმარს

● ალბათ ღირს, რომ არა მარტო მოისმინოთ, არამედ გაიგოთ კიდეც ის, რაზეც თქვენი მეუღლე გელაპარაკებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენმა ქედმაღლობამ და თვითრწმენამ შესაძლოა, ოჯახი დაგინგრიოთ.

● ზოგიერთ შემთხვევაში, გულის ხმა, გონების ხმაზე მნიშვნელოვან რჩევას იძლევა. ნუ იჩქარებთ, უმალ უარყოთ თქვენი მეუღლის მიერ შემოთავაზებული წინადადება, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თქვენთვის გაუგებარი — „გულის ხმიდან" მომდინარეობს. მით უმეტეს, რომ იყო შემთხვევები, როცა იგი მართალი აღმოჩნდა. ■



ცოდვის ჩადენა ნებისმიერ ადამიანს უწევს. ეკლესიური სწავლებით, ქრისტიანმა ცოდვა უნდა განიხილოს, როგორც გულისა და გონების არაწმინდა მდგომარეობა, რომლისგანაც ჩნდება ყოველი ბოროტება. ცოდვას ყოველთვის წინ უსწრებს ურჩობა, ე.ი. ყველაფერი ის, რაც ჰბადებს ფიქრს ცოდვაზე, გვიბიძგებს და გვაიძულებს ცოდვის ჩადენას... ცოდვასთან დაკავშირებით გვესაუბრება ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელი, მამა კონსტანტინე (გიორგაძე).

საიდან შემოდის ცოდვა ადამიანში?

მორენა მერკვილაძე

— ცოდვა არის ღვთის მიერ დადგენილი წესის დარღვევა. ე.ი. ნებისმიერი ჩვენი საქმე და ფიქრი, რომელიც გვაშორებს უფალს, მის მცნებებს გვავიწყებს და „სახარებისეულ“ სწავლებას არ ეთანხმება — ცოდვაა. რამეთუ უფალი ბრძანებს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე (იოანე 14, 5-6). ძველბერძნულ და ებრაულ (რომლებზეც საღვთო წერილი დაიწერა) ენებზე „ცოდვა“ ითარგმნება, როგორც გზიდან აცდენა. ადამიანი, რომელიც იესო ქრისტეს გზას ასცდება და მის სწავლებებს არ ითვალისწინებს, ცოდვილი ცხოვრებით ცხოვრობს.

— მაგრამ უფალი დედამიწაზე ხომ ადამიანთა ცოდვებისგან გამოსახსნელად მოვიდა. ცოდვა იესო ქრისტეს მოსვლამდეც არსებობდა. საიდან იღებს სათავეს ცოდვა?

— ქრისტიანული თვალსაზრისით, პირველი ცოდვა იყო იმ მთავარანგელოზის ცოდვით დაცემა, რომელსაც ღვთისგან დედამიწის დაცვა ჰქონდა დავალებული. მთავარანგელოზი ამპარტავნების, სიამაყის გამო დაეცა. სამუდამო ნეტარებისათვის გაჩენილმა, თვითონ მოინდომა გაღმერთება — ე.ი. ღმერთის ნებას არ დაემორჩილა, რისთვისაც სამუდამო სატანჯველისთვის გაიწირა. დედამიწაზე კი, ღმერთის ნებას პირველად, უზენაესი ღმერთის მიერ სამოთხეში დამკვიდრებული პირველი ადამიანები — ადამი და ევა შეეწინააღმდეგნენ, რაც ღვთის მიერ აკრძალული, კეთილისა და ბოროტის ცნობადის — ხის ნაყოფის გასინჯვით გამოიხატა. ეს იყო ადამიანების მიერ ჩადენილი პირველქმნილი ცოდვა, რასაც ადამიანის ცოდვით დაცემა და სამოთხიდან მისი გაძევება მოჰყვა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ცოდვისკენ მიდრეკილება სათავეს იღებს პირველი ადამიანების ცოდვით დაცემიდან. მათი ცოდვით დაცემისა და სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ, პირველქმნილი ცოდვა მემკვიდრეობით გადმოდის ყველა ადამიანზე, რასაც ემატება პიროვნული ცოდვები, რომელსაც ადამიანი ნებით თუ უნებლიეთ მოიმოქმედებს.

— საიდან შემოდის ცოდვა ადამიანში?

— როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ცოდვა, ზეცაში მთავარანგელოზმა ჩაიდინა. ცოდვით დაცემის შემდეგ, მთავარანგელოზი გახდა სატანა (რაც სიტყვასიტყვით, წინააღმდგომს ნიშნავს), მასზე დაქვემდებარებული ანგელოზები კი — ეშმაკები. ყოველი მანკიერება და ცოდვა სატანის და მისი მსახური ეშმაკებისგან მომდინარეობს, რადგან სატანამ, საკუთარი ბოროტი გამოცდილებით, კარგად იცის, როგორი სახით მიაწოდოს ადამიანს აზრი, რომელიც მას გარკვეულ წინააღმდეგობას შეუქმნის — ე.ი. ცოდვას ჩაადენინებს.

— მაინც რატომ მისცა ღმერთმა ადამიანს ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა?

— მართალია, ადამიანს ეშმაკი აცდუნებს, მაგრამ ცოდვის ჩადენას ვერ აიძულებს, რადგან ადამიანს ღვთისგან ნაბოძები აქვს თავისუფალი ნება, ე.ი. შეუძლია, საკუთარი ნებით დაემორჩილოს ბოროტ ძალას, ან უარყოს იგი. ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა სწორედ ადამიანის თავისუფალი ნებიდან მომდინარეობს. ღმერთს რომ ადამიანისთვის თავისუფალი ნება არ მიეცა, ანუ რაიმეთი შეეზღუდა, მისი სამართლიანობა დაირღვეოდა.

— ბუნებრივია, ადამიანს ცოდვად ეთვლება იმ ათი მცნების დარღვევა, რომელიც „ბიბლიის“ მიხედვით, ღმერთმა ქვის ორ ფილაზე დაწერილი დაუტოვა მოსეს სინას მთაზე. კიდევ რომელ ცოდვებს უნდა ერიდოს უპირველესად მორწმუნე ადამიანი?

— ეკლესიური სწავლებით, ცოდვათა ცოდვად მიიჩნევა: ამპარტავნება, ანუ საკუთარი თავის ყველაზე მაღლა დაყენება, თავდაჯერება და გაკვირვება საკუთარი თავით. არქიმანდრიტ რაფაელის განმარტებით, „ამპარტავნება არის თავის სისასტიკით ყველაზე დამღუპველი ვნება. ამპარტავნებამ ცანი შეარყია, ანგელოზი დემონად აქცია. ამპარტავნებამ ჩვენი წინაპრები სამოთხიდან გამოდევნა, ჩვენ კი მემკვიდრეობად გაჭირვება და მწუხარება დაგვიტოვა“. ამასთანავე, ამპარტავნება ისეთი ცოდვაა, რომელიც ისე აშკარად არ ჩანს, როგორც, დავუშვათ, სიძვა და ქურდობა, შესაბამისად ადამიანი ვერ გრძნობს, რომ ამპარტავნების ცოდვაშია... ამპარტავნების გარდა, ადამიანი უნდა ერიდოს ისეთ მომაკვდინებელ ცოდვებს, როგორიც არის: ნაყროვანება, სიძვა, ვერცხლისმოყვარეობა (სიმდიდრისკენ სწრაფვა და ფულის სიყვარული), მრისხანება, მოწყენილობა, საასოწარკვეთილება და დიდებისმოყვარეობა. რაც შეეხება ათ მცნებას — ეს ის მინიმუმია, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი უნდა იცავდეს და რომელზეც ადამიანმა სულიერი ცხოვრება უნდა დააშენოს.

— ეკლესიური სწავლებით, ადამიანმა ცოდვა შეიძლება ჩაიდინოს ღმერთის წინააღმდეგ, მოყვასის წინააღმდეგ და საკუთარი თავის წინააღმდეგ. რომელია ღმერთის წინააღმდეგ ჩად-

ენილი ცოდვები?

— ღმერთის წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვებია: რწმენაში დაეჭვება, სულიწმიდის გმობა, ლოცვის დაზარება, ლოცვის დროს გაფანტულობა, ღმერთის არსებობის დაუჯერებლობა, ეკლესიაში სიარულის, აღსარების და ზიარების მიტოვება, საღვთო დღესასწაულების დღეებში მუშაობა, ღმერთის გმობა, ღვთის წინაშე დადებული აღთქმის დარღვევა, ცრუ ფიცი. საკუთარი თავის და მოყვასის წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვებია: სიძვა, მრუშობა, ბილწსიტყვაობა, ლოთობა, ნაყროვანება, შური, სიძულვილი, ფარისევლური ლაპარაკი, ულმობლობა, სიჯიუტე, შურისძიება, წყენის დაუთმენლობა, სხვისი კუთვნილების მითვისება, ვალის გადაუხდელობა, მშობლების არად ჩაგდება, წყევლა, უსაფუძვლო ეჭვი, მოწყალების არგაცემა და სხვა. ცოდვათა სიმრავლის გამო, მათი სრულყოფილად ჩამოთვლა ვერ მოხერხდება, ამიტომ ადამიანმა ცოდვების შესახებ უნდა ჰკითხოს სულიერ მოძღვარს. ასევე შეიძლება შევიძინოთ სპეციალური გამოცემები, სადაც ცოდვათა სრული ჩამონათვალია (მაგალითად, „მოვემზადოთ აღსარებისთვის“, „რვა ძირითადი ვნება და ბრძოლა მათ წინააღმდეგ“, „აღსარებისთვის“ და სხვა). გარდა ამისა, მოძღვრის კურთხევით და მითითებების გათვალისწინებით ვიკითხოთ წმინდა წერილი („ახალი აღთქმა“) და სხვა სასულიერო ლიტერატურა, რაც ცოდვების შეცნობის შესაძლებლობას მოგვცემს.

— აწუხებს თუ არა ადამიანს ცოდვები მიწიერ ცხოვრებაში?

— ეკლესიური სწავლებით, ყველა ცოდვას თავისი ეშმაკისეული ძალა აქვს, რადგან როდესაც ადამიანი სცოდავს, მასში ეშმაკისეული ძალა შედის, რომელიც ადამიანის სულს მჭიდროდ ეკვრის. უპირველესად, ცოდვა ადამიანში იწვევს სინდისის ქენჯნას. ამასთანავე, ჩადენილი ცოდვების გამო, შესაძლოა, ღმერთმა ადამიანს ავადმყოფობა ან სხვა ცხოვრებისეული განსაცდელი მოუვლინოს.

P.S. რა ელოდება ცოდვილ სულს ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ? ითვლება თუ არა არცოდნა არცოდვად? გადადის თუ არა ცოდვა შვილ თაობაზე? რა გზა არსებობს ცოდვებისგან გასათავისუფლებლად? — ამ და სხვა კითხვებთან დაკავშირებით, „გზის“ მომდევნო ნომერში გესაუბრებით.

■

გალაკტიონის სიზვაკი

და მისი უკანასკნელი ფოტო

ჩვენი კოლეგა, ირაკლი გოცირიძე უკვე 80 წლის გახლავთ. მის ფოტოალბომში ბევრ საინტერესო ფოტოსურათს მივაგენით და მათ შორის იყო გალაკტონ ტაბიძის უკანასკნელი ფოტოც. აი, რა გვიამბო ამ ფოტოს შესახებ ბატონმა ირაკლიმ:

„კვირა დღე იყო. დილა. შემოსასვლელ კარში ზარის ხმა გაისმა. გასაღებად დედაჩემი გაემართა. უცებ გვესმის მისი გახარებული შეძახილი:

— გალაკტიონ, შენი ჭირიმე! მობრძანდი, მობრძანდი, გენაცვალე!

— ნუციკო, მე კი არა, შენ ჩაიცვი და წამოდი, — გავიგონეთ პასუხად ბუხუნა ხმა.

ისინი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

— რას ამბობ, ბიჭო? სად მიგყავარ?! — გაუკვირდა დედას.

— სად და სურათი უნდა გადავიღოთ მე და შენ. წუხელ სიზმარი ვნახე და უნდა გადავიღოთ. ჩაიცვი.

რამდენიმე დღის შემდეგ, გალაკტიონი საავადმყოფოში მოხვდა და... გარდაიცვალა, თავი მოიკლა. დედასთან გადაღებული სურათი მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა“.

ალბათ გალაკტიონმა უახლოეს მეგობარს გზად იმ სიზმრის შინაარსიც უამბო, რომელმაც მოსვენება დაუკარგა. ვინ იცის...

ნანა ქიბიმაური

ცრუმორწმუნე გოლეადორი ბრაბანტის პროვინციიდან

ალექსი რეხვიაშვილი

დოსიე:

დაბადების თარიღი: 1976 წლის 1 ივლისი

დაბადების ადგილი: ქალაქი ოსი (ჩრდილოეთ ბრაბანტი, ჰოლანდია)

სიმაღლე: 188 სმ

წონა: 80 კგ

კლუბები: „დენ ბოსხი“ (1993-97), „ჰერენვენი“ (1997-98), პსვ „ეინდჰოვენი“ (1998-2001), „მანჩესტერ იუნაიტედი“ (2001-დან დღემდე).

ჩვენმა მკითხველმა, უკვე იცის, რომ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციმ მსოფლიოს 2002 წლის საუკეთესო ფორვარდად რუდ ვან ნისტელროი დაასახელა. ბოლო წლებში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა აშკარა პროგრესი განიცადა და დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ ევროპაში. პლანეტის საუკეთესო ფორვარდთა რეიტინგში კი, ნისტელროიმ უკან ჩამოიტოვა ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან: მიროსლავ კლოზე და იონ დალ ტომასონი, რომ აღარაფერი ვთქვათ 2002 წლის საუკეთესო ბომბარდირსა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელ რონალდოზე.

დღეს რუდ ვან ნისტელროი მსოფლიოს ერთ-ერთ ექსტრაკლასის თავდამსხმელად არის მიჩნეული და მის შედეგიან თამაშს ისეა მიჩვეული ფეხბურთის ევროპელი გულშემატკივარი, რომ ვერც კი წარმოიდგენს, თუ ოდესმე, ჰოლანდიელი ფორვარდი უპერსპექტივო ფეხბურთელად ითვლებოდა. თვით რუდის მშობლიურ ქალაქ ოსშიც მანჩესტერელთა მომავალ ფორვარდს ყურადღებას არავინ აქცევდა და ევროპაში, ყველასათვის უცნობმა ისეთმა გუნდმაც კი დაიწუნა, როგორიც „ტოპ ოსია“. ამ ფაქტმა ნისტელროიზე ძალიან დამთრგუნველად იმოქმედა, რადგან „ტოპ ოსი“ ბავშვობიდან, მისი საყვარელი კლუბი იყო. ამბობენ, რომ იმ პერიოდში რუდს ფეხბურთისათვის თავის დანებებაც კი გადაუწყვეტია, მაგრამ სწორედ მაშინ, მისით ჩრდილოეთ ბრაბანტის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრის, ჰერტოგენ დენ ბოსხის კლუბის ხელმძღვანელობა დაინტერესებულა.

„დენ ბოსხში“ რუდი არაფრით გამოირჩეოდა და გოლებიც ძალზედ იშვიათად გაჰქონდა. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელობას გუნდიდან ნისტელროის გაშვება მაინც არ სურდა. „მანჩესტერის“ მომავალმა ფორვარდმა ბომბარდირული ნიჭი „დენ ბოსხში“ თამაშის დაწყებიდან მესამე სეზონში გამოავლინა, რის გამოც მისით ისეთი ცნობილი ჰოლანდიური კლუბები დაინტერესდნენ, როგორიცაა: „აიაქსი“, „ფეიენოორდი“, „ჰერენვენი“ და „ვიტესი“. „მაშინ ვფიქრობდი, რომ დიდი ფეხბურთისათვის მზად არ ვიყავი, — იხსენებს ნისტელროი, — თანაც, „დენ ბოსხის“ დატოვებაც მაინცდამაინც არ მსურდა. მიუხედავად ამისა, „ჰერენვენის“ წინადადება მაინც მივიღე და კლუბებმაც ხელშეკრულება გააფორმეს“.

სწორედ იმ პერიოდში, „ჰერენვენი“ ფორვარდმა იონ დალ ტომასონმა დატოვა და ნისტელროიში კლუბის ქომაგები სწორედ მის შემცვლელს ხედავდნენ. რუდმაც იმედი არ გაუცრუა მათ და გოლების გატანა „ჰერენვენშიც“ გააგრძელა. ცოტა ხნის შემდეგ კი, გუნდის გულშემატკივრები უკვე ხვდებოდნენ, რომ ნიჭიერი ფორვარდი მათ კლუბში დიდხანს აღარ დარჩებოდა და საფეხბურთო კარიერის გასაგრძელებლად, უფრო სახელოვან და პერსპექტიულ გუნდს მოძებნიდა. სწორედ იმ პერიოდში, ნისტელროის შეძენის სურვილი ერთდროულად „აიაქსმა“, „პსვ ეინდჰოვენმა“ და „ფეიენოორდმა“ გამოთქვეს. რუდისათვის ბრძოლაში „პსვ“-მ გაიმარჯვა, რაც თავად ფეხბურთელის სურვილმაც განაპირობა. იმ წლებში კლუბს ბობი რობსონი წვრთნიდა, რომელთანაც მუშაობაზეც ოცნებობდა ნისტელროი. თანაც მას ძალიან სურდა, რომ კვლავ წყნარ პროვინციულ ბრაბანტში ეთამაშა („პსვ“ სწორედ ბრაბანტული კლუბია).

არჩევანში ნისტელროი ნამდვილად არ შემცდარა. „პსვ“-ში გადასვლის შემდეგ მან კიდევ უფრო კარგად გამოავლინა თავისი გოლეადორული ნიჭი. რუდი მოედანზე უსიტყვოდ უგებდა ლუკ ნილისს და ყველაზე ხშირად, სწორედ მისი პასების შემდეგ გაჰქონდა გოლი. „ლუკი ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია, — ამბობდა ნისტელროი, — როგორც კი გავიფიქრებ, რომ ბურთის მიღებისთვის მზად ვარ, მაშინვე მისგან იდეალურ პასს ვიღებ, თითქოს ის ჩემს აზრებს კითხულობდეს. საერთოდ, ძალიან გამიმართლა, როდესაც „პსვ“-ში გადავედი და ისიც ვიცი, თუ რატომ. მე ცრუმორწმუნე ვარ და სხვადასხვა გარემოებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. „ჰერენვენში“ პირველად მზარეული გავიცანი და ჩემი კარიერა შესანიშნავად აეწყო. „პსვ“-შიც, პირველი, სწორედ მზარეული გავიცანი და აი, შედეგიც! აბა, მოდი და ამის შემდეგ ასეთ რამეებს ნუ ირწმუნებ“.

„პსვ“-ს მზარეულის გაცნობამ“ რუდს მართლაც დიდი წარმატება მოუტანა. მას გოლები თითქმის ყველა მატჩში გაჰქონდა და ჰოლანდიის საუკეთესო ბომბარდირად იქცა. 1998 წლის 18 ნოემბერს კი, მან ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც ჩაატარა თავისი პირველი მატჩი გერმანიის გუნდთან. იმავე წელს, ნისტელროი, ბომბარდირთა

ევროპულ რეიტინგში მეორე იყო, ხოლო სამშობლოში საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ერთი წლის შემდეგ, ჰოლანდიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავით ისეთი ევროპული გრანდები დაინტერესდნენ, როგორიც არის: „რეალი“, „ბარსელონა“ და „ბავარია“. მაგრამ „პსვ“-მ შეძლო ფორვარდის შენარჩუნება. ისე კი, ჰოლანდიის დატოვებას მაინცდამაინც არც თავად ნისტელროი ცდილობდა. „საზღვარგარეთ წასვლა ადრევე არ მსურდა, — ამბობს რუდი, — უფრო მეტიც — წასვლას საერთოდ არ ვაპირებდი, რადგან თავს მოუმზადებლად მივიჩნევდი. საჭირო იყო არა მარტო საფეხბურთო, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვება“. ასე ფიქრობდა მაშინ ნისტელროი, თუმცა თავად „პსვ“-ს ხელმძღვანელობა სარფიანი გარიგების მისაღწევად ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მესვეურებთან. „როგორც კი აგენტმა იმის შესახებ მაცნობა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ იჩენდა ჩემდამი ინტერესს, განწყობა რამდენადმე შემეცვალა. „უნდა გავრისკო, — გავიფიქრე მე, თუმცა ბავშვობაში ამ გუნდის მიმართ სიმპათიით არასოდეს ვყოფილვარ განწყობილი. მე „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ქომაგი ვიყავი და „არსენალსაც“ ვერ ვიტანდი. ასე რომ, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, ალექს ფერგიუსონის გუნდში გადასვლაზე დავთანხმდი“, — იხსენებს რუდი, რომელმაც ინგლისში წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს.

ტრავმის მოშუშებისთანავე ნისტელროი მანჩესტერისკენ გაეშურა, სადაც ის კლუბის ახალწვეულად წარუდგინეს გულშემატკივრებსა და მასმედიას. თითქოს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რუდმა კვლავ მიიღო ტრავმა ისევ — ამხანაგურ მატჩში. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჰოლანდიის ნაკრები 2000 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადებოდა, თუმცა ნისტელროი ტურნირში უკვე ვეღარ მიიღებდა მონაწილეობას. ტრავმირებულ ფორვარდთან კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა „მანჩესტერმაც“. მოვლენების ნეგატიურად განვითარების გამო, ჰოლანდიელი გოლეადორი მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი ვარჯიშს მხოლოდ 2000 წლის ნოემბერში შეუდგა, ხოლო 2001 წლის იანვარში, მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. პირველად ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში „პსვ“-სა და „სპარტას“ სათადარიგო ფეხბურთელებს შორის შეხვედრა ტელევიზიით გადაიცემოდა. სწორედ ნისტელროის გამო, იმ მატჩისადმი გულშემატკივრები ძალიან დიდ ინტერესს იჩენდნენ. „პსვ“-ს ფორვარდმაც თავის ქომაგებს იმედი არ გაუცრუა და ტრავმის გამო ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, კვლავ დაამტკიცა, რომ იგი ჰოლანდიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

2001 წლის 23 აპრილს, ნისტელროიმ, როგორც იქნა, გააფორმა კონტრაქტი „მანჩესტერ იუნაიტედთან“. ინგლისურმა კლუბმა ჰოლანდიელი გოლეადორი „პსვ“-საგან 19 მლნ გირვანქა სტერლინგად შეიძინა. „ის ჩვენი მოთამაშეა და გუნდს ბევრ სარგებელს მოუტანს“, — აღტაცებას ვერ ფარავდა მაშინ ბობი ჩარლტონი. „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლით კმაყოფილი იყო თავად რუდიც. „ერთი წლის წინ, ძალიან მომეწონა „მანჩესტერ იუნაიტედში“ და ძალიან განვიცდიდი იმას, რომ ტრავმის გამო კლუბში ჩემი გადასვლა ვერ მოხერხდა. მკურნალობის პერიოდში, საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდოდი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნატვრა ამისრულდა“, — ამბობდა მაშინ ნისტელროი, რომელიც „ოლდ ტრაფორდზეც“ თავის ჩვეულ სტილში ათამაშდა და მალევე მოიხვეჭა კლუბის ქომაგთა დიდი სიყვარული.



2002 წლის გაზაფხულზე რუდ ვან ნისტელროი ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა. რეიტინგში ჰოლანდიელმა გოლეადორმა უკან ჩამოიტოვა პრემიერ-ლიგაში მოასპარეზე ისეთი ოსტატები, როგორებიც ტიერი ანრი, რობერ პირესი, როი კინი, დევიდ ბექჰემი და ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკი არიან. „ეს ყველაზე ბედნიერი მომენტი იყო ჩემს კარიერაში — მე ხომ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს“, — ამბობდა მაშინ ნისტელროი, რომელმაც 2001-2002 წლების საფეხბურთო სეზონში, „მანჩესტერის“ შემადგენლობაში 32 გოლი გაიტანა.

მალე განახლდება ევროპის ჩემპიონთა ლიგის ტურნირი, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედს“, როგორც ყოველთვის, წელსაც დიდი ამბიციები აქვს. გარდა ამისა, ალექს ფერგიუსონის გუნდი შეუპოვრად იბრძვის ინგლისის ჩემპიონატში გამარჯვების მისაღწევადაც. კლუბის ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები კი მიიჩნევენ, რომ „იუნაიტედის“ წარმატება ბევრად იქნებოდა დამოკიდებული ჰოლანდიელ ფორვარდზე. „უახლოეს გეგმებზე ვერაფერს ვიტყვი. ყველაფერს მოედანზე დავამტკიცებ“, — ამბობს თავად რუდ ვან ნისტელროი, რომელსაც ფეხბურთის სპეციალისტები და გულშემატკივრები უკვე დიდი ხანია, რაც ლეგენდარულ მარკო ვან ბასტენს ადარებენ.

ამჟამად ადრიანა სკლენარიკოვა ყველაზე პოპულარული მოდელია მსოფლიოში, კრისტიან კარამბე — პოპულარული ფეხბურთელი. ამ ცოტა ხნის წინ, წყვილმა ქორწინების ოთხი წლისთავი აღნიშნა, შემდეგ კი, საცხოვრებლად საბერძნეთში — ათენში გადავიდა, სადაც კრისტიან კარამბე ვარჯიშობს. ადრიანას, საცხოვრებელი ადგილის კიდევ ერთხელ შეცვლა საკმაოდ გაუჭირდა, რადგან მან ძალიან შეიყვარა ესპანეთი, სადაც ყოველივე მშობლიურ სლოვაკეთს აგონებდა. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი მოდელისათვის ესპანეთი მეორე სამშობლოდ იქცა, ერთგულმა ცოლმა უყოყმანოდ მიატოვა ყველაფერი და ქმარს საბერძნეთში გაჰყვა. ადრიანას ენების შესწავლა იტაცებს: იგი კარგად ფლობს სლოვაკურს, ინგლისურს, იტალიურს, რუსულს. ამჟამად კი, ბერძნულს სწავლობს.

ადრიანა სკლენარიკოვამ კრისტიან კარამბეს ხათრით ფეხბურთი შეიყვარა

ერთგული მეუღლე ცხელოგვნთქმელ ქმრის ცხბერძნეთში გაჰყვა

ფერად-ფერადი ოცნებები

კრისტიანი კუნძულ ახალ კალედონიაზე დაიბადა. ბავშვობიდანვე ოცნებობდა პროფესიონალი სპორტსმენის კარიერაზე და მიზანსაც მიაღწია. თამაშობდა ესპანეთის „რეალში“, საფრანგეთის ნაკრებში და ინგლისის „მიდლსბოროში“; თურქეთის კლუბ „ფენერბახჩეში“; ამჟამად კი, ათენის „აეკში“ გამოდის.

როცა კარამბეს გაჰყვა ცოლად, ადრიანას მიდლსბოროში მოუწია გადაბარგება, სადაც იმხანად მის ქმარს სახლიც ჰქონდა და ძალიანაც შეიყვარა იქაურობა. სკლენარიკოვა 1971 წელს სლოვაკეთში დაიბადა. მისი ოჯახი საკმაოდ უბრალოდ ცხოვრობდა — მშობლები ჩვეულებრივი მოსამსახურეები იყვნენ. ისინი ოცნებობდნენ, რომ მათი გოგონა ექიმი გამოსულიყო. ადრიანამ სამედიცინო ინსტიტუტში მართლაც ჩაბარა. „სწავლისადმი საკმაოდ სერიოზული დამოკიდებულება მქონდა, — იხსენებს მოდელი, — ახლაც სულ იოლად შემიძლია ხელოვნური სუნთქვის გაკეთება“. სკლენარიკოვა საფრანგეთის „წითელ ჯვარში“ დღემდე მოღვაწეობს.

სამოდელო ბიზნესში ის სრულიად შემთხვევით მოხვდა. სარეკლამო სააგენტოს წარმომადგენელმა იგი მაღაზიაში შეამჩნია, სადაც გოგონას ვერაფრით გადაეწყვიტა, ეყიდა თუ არა მისი სტუდენტური ბიუჯეტისთვის საკმაოდ ძვირად ღირებული საბანაო კოსტიუმი. იმ დღის შემდეგ, სულ რაღაც ექვს თვეში, სკლენარიკოვა თამამად დააბიჯებდა მსოფლიოს პოდიუმებზე და საქვეყნოდ განთქმული კუტიურიეების მოდელებს წარმოადგენდა.

ჰონორარს კი იმდენს უხდიდნენ, რომ გოგონას აღარ უწევდა იმაზე ფიქრით თავის შეწუხება, თუ რა თანხა ჰქონდა საბანკო ანგარიშზე დარჩენილი.

„აუჰ, როგორი აყლაყუდაა!“

მილანიდან პარიზში ისინი ერთი რეისით მიფრინავდნენ. „პირველად კრისტიანი დამელაპარაკა, – იხსენებს ადრიანა, – თქვა: „აუჰ, როგორი აყლაყუდაა!“ რაც რაღა თქმა უნდა, სულაც არ მომეწონა, მაგრამ მან ეს ფრაზა ისეთი ღიმილით წარმოთქვა, რომ სრულიად განმაიარაღა“. მე ვკითხე, რას საქმიანობდა. „ფეხბურთს ვთამაშობ“, – მიპასუხა მან. შეკითხვა გავუმეორე: „კი, მაგრამ რა პროფესია გაქვთ?“ გამოთხოვებისას კრისტიანმა ფეხბურთელის მაისური მაჩუქა და მეორე დღეს, ყავის დასალევად შეხვედრა შემომთავაზა. „რატომაც არა?! – ვუპასუხე მე. – ოღონდაც, ყავის დალევა თვითმფრინავში მოგვიწევს, რადგან ხვალ ისევ იტალიაში ვბრუნდები!“

მეორე დღეს, კრისტიანი ადრიანასთან ერთად, კვლავ თვითმფრინავში ჩავჯდა, საღამოსთვის კი, წყვილი უკვე მილანის ერთ-ერთ რესტორანში ვახშმობდა. იმ დღიდან მოყოლებული, ისინი განუყრელნი არიან.

დომინოს პრინციპი

ადრიანა მაღალია, ქერათმიანი, ცისფერთვალება და საოცრად თეთრი კანი აქვს. კრისტიანი შავკანიანია და ადრიანაზე ოდნავ დაბალი (მხოლოდ სამი სანტიმეტრით). ადრიანა თავის ფეხბურთელზე უგონოდაა შეყვარებული. ფეხბურთის არაფერი გამეგებოდა, – ამბობს მოდელი, – კრისტიანს კი თავის სამუშაოზე ჩემთან ლაპარაკი არ სურდა. მე მისგან დამოუკიდებლად მომიწია სპორტის ამ სახეობაში გარკვევა: ვყიდულობდი სპორტულ ჟურნალ-გაზეთებს და თანდათან შევიყვარე ფეხბურთი. ახლა, შემიძლია ვთქვა, რომ ასე თუ ისე, ფეხბურთის რაღაც უკვე გამეგება“. კრისტიანიც ასევე იქცევა – ყიდულობს მოდის ჟურნალებს და ცდილობს, გემოვნებით ჩაიცვას.

ცოლ-ქმარს საოცრად თბილი და მოსიყვარულე ურთიერთობა აქვს. „როცა კრისტიანი ტელევიზორში თავის საყვარელ ფეხბურთს უყურებს, – ამბობს მოდელი, – საკმარისია, თეძოების რხევით გვერდზე ჩავუარო, რომ ის მაშინვე თიშავს ტელევიზორს... ჩვენ ერთმანეთი ახლაც ისევე გვიყვარს, როგორც ჩვენი გაცნობის პირველ დღეს“.

ადრიანას კარამბეს გაცნობამდე ფეხბურთის არაფერი გაეგებოდა

კრივი სპორტის ერთადერთი სახეობაა, რომელსაც ცოლ-ქმარი ერთობლივად მისდევს. „ერთხელ კრისტიანი ისე შეიჭრა როლში, რომ თითიც კი მომტეხა, თუმცა, ეს ალბათ ჩემი ბრალი იყო, რადგან ისეთი დარტყმა მივაყენე, რომ ცხვირი კინაღამ მოვტეხე“, – იხსენებს ადრიანა. ქმართან ერთად ფეხბურთის თამაშით თავის შექცევა, მოდელისთვის გამორიცხულია, რადგან იგი ფეხებს უნდა გაუფრთხილდეს, რომელიც მას საკმაოდ ძვირად აქვს დაზღვეული. სკლენარიკოვა მთელ მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფეხების პატრონია (1 მ და 24 სმ), იგი გინესის რეკორდების წიგნშია შესული. კრისტიანს კი, თავის მხრივ, ყველაზე ძლიერი ფეხები აქვს, რომელსაც წინა მუნდიალზე საფრანგეთის ნაკრების გაჩემპიონებაში არცთუ ისე მცირე წვლილი მიუძღვის. ამიტომ კარამბომ საკუთარი ფეხებიც დააზღვია.

დივანზე წამოწოლილ მეუღლეებს უყვართ, როცა ფეხების დატოლებით იქცევენ თავს: „კრისტიანი უკმაყოფილოა იმით, რომ მას ჩემზე მოკლე ფეხები აქვს. მე თუ მკითხავთ, ის სულ ტყუილად განიცდის ამას. მას მართლაც გამორჩეულად ძლიერი, დაკუნთული, წვრილკანჭიანი და ჭეშმარიტად ლამაზი ფეხები აქვს!“

ადრიანა 32 წლისაა, მაგრამ ჯერჯერობით სამოდელო ბიზნესთან გამოთხოვებას არ აპირებს. იგი ოცნებობს კინოში გადაღებაზე და ძალიან უნდა შვილის გაჩენა. თუმცა, ეს ყველაფერი – სამომავლოდ. ამჟამად კი, საკმაოდ იოლად თანხმდება ნიუს სტილში პოზირებას, ოღონდ ინტერვიუებში, წარსულ რომანტიკულ გატაცებებზე აღარ საუბრობს, რადგან ოჯახური იდილიის დარღვევა არ სურს. ■

ადრიანა სკლენარიკოვა (ცენტრში) – მსოფლიოში ყველაზე გრძელი ფეხების პატრონი

ლეონარდო „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი გახდება

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის ბოლოს, მას შემდეგ, რაც ბრაზილიური ფეხბურთის ვეტერანს, ლეონარდოს „მილანთან“ კონტრაქტის ვადა ამოწურება, იგი კლუბის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 33 წლის ლეონარდო „მილანში“ ბრაზილიიდან შარშან ოქტომბერში დაბრუნდა და თუ ვიცე-პრეზიდენტის პოსტს მართლა დაიკავებს, ალბათ იტალიაში ხანგრძლივი დროით დარჩება.

გუტის „რეალში“ გული ალარ უდგება

მადრიდის „რეალის“ სპორტული დირექტორი, ხორხე ვალდანო და გუნდის თავდამსხმელი, ხოსე მარია გუტი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეხვდნენ ერთმანეთს, რათა ფეხბურთელს კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან თავისი უკმაყოფილების მიზეზებზე ესაუბრა. შეხვედრის შემდეგ, გუტიმ განაცხადა, რომ შთაბეჭდილებებს არა ჟურნალისტებს, არამედ თავის აგენტს, ზორან ვეკიჩს გაუზიარებდა, რომელსაც ბოლო დროს ისეთი ევროპული საფეხბურთო გრანდები დაუკავშირდნენ „რეალის“ ფორვარდის შეძენის სურვილით, როგორებიცაა „არსენალი“ და „ბარსელონა“. გუტის სამეფო კლუბთან 2005 წლის 30 ივნისამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული, რის გამოც მისი შეძენის მსურველ გუნდს 45 მლნ ევროს გადახდა მოუწევს.



სამეფო ჯლუბმა ემერსონს დაადგა თვალი

მას შემდეგ, რაც იტალიის თასის გათამაშებაში ემერსონმა „ლაციოს“ კარში ულამაზესი გოლი გაიტანა, მისით მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა დაინტერესდა. სამეფო კლუბის მესვეურები მზად არიან, რომ ბრაზილიელ ნახევარმცველში 22 მლნ ევრო გადაუხადონ „რომას“ და ზედ არგენტინელი კამბიასოც მიაყოლონ. თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, იტალიელებმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადეს.

სიმონე ინძაგიმ ხელი მოიტეხა

რომის „ლაციოს“ ფორვარდმა, სიმონე ინძაგიმ მარცხენა ხელი მოიტეხა და ექიმთა თქმით, სულ ცოტა, ორი თვის მანძილზე ვეღარ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. ფილიპო ინძაგის უმცროსმა ძმამ მძიმე ტრავმა იტალიის თასის ნახევარფინალში „რომასთან“ შეხვედრისას მიიღო, როდესაც ვალტერ სამუელს უხერხულად შეეჯახა. ამის შემდეგ, სიმონე საკაცით გაიყვანეს მოედნიდან. უკვე ცნობილია, რომ 26 წლის სიმონე ვერ მიიღებს მონაწილეობას პოლონეთის „ვისლასთან“ დაგეგმილი უეფას თასის მეოთხედფინალურ შეხვედრაში. შეგახსენებთ, რომ ინძაგი-უმცროსს სამი გოლი აქვს გატანილი უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში. სიმონე უკვე მეოთხე სეზონს ატარებს „ლაციოს“ რიგებში. 2002-2003 წლების სეზონში კი, იტალიის ჩემპიონატში ჩატარებულ 11 მატჩში მან მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო.

„ლივერპული“ 100 მლნ გირვანქა სტერლინგით გამდიდრდა

„ლივერპულმა“ თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე ძვირად ღირებულ კონტრაქტს მოაწერა ხელი სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ფირმა Reebok-თან. კონტრაქტის ვადა 6 წელია, ხოლო მისი ღირებულება 100 მლნ გირვანქა სტერლინგს უტოლდება. თანხის უდიდესი ნაწილი გუნდის შემადგენლობის გაძლიერებას მოხმარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისური კლუბი, Reebok-თან უკვე 7 წელია, რაც თანამშრომლობს.

ჰინგისი აქტიურ სპორტს გამოეთხოვა

ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა გააკეთა განცხადება საჩოგბურთო კარიერის დასრულების შესახებ. 22 წლის ჩოგბურთელი უკვე დიდი ხანია, რაც ტრავმის გამო სრულყოფილად ვარჯიშს ვეღარ ახერხებს. „ვერ წარმომიდგენია, რომ სერიოზულ ტურნირებში კვლავ მივიღებ მონაწილეობას, – აღნიშნა მარტინამ ფრანგულ გაზეთ L`Eguipe-სათვის მიცემულ ინტერვიუში, – უკვე აღარ შემიძლია ისეთი დატვირთვის ატანა, როგორიც საჭიროა საიმისოდ, რომ ლიდერთა შორის ვიყო. საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ვიყავი მწვერვალზე. თუ ოთხი წლის განმავლობაში მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ხარ, უკვე ვეღარ შეეგუები საშუალო მიღწევებს. ასე რომ, ჩემთვის საჩოგბურთო კარიერა დასრულდა, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება“. შეგახსენებთ, რომ ჰინგისი 209 კვირის განმავლობაში ლიდერობდა მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების რეიტინგს, 5-ჯერ კი, შვეიცარიელ ჩოგანს „დიდი მუზარადის“ ტურნირი აქვს მოგებული. ■

ტაისონი თავის რეამილიტაციას ელდება



მაიკ ტაისონი 22 თებერვალს მემფისში ამერიკელ კლიფორდ ეტენთან გამართავს ორთაბრძოლას. „ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია მაიკისათვის, – განაცხადა სკანდალური სუპერმძიმეწონოსნის მწვრთნელმა, ფრედი როუმ, – და თუ ის გამარჯვებას ვერ შეძლებს, შეუძლია უკვე კარიერის დასრულებაზაც იფიქროს, რადგან ვეღარასოდეს გახდება ჩემპიონი. ეს თავად მაიკსაც კარგად ესმის“. „რკინის მაიკს“ (49 გამარჯვება, 4 მარცხი) ეტენთან გამარჯვებით (24 გამარჯვება, 1 მარცხი) საშუალება მიეცემა, საკრივო სამყაროში რეაბილიტაციისა, რის შემდეგაც შეიძლება, ლენოქსთან მისი მატჩ-რევანშის გამართვის თაობაზეც შედგეს მოლაპარაკებები. ■

ბოლოდ ... ...

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-53, 1-6

ისედაც თავგზააბნეულ ნინის ხან დიტო ურეკავს და დაუინებით სთხოვს — ჩემს შვილთან დამალაპარაკეო, — ხანაც ცოტნე: სასწრაფოდ ჩამოდი, მოსკოვში კინოფესტივალზე უნდა წაგიყვანოო. ნინი მათ, ჯერ-ჯერობით, ასე თუ ისე, იგერიებს, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ ასე ცხოვრებას დიდხანს ვეღარ გააგრძელებს. ამიტომ, ერთგვარი ტაიმ-აუტის ასაღებად და გონს მოსასვლელად, ცოტნეს მოსკოვში წაყოლაზე თანხმდება.

ურეკიდან თბილისში სასწრაფოდ დაბრუნებულ ნინის და მარის, ცოტნე საგანგებო შეხვედრას მოუწყობს. სუფრასთან ნინი იმდენად უცნაურად იქცევა, რომ ცოტნეს ერთგვარ ეჭვებსაც კი აუშლის...

რუსუდან ბერიძე

ქალური ინფუიცია

ანუ ჯიბემოსილნი ფრთიები

— ოჰო! — წარბები მაღლა აზიდა გაკვირვებულმა ცოტნემ. — როგორც ჩანს, ზღვაზე ყოფნას შედეგიანად ჩაუვლია: სმა და დუმილი ერთნაირი წარმატებით გისწავლია.

ნინის სახეზე ალმურმა გადაჰკრა, მაგრამ ხმა მაინც არ ამოიღო. შემდეგ მაგიდას ორივე ხელით დაეყრდნო და ნელა წარმოთქვა:

— წავალ, დავიძინებ, თორემ ცალკე გზამ და ცალკე მანქანამ ისე დამქანცა, რომ ფეხზე ძლივსღა ვდგავარ...

ამის შემდეგ ნინი მეორე სართულზე ამავალ კიბეს სვენებ-სვენებით აუყვა და საკუთარი საძინებლის კარის უკან გაუჩინარდა. ცოტნე კი ერთხანს გარინდული იჯდა და კედელზე ერთ წერტილს მიშტერებოდა. შემდეგ მარის მიუბრუნდა:

— მარი, ჩემო კარგო, მეჩვენება თუ... ნინის თავს რაღაც უცნაური რამ ხდება?

მარიმ თვალები დახარა და უხერხულად შეიშმუშნა, თუმცა, თქმით, მაინც არაფერი უთქვამს.

— კარგი. ნინიზე ნაკლებად, ალბათ, არც შენ დაიღლებოდი. შეგიძლია, მოისვენო. ამ სუფრას კი, როგორც გავაწყვე, ისევ, ჩემით ავალაგებ.

— რას ამბობთ, ბატონო ცოტნე? სუფრას თქვენ როგორ აგალაგებინებთ?! — მაშინვე ფეხზე წამოხტა მარი და ის იყო, სუფრის ალაგება უნდა დაეწყო, რომ ტელეფონმა დარეკა.

ზარის ხმაზე, დამფრთხალ მარის სალათით სავსე თეფში კინაღამ ხელიდან გაუვარდა. ცოტნემ მას ერთი გვერდულად გახედა და ყურმილი დინჯად აიღო:

— გისმენთ... გამარჯობათ?!.. ვერა, ნამდვილად ვერ გიცანით... ა-ა? დიახ, დიახ, ჩემო გოგი, კი, აქ არის. ახლავე... — ცოტნემ მარის ყურმილი სწრაფად გაუწოდა და მრავალმნიშვნელოვნად გადაუჩურჩულა: — გორგილაძე გირეკავს, ნეტავ, რამ შეაწუხა?..

სახეალეწილმა მარიმ ცოტნეს ყურმილი ხელის კანკალით ჩამოართვა:

— დიახ, ბატონო გოგი, გისმენთ... გამარჯობათ... გმადლობთ, ნორმალურად... ვერ გეტყვით, ჯერ არ ვიცი... ხვალ, ალბათ, ვერ შევძლებ... მე — არა, ნინის აქვს საქმეები და მე, ალბათ, ბავშვთან დავრჩები... ზე-ეგ? ჯერ არ ვიცი... მოდით, რა, მე თვითონ დაგირეკავთ... ნომერი მითხარით... დავიმახსოვრებ... ნახვამდის, ბატონო გოგი...

მარიმ ყურმილი ფრთხილად დადო და მაგიდასთან გაუნძრევლად მდგარ ცოტნეს დამნაშავესავით შეხედა. შემდეგ თვალები სასწრაფოდ დახარა და ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა: „მართლა ვერ გამიგია, ამ კაცს ჩემგან რა უნდა...“

— კაცებს, ჩემო მარი, — დაიწყო მისი „დამოძღვრა“ ცოტნემ, — ქალებისგან, როგორც წესი, ერთი რამ უნდათ და გამონაკლისი, ცხადია, არც ეგ ბებერი ვაცია. თუმცა, ვინ იცის?.. იქნებ, ის, რაც ქალებს გინდათ კაცებისგან, გოგია გორგილაძეს სხვებზე მოჭარბებულიც კი აქვს... ყოველ შემთხვევაში, რაც მე ვიცნობ, ჯერ ქალს მისთვის უარი არ უთქვამს... და არა მგონია, ამის გაკეთება, მაინცდამაინც, შენ შეძლო...

— ბატონო ცოტნე, აბა, რას ამბობთ? — ხმა აუკანკალდა მარის.

— ან კი რატომ უნდა უთხრა უარი? — თითქოს, მარის სიტყვები საერთოდ არ გაუგონიაო, ისე მშვიდად განაგრძო ცოტნემ. — ბოლოს და ბოლოს, ერთი კაცი, თუნდაც ბებერი, შენც ხომ უნდა გერგოს?..

მარის სიმწრის ცრემლები წამოსცვივდა.

— მაპატიე, ჩემო კარგო, — უცბად გამოერკვა ცოტნე, — თავადაც არ ვიცი, რაებს ვროშავ... ყველაფერი, ზედმეტი ღვინის ბრალია... მაპატიე...

— ძალიან გთხოვთ, ნინის არაფერი უთხრათ, — შეეხვეწა მარი.

— სამარე ვარ! — დაამშვიდა მარი ცოტნემ, შემდეგ ხელი მოწყვეტით ჩაიქნია და ისიც საძინებლისკენ ამავალ კიბეს აუყვა...

მეორე დღეს, საუზმის შემდეგ, ნინი და ცოტნე სასწრაფოდ საქმეზე წავიდნენ და ნიტაც თან წაიყვანეს. მარიმ კი დრო იხელთა და მაშინვე გოგი გორგილაძის ნომერი აკრიბა.

— ბატონო გოგი, გამარჯობათ, — აკანკალებული ხმით ჩასძახა მან ყურმილში, — დიახ, მე ვარ. მარტო დავრჩი თუ არა, მაშინვე დაგირეკეთ. ძალიან გთხოვთ, მითხარით, რა გინდათ ჩემგან?

— დამშვიდდი, გოგონი, — გაისმა ყურმილში გოგი გორგილაძის შემპარავი ხმა, — შენთან ძალიან კარგი საქმიანი წინადადება მაქვს.

— საქმიანი წინადადება?.. ჩემთან?.. — დაიბნა მარი.

— კი, შენთან! რამ გაგაკვირვა? მანდ კი უსაქმოდ გაჩერებენ თუ რა?

— აქ მე ჩემს მეგობრებთან ვარ...

— არც მე ვარ შენი მტერი, დამ-

ივჯერე... მოდი ხვალ ჩემთან, სასტუმროში და ყველაფერს აგიხსნი...

— „კინოში“?

— სხვა სასტუმრო მე ჯერ არ მაქვს. სამი საათი გაწყობს?

— სამი?.. დღესვე რომ მოვიდე?.. ახლავე?..

ყურმილში ცოტა ხანს პაუზა ჩამოწვა.

— კარგი, მოდი, — ჩაილაპარაკა ბოლოს ბატონმა გოგიმ.

— ახლავე ანის დავურეკავ და გამოვალ.

— ანი ვინღაა?

— ჩემი და თქვენთან „ეტაჟნიცად“ მუშაობს.

— ა-ა-ა?.. იმ გოგოს ჰქვია ანი? კი, მაგრამ დას რაღაზე ურეკავ?

— ისე, უბრალოდ...

— ანისთან დარეკვას ყოველთვის მოასწრებ... აბა, მკვირცხლად გამოიქეცი... ჩემს ნომერში გელოდები, — შეუძახა მარის, ბატონმა გოგიმ და ყურმილი დაკიდა.

მარიც მაშინვე თავის ოთახში ავიდა და ტანსაცმლის კარადას ეცა. ბოლო ხანებში ნინიმ მარის სიჯიუტის გატეხა, ასე თუ ისე, მოახერხა და რამდენიმე ნორმალური ტანსაცმელი უყიდა. თუმცა, მარის ახლა თვალში არც ერთი აღარ მოუვიდა: ზოგში თავი უხერხულად იგრძნო, ზოგშიც — ვულგარულად და ბოლოს ისევ თავის ძველისძველ გამოსასვლელ კაბაზე შეჩერდა, სასწრაფოდ გადაიცვა, თმაც ფაცხაფუცხით გადაივარცხნა და ქუჩაში გავარდა.

სასტუმრო „კინოს“ შესასვლელში მარის ნაცნობი, დაცვის ბიჭი შეხვდა და უმტკივნეულოდ გაატარა. ფოიეში კი, საერთოდ, კაცის ჭაჭანება არ იყო. მარი მეორე სართულზე ავიდა და ის იყო, დერეფნის ბოლოს, სასტუმროს მომსახურე პერსონალის მომცრო ოთახის კარზე უნდა დაეკაკუნებინა, რომ თავს ბატონი გოგიც წამოადგა:

— უკვე მოხვედი, გოგონი? ძალიან კარგი, მაგრამ ეს რომ ჩემი ნომერი არ არის?

ბატონი გოგის ხმაზე მარი თოფნაკრავივით შემობრუნდა და შიშჩამდგარი თვალები შეანათა:

— ვიცი, ბატონო გოგი, მაგრამ ვიფიქრე, ჯერ ანის მოვინახულებ-მეთქი...

— ანის მოგვიანებით ჩემთან გამოვიძახებთ. ახლა კი, ჯერ მე და შენ უნდა მოვილაპარაკოთ.

ამ სიტყვების შემდეგ მან მარის ხელი მოხვია, დერეფანს მასთან ერთად გამოუყვა და საკუთარი ნომრის კარს თითქმის ძალით მიაყენა.

გოგი გორგილაძემ მარი წინა ოთახში შეიყვანა და კედელთან მდგარი ტახტისკენ მსუბუქად უბიძგა:

— დაჯექი და ნუ გაქვს ეგეთი დაფეთებული სახე, ნუ გეშინია, არ შეგჭამ!

მარი ტახტის კიდეზე მორიდებით ჩამოჯდა და რეჟისორს დამფრთხალი თვალები შეანათა:

— ბატონო გოგი, მაინც, რა გინდათ ჩემგან?

— მოუთმენელი ნუ ხარ! მაცალე და გეტყვი... აბა, აქ ტყუილად ხომ არ მოგიყვანე?!.. თუმცა, მოიცა, მოიცა... შენ რა?! ხომ არ გგონია, რომ?.. — ამ სიტყვებზე ბატონმა გოგიმ მარი ჯერ დამცინავი ღიმილით აათვალიერ-ჩაათვალიერა, შემდეგ კი ერთი გულიანადაც გადაიხარხარა, — არ ვიფიქრე, რა კუჭი აიშალა-მეთქი?..

— ძალიან გთხოვთ, გამოთქმები შეარჩიეთ! — ფეხზე წამოხტა მარი. — მე არაფერიც არ მგონია და, მართალი გითხრათ, აღარც არაფერი მაინტერესებს, ასე რომ, კარგად ბრძანდებოდეთ!

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — ტაში შემოჰკრა ბატონმა გოგიმ, თუმცა, იმის შიშით, მარი მართლა გარეთ არ გამისხლტესო, კარში მაინც ჩადგა. — მომწონს! კი ვფიქრობდი შენზე, მთლად უნიჭო ნამდვილად არ უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ თუ ასე კარგად ამყვებოდი, მაინც არ მეგონა.

— რაში აგყვებოდით? — უნდობლად ჰკითხა მარიმ.

— რაში და მე ამ წუთში, შენ თვალწინ და შენი მონაწილეობით, ერთი პატარა სცენა გავითამაშე — მაინტერესებდა, როგორი გაცოფება შეგეძლო... უნდა ვაღიარო, რომ ამ ეპიზოდურ როლს თავი მართლაც მშვენივრად გაართვი...

— ვერ გაგიგეთ, რა როლი, რა სცენა? — დაიბნა მარი.

ბატონმა გოგიმ მას მხრებზე ხელი მოხვია და დაუყვავა:

— დაჯექი, ცოტა დაწყნარდი და ყველაფერს აგიხსნი.

მარი ისევ ტახტის კიდეზე ჩამოჯდა:

— გისმენთ.

ბატონი გოგი მის პირდაპირ მდგარ სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და სასწრაფოდ ფეხი ფეხზეც გადაიდო:

— მაშ ასე, გოგონი, გინდა, კინოში გადაგიღო?

— კინოში?.. მე-ე-ე?..

— მე-ე-ე, რა, თხა ხარ?.. ჰო, შენ... ცოტა ხანში ახალ ფილმზე ვიწყებ მუშაობას და მსახიობებს ვიწვევ...

— მერედა, თქვენს ახალ ფილმში, ჩემ გარდა, მისაწვევი ვერავინ ნახეთ? — ახლა კი მართლა ალალად გაიკვირვა მარიმ.

— ვნახე, მაგრამ, მე მაინც შენ მჭირდები... და იცი, რატომ? — უცბად მთელი ტანით, მარისკენ გადაიხარა ბატონი გოგი.

— რაზეა თქვენი ახალი ფილმი? — საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა მარიმ და დამფრთხალი უკან გადაქანდა.

— აფხაზეთიდან დევნილებზე... უფრო სწორად კი — ერთ ახალგაზრდა ცოლქმარზე, რომლებმაც ერთმანეთი სოხუმის დაცემისას დაკარგეს... ძალიან მძიმე ფილმი იქნება: ომი, სისხლი, სიკვდილი... ხომ გესმის?..

— დიახ, ახლა ნამდვილად ყველაფერი მესმის, — უცბად შეაჩერა როლში შესული რეჟისორი მარიმ, — მაგრამ იქნებ, ისიც მიბრძანოთ, ამ მართლაც მძიმე ფილმში მე მერამდენე ბუჩქის როლი უნდა შევასრულო?

— ყოჩაღ, დროული კითხვაა, — ბავშვივით შეაქო მარი ბატონმა გოგიმ, — თანაც, იუმორზე არ ყოფილხარ სულ მთლად აცრილი...

— ძალიან გთხოვთ... — ისევ აიჯაგრა მარი.

— კარგი, ჰო, ვიხუმრე... მინდა, გაუწყო, რომ ბუჩქის როლები უკვე ბოლომდე განაწილებული მაქვს, შენ კი ერთ-ერთ მთავარ როლს გთავაზობ.

— მე-ე-ე-?.. ბატონო გოგი, მართლა და მართლა, რატომ დამცინით? — თვალები აუწყლიანდა მარის და სწორედ იმ წუთში, კაკუნიც გაისმა.

— ღიაა, შემოდი, რომელი ხარ?! — გასძახა ბატონმა გოგიმ.

შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და ოთახში საკმაოდ წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. მას ხელში პატარა შავი ცელოფანის პარკი ეჭირა, რომელიც მარის დანახვაზე სასწრაფოდ კუთხეში მიაგდო და დაბნეულმა იკითხა:

— მგონი, ცუდ დროს შემოგეჭერით, ხომ?..

— არა, არა, ჩემო გაგა, ამ წუთში სწორედ შენზე ვფიქრობდი, — ფეხზე წამოდგა ბატონი გოგი, მოსულს ხელი მეგობრულად ჩამოართვა და შემდეგ მარის მიუბრუნდა:

— გაიცანი, ეს გაგა გამცემლიძეა, ძალიან კარგი ქართველი და შენი მომავალი პარტნიორი.

— პარტნიორი? — იკითხა მოსულმა და რეჟისორს გადახედა.

— ჰო, — ხელზე ხელი მოუჭირა მას ბატონმა გოგიმ, — ჩემს მომავალ ფილმში თქვენს პარტნიორობას ვგულისხმობ. ხომ გახსოვს, რომ გეუბნებოდი, — ქალის მთავარ როლზე ერთი ძალიან ნიჭიერი ქალიშვილი მყავს-მეთქი შერჩეული. აი ისიც, გაიცანით ერთმანეთი, — მარიზე მიუთითა ბატონმა გოგიმ.

მარიმაც მაშინვე წამოიწია და გაგას ხელი გაუწოდა:

— მარი.

— გაგა. ბრძანდებოდეთ... ბრძანდებოდეთ... ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

— ჩემთვისაც, — თვალები მორცხვად

დახარა მარიმ.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი! — საუბარში მაშინვე ჩაერთო ბატონი გოგიც. — ვხედავ, ერთმანეთი მართლა მოგეწონათ, ეს კი უკვე საქმის ნახევარია. ახლა, კი ჩემო მარი, შეგვიძლია, შენს დაიკოსაც დავუძახოთ... ხომ არ დაგავიწყდა, რომ მისი ნახვა ძალიან გინდოდა?..

ამ სიტყვების შემდეგ, ბატონმა გოგიმ სართულის მორიგეს დაურეკა და ანის მოძებნა დაავალა. რამდენიმე წუთში, კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა. ბატონი გოგი კარის გასაღებად ენერგიულად გაიჭრა და მალე ოთახში ანის შემოუძღვა. ისედაც დაბნეულ ანის, მარის დანახვაზე თვალები შუბლზე აუვიდა:

— მარი?!. კი, მაგრამ აქ საიდან გაჩნდი?!. როდის ჩამოხვედი?..

— გუშინ საღამოს, — დამფრთხალი ბავშვივით მოიბუზა მარი.

— მერე რატომ არ დამირეკე? — ხმა გაუმკაცრდა ანის.

მარიმ თავი მხრებში უმწეოდ ჩარგო.

— ჩემი ბრალია, მე არ დავანებე, — სასწრაფოდ წამოეშველა მარის, ბატონი გოგი, — შენთვის სიურპრიზის გაკეთება მინდოდა... უფრო სწორად, გვინდოდა...

— ჩემთვის?.. რა სიურპრიზის?.. — გაოცება ვეღარ დაფარა ანიმ.

— იცი, რომ შენი დაიკო ჩემს ახალ ფილმში მთავარ როლს შეასრულებს?

— რა-ა-ა? — პირი დააღო ანიმ. — კი, მაგრამ მარიმ... მარის ხომ მსახიობობის საერთოდ არაფერი გაეგება?! — ძლივსღა ამოღერღა ანიმ.

— აი, ამაში კი ნამდვილად ცდები, ჩემო კარგო. იცი, წეღან გაცოფების როგორი ნატურალური სცენა გაითამაშა? ნამდვილად ვინანე, რომ კასეტა არ მქონდა და ყველაფერი ფირზე არ დავაფიქსირე. ერთი სიტყვით, ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია და უფროსი დის პროტესტს ნამდვილად ვეღარ მივიღებთ. ასე არ არის? — მიუბრუნდა ბატონი გოგი მარის, რომელიც ამ სიტყვებზე კიდევ უფრო მოიბუზა.

— კარგი, გოგონებო, — განაგრძო ისევ ბატონმა გოგიმ, — ახლა კი დროებით უნდა დაგემშვიდობოთ, რადგან გაგას ჩემთან სასწრაფო საქმე აქვს.

მარიმ და ანიმ ერთმანეთს ერთი დაბნეულად გადახედეს და მაშინვე წასასვლელად მოემზადნენ. ბატონმა გოგიმ ისინი კარამდე მიაცილა და გულმხურვალედ დაემშვიდობა.

— არა, შენი გამოსწორება ნამდვილად არ იქნება! — უთხრა ოთახში შემობრუნებულ რეჟისორს მისმა სტუმარმა. — რას ერჩი ამ საწყალ გოგოებს, რა დაგიშავეს?.. ანდა, ეს რაებიღა „მოჩორტე“?.. ახალი ფილმიო... მთავარი როლიო...

— კარგი, შენ რაღას გაუტიე, ბიჭო?! — შეაჩერა გაგა, ბატონმა გოგიმ. — ისე, ცნობისათვის, ფილმის გადაღებას მართლა ვაპირებ, მაგრამ იქ, რა თქმა უნდა, ვერც შენ ეღირსები გამოჩენას და მით უმეტეს, ვერც ეს მოსიარულე საფრთხობელა.

— აბა, მთელი ეს მასკარადი რისთვისღა მოაწყვე? არ მითხრა ახლა, ეს მართლა საფრთხობელა, როგორც ქალი, ისე მომწონსო, თორემ მართლა გავგიჟდები...

— ჩემო გაგა, ხომ გაგიგონია გამოთქმა: შენ რომ მოდიოდი, მე მივდიოდიო... შენ მასწავლი, ბიჭო, ქალის ცნობას და ამორჩევას?.. ეს, ქრონიკული უკაცობისგან გამოთაყვანებული არსება კი, მე სულ სხვა რამისთვის მჭირდება, თუმცა, ეს შენ ჯერ ნაკლებად დაგაინტერესებს. ამიტომ მოდი, ისევ ჩვენს საქმეს მივხედოთ. რა ქენი? მომიტანე?

— მოგიტანე.

— რამდენი?

— რამდენზეც შევთანხმდით.

— ფასი?

— როგორც შევთანხმდით.

ამის შემდეგ, გაგა კუთხეში უდიერად მიგდებულ ცელოფანის პარკს დასწვდა და ბატონ გოგის მიაწოდა:

— ნაღდი ავღანურია, იცოდე...

— ძალიან კარგი, — ფეხზე წამოდგა ბატონი გოგი, შემდეგ საძინებელში გავიდა, დოლარების მოზრდილი დასტა გამოიტანა და გაგას გადასცა: ეს კი ნაღდი ამერიკულია, იცოდე!

გაგამ ფული მაშინვე პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიტენა.

— არ დათვლი? — ჰკითხა ბატონმა გოგიმ.

— არა, გენდობი.

— არ გაგიგონია, — Доверяй, но проверяй-ო?

— გამიგონია, მაგრამ შენც ხომ მენდე და „ტავარი“ არ შეამოწმე?!

— კარგი. მაშინ ჩავთვალოთ, რომ ყველაფერი რიგზეა და ხელი ხელსაც დავკრათ.

გაგამ ბატონ გოგის მაშინვე ხელი შეაგება და წასასვლელად წამოდგა, მაგრამ მასპინძელი მის გაშვებას არ ჩქარობდა.

— შენთან ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს... — დაიწყო ბატონმა გოგიმ.

— მთხოვე, მერე, რაღას უცდი? — შეაგულიანა გაგამ.

— შეგიძლია, ხვალაც გამოიარო?

— თუ საჭიროა, რატომაც არა...

— კაი სუფრასაც დაგახვედრებ...

— ეგ მთლად უკეთესი, რომელზე მოვიდე?

— ალბათ, ასე, თერთმეტზე...

— ღამის თერთმეტზე?

— არა, კაცო, დილის...

— რა ამბავია, ხაშზე მეძახი?

— რა არის, იცი? — გაგას უადგილო ხუმრობას ყურადღება არ მიაქცია ბატონმა გოგიმ. — მარის მოყვანაც მინდა და საღამოსთვის რომ დავიბარო, ალბათ, ვენებს გადაიჭრის... კარგი, მაშინ... შენ თორმეტზე მოდი, მაგ სულელს კიდევ, პირველის ნახევრისთვის დავიბარებ... ვეტყვი, მომავალ როლზე უფრო დაწვრილებით უნდა მოგელაპარაკო-მეთქი...

— მე რაღაში გჭირდები?! დასხედით და რამდენიც გინდათ, იმდენი იჭუკჭუკეთ...

— ბიჭო, შენ რა? სკლეროზი ხომ არ დაგეწყო?! ასე უცბად დაგავიწყდა, რომ ჩემს მომავალ ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულო?.. — ირონიულად გაეღიმა ბატონ გოგის. — ასე რომ, აუცილებლად მჭირდები. თუმცა, დიდხანსაც არ უნდა დარჩე. ერთ-ორ დეტალს გავარკვევთ თუ არა, სადღაც მეჩქარება-თქო, მოიმიზეზე და სასწრაფოდ გაქრი...

— იცოდე, რამე შარში არ გამხვიო, — გააფრთხილა ბატონი გოგი გაგამ.

— აქამდე რამეში გამიხვევიხარ?

— არა, მაგრამ აქამდე ჩემგან არც არტისტობა მოგითხოვია...

— კარგი, რა, მართლა ნუ არტისტობ! — შეუძახა გაგას ბატონმა გოგიმ, — თუ ხელს შემიწყობ, შეიძლება, ცოტა ფული კიდევ გაშოვნინო... მაგრამ ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ... ჯერ წესიერად

ყველაფერი მეც არ მომიფიქრებია..

— რომ მოიფიქრებ, მითხარი. ახლა კი მართლა წავედი, თორემ, დამაგვიანდება... მართლა, — გასვლამდე კიდევ ერთხელ შემობრუნდა გაგა, — კინაღამ არ დამავიწყდა? ბიჭებმა წამალზე მითხრეს, „ტრუხა“ არ ეგონოს, ძაან მაგარია და ცოტა ფრთხილად იყოსო...

— ბიჭებს გადაეცი, თქვენს საქმეს მიხედეთ-თქო.

— მე ჩემი გითხარი, დანარჩენი შენ იცი, — დაასრულა გაგამ „გამოსვლა“ და ნომრიდან უკვალოდ გაქრა...

ამასობაში კი ანის, სასტუმროს მომსახურე პერსონალის საკუჭნაოსოდენა ოთახის კუთხეში ჰყავდა მომწყვდეული მარი და გარეთ ხმა რომ არ გასულიყო, ჩურჩულით ტუქსავდა:

— გოგო, შენ რა? სულ მთლად გადადექი ჭკუიდან?! ამ „ბაბნიკთან“ მოსვლა როგორ გაბედე?! რა გინდოდა, რა?

— მე არაფერიც არ მინდოდა, თვითონ ამიკლო რეკვით. მოდი და მოდიო, — და რა მექნა? — თავს იმართლებდა მარი.

— შე სულელო, მართლა ხომ არ დაიჯერე, რომ კინოში გადაგიღებს? იცი, რამდენი შენისთანა გააბრიყვა, მოიმწვანილა და შემდეგ მიაგდო?

— ვიცი, — უცბად წელში გასწორდა მარი, — მაგრამ მე ამას ვერ გამიბედავს!

— ვითომ რატომაო? რითი ხარ სხვებზე უკეთესი? — არ დაინდო ანიმ. — თუმცა, ყველაზე სასაცილო იცი, რა არის?

— მაინც, რა?

— რა და ეგ თახსირი, საერთოდაც, არანაირი ფილმის გადაღებას არ აპირებს...

— ეგ საიდანღა მოიტანე?.. ცოტნემაც კი თქვა, დეპრესიიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე საქმეს შეუდგაო...

— კარგი, რა, მარი, ნუ მაცინებ! გაინტერესებს, დღეს გოგი გორგილაძის მთავარი საქმე რა არის?

— რა?

— ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვა.

— რა-ა-ა? — თვალები გაუფართოვდა მარის.

— დიახ, დიახ, სწორედაც ეგრეა. როგორ ფიქრობ — მის ნომერში ვაჟბატონი რომ დაგვხდა, ვინ იყო?

— ბატონმა გოგიმ მითხრა, მსახიობია და ერთ-ერთ მთავარ როლში უნდა ვათამაშოო...

— ხა-ხა-ხა! აუ, როგორ გამაცინე?.. ისე, გაგასგან, შეიძლება, კარგი მსახიობიც გამოსულიყო, მაგრამ სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი, წამლის „ბარიგაა“ და მეტი არაფერი...

— რას ამბობ? — შეიცხადა მარიმ. — ეს ყველაფერი საიდან იცი?

— საიდან და.. ამ სასტუმროში კედლებსაც კი ყურები აქვთ და აბა, ცოცხალ ადამიანს რამე გამომეპარებოდა? ასეთ ამბებს, პირველ რიგში, სწორედ მე და ჩემისთანა მოსამსახურეები ვიგებთ ხოლმე. გინდა, კიდევ ერთი ახალი ამბავი გითხრა?

— არ მინდა! გეხვეწები, რა, მეტი აღარაფერი მითხრა, — თავი აკანკალებულ ხელებში ჩარგო მარიმ.

— კარგი, ბატონო, არ გეტყვი. ის კი არა და, ნეტავ, რაც გითხარი, ისიც არ მეთქვა. მაგრამ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ და მაგ დამპალს შენი თავი როგორ გავამასხარავებინო?.. ახლა წადი და აქ მოსული აღარ გნახო.

— კარგი, წავედი... — დაბნეულად ჩაიბურტყუნა მარიმ. — და იმის პირობასაც გაძლევ, რომ მაგ კაცს არც აქ და არც სხვაგან აღარასოდეს შევხვდები.

— მადლობა ღმერთს, გონს მოხვედი! — შვებით ამოისუნთქა ანიმ. — ერთიც კარგად დაიმახსოვრე: მე შენთვის, საერთოდ, არაფერი მითქვამს!

— როგორ თუ არ გითქვამს? — დაიბნა მარი.

— როგორ და ჭრელად! საკმარისია, გორგილაძის ყურამდე რამე მივიდეს, რომ სასტუმროდან კინწისკვრით გამისვრის და შვილები შიმშილით დამიწყდებიან. გაიგე თუ კიდევ გავაგრძელო?

— გავიგე, ანი, ახლა ყველაფერი გავიგე და წავედი. — კარი ხელის კანკალით გამოაღო მარიმ.

— არც ნინისთან დაგცდეს რამე, — დაადევნა ანიმ, — თორემ სამუდამოდ დაგკარგავ, იცოდე!

— კარგი.

მარიმ სასტუმროს კიბე ლასლასით ჩაათავა, სუფთა ჰაერზე გასულმა, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა და ქუჩას ჯერ ფეხით გაუყვა, შემდეგ, წამოწეული ტაქსი გააჩერა და მძღოლს ნინის სახლის მისამართი სვენებ-სვენებით ჩაუმარცვლა...

მარის შინ არავინ დახვედრია. ამით გახარებულმა, შვებით ამოისუნთქა, საძინებელში ავიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, ღონემიხდილი საწოლზე მიეგდო და მაშინვე მკვდარივით ჩაეძინა.

უკვე მოსაღამოებული იყო, ტელეფონი რომ აწკრიალდა და ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფი მარი საბოლოოდ გამოაფხიზლა. მარიმ საწოლიდან წელი ძლივს აითრია, მაგრამ სანამ დაბლა ჩავიდოდა, ზარის ხმა შეწყდა. თუმცა, ცოტა ხანში, ისევ განმეორდა და მარიც მაშინვე ტელეფონის ყურმილს დასწვდა:

— გისმენთ.

— უკვე სახლში ხარ, ჩიტუნი? — გაისმა ყურმილში ბატონი გოგის დამცინავი ხმა, — მე კი მეგონა, ჯერაც დაიკოსთან ჭორაობდი...

— გისმენთ, ბატონი გოგი, — ლაზღანდარობის გაგრძელება აღარ დაანება მარიმ, — რა გნებავთ?

— მარი, ჩემო კარგო, — სასწრაფოდ ტონი შეცვალა ბატონმა გოგიმ, — იცი, რისთვის გირეკავ?

— არა.

— წელან დამავიწყდა, მეთქვა, რომ ხვალ ჩემთან მოსვლა კიდევ მოგიწევს.

— რატომ? რა მოხდა?

— რამდენიმე ეპიზოდურ როლზე კიდევ უნდა წავიმუშაოთ. გაგაც იქნება... ხომ მოხვალ?

— დიახ, ბატონო გოგი, აუცილებლად მოვალ, — მშვიდად მიუგო მარიმ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. ხვალ, პირველის ნახევარზე გელოდები.

— კი, ბატონო, ხვალ პირველის ნახევრისთვის თქვენს ნომერთან ვიქნები, — კვლავ სიმშვიდე შეინარჩუნა მარიმ, — ახლა კი უნდა დაგემშვიდობოთ, თორემ შეიძლება, წუთი-წუთზე ნინი და ცოტნე მოვიდნენ და არ მინდა, ჩვენს საუბარს შეესწრონ.

— ყოჩაღ! რა წინდახედული ხარ! მომწონს, ნამდვილად მომწონს... — შეაქო ბატონმა გოგიმ და დაემშვიდობა.

მარიმ ყურმილი დადო თუ არა, ჭიშკართან მანქანამ მართლაც დაამუხრუჭა. მარიმ შემოსასვლელი კარი სასწრაფოდ გამოაღო და ჭიშკარში კისრისტეხით შემოვარდნილ ნიტას ხელგაშლილი შეეგება. ნიტაც მაშინვე მისკენ გამოქანდა და ჩაეხუტა:

— მარი, იცი, დედამ ახალი მობილური იყიდა, თავისას კი შენ დაგიტოვებს... მე მინდოდა, მაგრამ არ მაჩუქა... ხანდახან ხომ მათხოვებ ხოლმე?..

— როცა კი მოისურვებ, ჩემო საყვარელო, — გულში კიდევ ერთხელ ჩაიკრა ნიტა მარიმ და შემდეგ, ნინის და ცოტნეს დამნაშავესავით გადაულაპარაკა:

— ალბათ, მოშივებულები იქნებით. მე ზარმაცმა კი, ვერაფერი მოგიმზადეთ. ცოტა ხანს დასასვენებლად მივწექი და არ ვიცი, ასეთი რა ძილქუში დამეცა, ახლაღა გამეღვიძა..

მარის მოეჩვენა, რომ ცოტნეს მის ნათქვამზე მრავალმნიშვნელოვნად გაეღიმა, ნინიმ კი მაშინვე დამშვიდება დაუწყო:

— არა უშავს... ერთი ეს პარკი გამომართვი და სამზარეულოში გაიტანე. მეც ახლავე ტანსაცმელს გამოვიცვლი და ვახშამი ერთად მოვამზადოთ... ცოტნე, შენ კარტოფილი შეგიწვათ? — დაადევნა შემდეგ, კიბეზე ამავალ ცოტნეს.

— ჩემთვის საერთოდ არ შეწუხდეთ. — მშვიდად მიუგო ცოტნემ და მარის გვერდულად გადახედა, — მარისი არ იყოს, ახლა მე დამეცა ძილქუში და საწოლამდე თუ მივაღწიე, კარგი იქნება...

გაგრძელება იქნება

მორცხვ და თავმდაბალ ტომ ჰენკსს ჰოლივუდში უსაზღვრო ძალაუფლება აქვს

„ძალიან მომეწონა ისეთ ფილმში თამაში, რომლის მთელი სიმძიმეც ჩემს მხრებს არ აწვა, – განაცხადა ტომ ჰენკსმა სპილბერგის ახალი სურათის – „დამიჭირე, თუკი შეძლებ“ დასრულების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ჰენკსი და სპილბერგი დიდი ხნის მეგობრები არიან, იგი მხოლოდ მეორედ მონაწილეობს გამოჩენილი რეჟისორის მიერ გადაღებულ ფილმში (პირველი იყო „რიგითი რაიანის გადასარჩენად“, 1998). თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე ფილმში ტომი სრულიად შემთხვევით მოხვდა – მან ედ ჰარისი შეცვალა, რომელიც გადამღები ჯგუფის გრაფიკში ვერ ჩაჯდა, რადგან იმხანად, ძალზედ დაკავებული იყო.

„ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო გადასაღებ მოედანზე სტივენთან ხელმეორედ შეხვედრა, – ამბობს ჰენკსი. – იგი ყოველთვის ენდობა მსახიობს და მუშაობითაც საოცრად სწრაფად მუშაობს. ამასთან, გადამღები ჯგუფიც ჩემთვის კარგად ნაცნობი ადამიანებისაგან შედგებოდა, რადგან სპილბერგმა იმავე ხალხს მოუყარა თავი, ვინც მის და ჩემს ერთობლივ ნამუშევარზე („რიგითი რაიანის გადასარჩენად“) მუშაობდა. შარშან ტომმა მისთვის ძალზედ უცნაური, ორი რამ ჩაიდინა: „ოცწლიანი კარიერის მანძილზე, „დაწყევლილ გზაში“ პირველად შეასრულა უარყოფითი პერსონაჟის როლი. სპილბერგის ფილმში კი, მეორეხარისხოვანი გმირი განასახიერა. მსგავსი რამ ჰენკსს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა გაკეთებული და ისიც ფილმში („ის, რასაც შენ აკეთებ!“), რომელშიც მისი სარეჟისორო დებიუტი შედგა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დღესდღეობით ჰენკსის კარიერა უკვე იმ სტადიაში იმყოფება, როცა მან საკუთარ თავს ბევრი რამის უფლება შეიძლება მისცეს.

რასაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი ტომ ჰენკსმა – ყველაფერი ოქროდ იქცევა. მისთვის ფილმში მონაწილეობაც კი არ არის აუცილებელი – საკმარისია, გმირს საკუთარი ხმა „ათხოვოს“ და წარმატებაც გარანტირებულია, როგორც ეს „სათამაშოების თავგადასავალში“ მოხდა, ან გახდეს პროდიუსერი, ისე, როგორც „ჩემი დიდი, ბერძნული ქორწილის“ შემთხვევაში იყო. მის მიერ დადგმული სატელევიზიო მინისერიალიც კი („საძმოს ბატალიონი“) მოვლენად იქცა, კრიტიკოსების აღტაცებული გამოხმაურებები მოჰყვა და პრემია „ემიც“ დაიმსახურა. ამერიკულმა კინოაკადემიამ 46 წლის მსახიობი (ყველასათვის მოულოდნელად და მათ შორის, თავად ჰენკსისათვისაც) ხელოვნებაში გაწეული ღვაწლისათვის პრემიით დააჯილდოვა. ჩვეულებრივ, ამ ჯილდოს საპენსიო ასაკის კინემატოგრაფისტებს გადასცემენ. ცერემონიის შემდეგ, სახტად დარჩენილმა მსახიობმა განაცხადა: „საკუთარ თავს თვითმარქვიად აღვიქვამ და მგონია, რომ რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი“.

ტომი ირწმუნება, რომ საკუთარ თავს უწინდებურად „ძალზედ იღბლიან ყმაწვილად“ აღიქვამს და ეშინია, მაყურებელს დიდი ნდობა არ გაუცრუოს. „არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა პირველად მოვხვდი გადასაღებ მოედანზე პოლ ნიუმენთან ერთად, – იხსენებს ჰენკსი „დაწყევლილი გზის“ გადაღების მომენტს. – მე შევდივარ კადრში და ჩვენ ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ. პირველი დუბლის დროს, თავი სიზმარში მეგონა. ღმერთო ჩემო, მე ხომ პოლ ნიუმენს ვუყურებდი თვალებში“. ტომი იმასაც ამბობს, რომ საკმაოდ უჭირს რეჟისორებთან ურთიერთობა, რადგან მათთან შეხვედრისას თავს უხერხულად გრძნობს. „როცა სპილბერგი მეორე ფილმში მიღებდა, მასთან სტუმრად ტოდ ფილდი მოვიდა. მე შევცბი, აღარ ვიცოდი, როგორ მიმემართა მისთვის და როგორ მეთქვა, რომ მისი ფილმი – „საწოლ ოთახში“ საოცრად მომეწონა. ის ხომ არაჩვეულებრივი რეჟისორია!“ ზოგჯერ ტომის სიმორცხვე და თავმდაბლობა უცხო თვალისათვის ხელოვნურადაც კი ჩანს, მაგრამ ჰენკსი საკუთარ იმიჯზე სათანადოდ მუშაობს და ჟურნალისტებს თავის „სამაგალითო“ სახეს ირონიული რაკურსით წარუდგენს ხოლმე. შეკითხვაზე – აქვს თუ არა საზღვარი მის გავლენას ჰოლივუდში? – იგი კომიკურ-განაწყენებული გამომეტყველებით პასუხობს: „მთელი ცხოვრება ჯეიმს ბონდის როლზე ვოცნებობ!“ ასეთი პასუხის შემდეგ კი, ბუნებრივია, ყველას ეღიმება, რადგან ბონდის როლში მისი წარმოდგენა საკმაოდ ძნელია.

უახლოეს მომავალში მსახიობი რამდენიმე საინტერესო პროექტში მიიღებს მონაწილეობას და თავის თაყვანისმცემლებს გაახარებს. მარტინ სკორსეზე მსახიობისა და მომღერლის – დინ მარტინის ბიოგრაფიული ფილმის გადაღებას აპირებს, სადაც მთავარ როლს ჰენკსს სთავაზობს. მსახიობს წინ „ტერმინალის“ საინტერესო სცენარიც ელის. შესაძლოა, მან მომღერალ დინ რიდის როლიც შეასრულოს. „პოლარული ექსპრესი“ ჰენკსის უახლოესი პროექტია, ეს არის საშობაო ზღაპარი, რომლის განხორციელებასაც რობერტ ზემეკისი აპირებს.

■

ბრაბდიოზული კინოვრეფში ალექსანდრე მაკედონელის მესანლებ

მაროკოში იწყება ისტორიული ეპოსის – „ალექსანდრე დიდის“ გადაღების პირველი ეტაპი, რომელსაც რეჟისორი ბეზ ლურმანი დგამს, გამოჩენილი მხედართმთავრის როლს კი, ჰოლივუდის ერთ-ერთი ფლეიბოი – ლეონარდო დი კაპრიო შეასრულებს. ფილმის ოფიციალური დისტრიბუტორები კინოკომპანიები Dream-Works და Universal-ი არიან, რომლებიც გადაღების დასრულებასა და ფართო ეკრანებზე მის გამოშვებას 2004 წლისთვის აპირებენ. პროექტი საიდუმლოების საბურველშია გახვეული, მაგრამ უკვე დანამდვილებითაა ცნობილი, რომ „ალექსანდრე დიდი“ ჰოლივუდის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფილმი შეიძლება გახდეს.

სურათის გამოცხადებული ბიუჯეტი 150 მლნ დოლარს (ე.ი. ჯეიმს კამერონის „ტიტანიკისაზე“ მხოლოდ 50 მლნ-ით ნაკლებს) შეადგენს, მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი დარწმუნებულია, რომ უეჭველად გაიზრდება – თუნდაც, იმ ვარსკვლავების ჰონორარების ხარჯზე, რომლებიც ჯერ ვაკანტურ როლებზე არც დაუმტკიცებიათ. პირველ „ვარსკვლავურ“ პრეტენდენტად ლათინურამერიკელი ჯონ ლეგუიზანოს ასახელებენ, რომელიც ლურმანის 2 ფილმში – „რომეო + ჯულიეტასა“ და „მულენ რუჟშია“ გადაღებული. ალექსანდრეს დედის როლზე ნიკოლ კიდმანია მიწვეული, რომელსაც სიუჟეტის მიხედვით, დაბერება მოუწევს.

რეჟისორი ბეზ ლურმანი

ლეოს წინამორბედი ალექსანდრე მაკედონელის როლში, რიჩარდ ბარგონი იყო

გადაღებები, მაროკოს გარდა, რეჟისორის სამშობლოში, ავსტრალიაშიცაა დაგეგმილი. საინტერესოა, რომ ამ პროექტის იდეის ავტორად, სახელგანთქმული იტალიელი პროდიუსერი და რეჟისორი დინო დე ლაურენტისი გვევლინება, რომლის ბიოგრაფია ფელინისთან, ანტონიონისთან, ფორმანთან და სხვა გამოჩენილ რეჟისორებთან ერთად შექმნილ საეკრანო ტილოებთანაა დაკავშირებული. საინტერესოა, რომ ლაურენტისი „ალექსანდრე დიდის“ რეჟისორად რიდლი სკოტს იწვევდა, რომელთანაც „ჰანიბალის“ შექმნის დროიდან მოყოლებული მეგობრობს.

ლეონარდო დი კაპრიო ფილმში „რომეო+ჯულიეტა“

სკოტმა, რომელიც „გლადიატორის“ გადაღებისას კინობატალიებისგან მეტისმეტად გადაიღალა, აწონ-დაწონა ეს წინადადება და თავაზიანი უარი განაცხადა. ამის შემდეგ, დე ლაურენტისმა არჩევანი შეაჩერა ბეზ ლურმანზე, რომელმაც „მულენ რუჟით“ დაამტკიცა, რომ ლამაზი კინოს გადაღება ხელეწიფება.

ფილმზე მუშაობაში ჩაბმულია აგრეთვე მარტინ სკორსეზე – ამჯერად როგორც აღმასრულებელი პროდიუსერი. რაც შეეხება როლზე ლეო დი კაპრიოს დამტკიცებას, ლურმანისა და დე ლაურენტისის თქმით, მათ ერთი წუთითაც არ უეჭოყმანიათ ამ საკითხზე. „ლეო ნამდვილი ალექსანდრე დიდია და მე არ მეგულება სხვა მსახიობი, რომელიც ამ გმირს – როგორც გარეგნულად, ასევე შინაგანად, – უკეთესად მიესადაგებოდეს“, – განაცხადა რეჟისორმა.

გადაღებების დაწყებამდე ლურმანი და დი ლაურენტისი მაროკოს მეფეს – მოჰამედ მეექვსეს ეწვივნენ, რათა მისი მხარდაჭერაც მიეღოთ. გვირგვინოსანი უმალვე ჩასწვდა იმას, თუ რა სასიკეთო პერსპექტივას უქადის ეს მის ქვეშევრდომებს და საკუთარი არმიის 500 ჯარისკაცითა და 1000 ცხენით, დახმარება აღუთქვა კინემატოგრაფისტებს, რომელთა გეგმის თანახმად, გადაღებების პერიოდში, 22.000 მაროკოელი დასაქმდება. მაროკოს ტერიტორიაზე აიგება სტაციონარული პავილიონები, რომელიც გადაღებების შემდეგ, ამ ქვეყნის საკუთრება გახდება. ■

1000 ცხენის ძალის მქონე Cadillac



დეტროიტის ავტოსალონზე, რომელიც იანვარში გაიმართა, წარმომადგენლობითი კლასის ლიმუზინების მთელი რიგი დადგა. კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერმა“ წარმოადგინა უკვე ცნობილი ლიმუზინი – Maybach, რომელსაც იმთავითვე, უამრავი დამკვეთი გამოუჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გერმანულმა კონცერნმა „ბე-ემ-ვემ“ – Rolls-Royce Phantom (როგორც ცნობილია, ეს ლეგენდარული ბრიტანული ფირმა ახლა, ბავარიელებს ეკუთვნის). ცხოვრებას არც „ფოლკსვაგენი“ ჩამორჩა: მის აქტივშია ახალი Bentley. ბუნებრივია, ამ საავტომობილო ჟანრის ფუძემდებლები – ამერიკელები არ დაუშვებდნენ, რომ პოზიციები დაეთმოთ და კორპორაცია „ჯენერალ მოტორსმა“ ახალი, სუპერმძლავრი Cadillak წარმოადგინა საზოგადოების სამსჯავროზე.

ეს მანქანა ჯერჯერობით, მხოლოდ კონცეპტუალური მოდელის სახით არსებობს. მას Sixteen დაარქვეს. ახალი „კადილაკის“ კაპოტქვეშ, 16-ცილინდრიანი, 13,6 ლ მოცულობისა და 1000 ცხ.ძ-ის სიმძლავრის აგრეგატია მოთავსებული. საინტერესოა, რომ არასრული დატვირთვის დროს, 8 ცილინდრი ავტომატურად ითიშება და მაშინ, ძრავას სამუშაო მოცულობა 6,8 ლ-მდე მცირდება. GM-ის ინჟინრების მიერ შემუშავებულ ამ სისტემას Displacement in Demand უწოდეს. ის საწვავის ეკონომიას უწყობს ხელს, თუმცა, ამ კლასის მანქანების მფლობელთათვის აღნიშნული საკითხი აქტუალური არ არის.

Cadillac Sixteen 24-დუიმიანი საბორბლე დისკებით და 4-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება. როგორც კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ბობ ლუცმა ოფიციალური პრეზენტაციისას განაცხადა, კონცეპტ-ავტო თავისებურ, „განზრახვათა დეკლარაციას“ წარმოადგენს. მისი თქმით, ახალი „კადილაკი“ კორპორაციის განვითარების შემდგომი პერიოდის მიმართულებას უჩვენებს, მასში გამოყენებული ტექნიკური სიახლეები კი, მომავალ, სერიულ მანქანებში იქნება გამოყენებული. პირველ რიგში, აქ ლაპარაკია ცილინდრების ავტომატურად გამორთვის სისტემაზე.

ექსპერტთა შეფასებით, სერიული წარმოების შემთხვევაში, 16-ცილინდრიანი „კადილაკის“ საგარაუდო ფასი სულ ცოტა, 200.000 დოლარს მიაღწევს. უახლოესი რეალური პროექტებიდან, ასახელებენ როდსტერ-კუპეს – XLR-ს, რომელსაც 315 ცხ.ძ. სიმძლავრის, 8-ცილინდრიანი, 4,6 ლ მოცულობის ძრავა ექნება და ამერიკელ დილერებს უკვე გაზაფხულზე შესთავაზებენ. საინტერესოა, რომ Cadillac XLR-ის ხელსაწყოთა პანელის დიზაინი სახელგანთქმულმა იტალიურმა ფირმამ – Bvlgari-მ შეიმუშავა. ■

სრულამძრავიანი Maserati

სპორტული ავტომობილების წარმოებაში დაოსტატებულმა, იტალიურმა ფირმა Maserati-მ საზოგადოების სამსჯავროზე წარმოადგინა ლუქსის კლასის უნივერსალი Kubanq-ი, რომელიც სრულამძრავიანი მანქანის შექმნის პირველი მცდელობაა ამ კომპანიისთვის. ახალი მოდელის სიგრძე 5 მ, სიმაღლე კი – 1,65 მ-ია. ამ მაჩვენებლებით, Kubanq სხვა უნივერსალებთან შედარებით, უფრო სოლიდურად გამოიყურება და სპორტულ ყველგანმავალსაც კი მოგვაგონებს.

ავტომობილს შესაშური დინამიკა აქვს: 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,5 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 250 კმ/სთ-ს აღწევს. ძრავა 8-ცილინდრიანია და 390 ცხ.ძ-ს ავითარებს. Kubanq-ს ძალზედ ხალვათი სალონი აქვს, ხოლო საბარგო დანაყოფი ადვილად გარდაიქმნება სამგზავროდ. მისი მოცულობა 600 ლ-ს შეადგენს. ავტომობილი 5-ადგილიანიც შეიძლება იყოს და 7-ადგილიანიც – მომხმარებელს საშუალება ექნება, თავად გააკეთოს არჩევანი. მისი სერიული წარმოება 2004 წლისთვისაა დაგეგმილი. საორიენტაციო ფასად, 90.000 ევროს ასახელებენ. ბოლოს დავძენთ, რომ Maserati Kubanq ძირითადად, ჩრდილოამერიკული ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ■

Audi-ს ყველგანმავალი მთის ხელიფისთვის

Pikes Peak quattro – ამ სახელს კონცეპტუალური ავტომობილისთვის, კოლორადოს შტატში მდებარე მაღლობს დაესესხნენ, სადაც ტრადიციული, სამთო ავტორალი ტარდება. „აუდის“ მანქანებს უკვე სამჯერ გაუმარჯვია ამ შეჯიბრებაში. გერმანელ ავტოინჟინერთა ეს სიახლე ადასტურებს, რომ ისინი მტკიცედ ადგანან ისეთი სრულამძრავიანი ავტომობილების წარმოების კურსს, რომელშიც შეხამებულია ბიზნეს-კლასის კომფორტულობა და ყველგანმავლის სანიმუშო განვლადობა. Pikes Peak quattro ამ ოჯახის ტიპური წარმომადგენელია.

ის სპორტული მოდელის – Audi RS 6-ის ძრავათია აღჭურვილი. 8-ცილინდრიანი, ტურბოდაბერვიანი აგრეგატის სიმძლავრე 500 ცხ.ძ-ს აღწევს და 100 კმ/სთ სიჩქარეს 5 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი, 250 კმ/სთ-ს შეადგენს (ამასთან, მანქანაში გამოყენებულია სიჩქარის ელექტრონული შემზღუდავი). მასზე ოდნავ უკეთესი დინამიკით მხოლოდ Porsche Cayenne Turbo გამოირჩევა.

საინტერესოა, რომ კონცეპტ-ავტოს ზოგიერთი კვანძი უნიფიცირებულია სერიული Volkswagen Touareg-ის ყველგანმავლის კვანძებთან, მათ შორისაა: ჩარჩო, საკიდარი და ტრანსმისია. საკიდარი პნევმატურია, ვერტიკალურად რეგულირებადი. რაც შეეხება სალონს – „აუდისთვის“ ჩვეული, საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად, დახვეწილობითა და გემოვნებით გამოირჩევა; ჩანართების სახით გამოყენებულია ალუმინი და სხვადასხვა ჯიშის ხის მასალა. მარჯვენა გვერდით სარკეში ჩამონტაჟებულია მინიატურული ვიდეოკამერა, რომლის ობიექტივი წინა მარჯვენა ბორბალზეა დაფიქსირებული. მისი გამოსახულება, ხელსაწყოთა პანელზე მოთავსებულ დისპლეიზე გადაიცემა და ამის წყალობით, მძღოლს საშუალება ეძლევა, გააკონტროლოს ე.წ. მკვდარი ზონა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთის ლანდშაფტზე მოძრაობისას.

გადაწყვეტილება ახალი „აუდის“ სერიული წარმოების თაობაზე ფაქტობრივად, უკვე მიღებულია: ავტობაზარზე მანქანა 2004 წლის შუა პერიოდისთვის გამოჩნდება. ■

პირისპირ ამერიკულ სინამდვილესთან ანუ როგორ მითხრიდა საფლავს დაკრძალვის ბიუროს აგენტი



ამერიკული ცხოვრების წესის თავისებურებანი ყველაზე მეტად ექსტრემალურ სიტუაციებში იჩენს თავს. ამაში თავადაც მრავალჯერ დავრწმუნდი, მაგრამ ჩემი კეთილი დიასახლისის გარდაცვალებამ კიდევ ერთხელ შემაჯახა შუბლით სიპ კლდეს...

სიკვდილის შესახებ იმდენი თქმულა და დაწერილა, მე რა უნდა მოგიყვეთ ახალი? თუმცა კი, იმ პერიოდში, როცა დეიდა სვეტამ საავადმყოფოს კედლებში მიაბარა სული უფალს და მე და დიმა ბაზელი სულიერ ღირებულებებსა და მაღალ მატერიებზე ვფიქრობ-დით, ლამის ტვინი გადამიბრუნდა, ისეთი ამბების მოწმე გავხდი. საავადმყოფოში და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს „სიკვდილი და კომერცია“ ვუწოდე, უფრო სწორად — „სიკვდილი და ფული“, რადგან ისეთ, ყოველმხრივად უზრუნველყოფილ ქვეყანაში, როგორიც ამერიკაა, ფული სიკვდილის შემდეგაც მთავარ როლს ასრულებს.

მოკლედ რაღა ბევრი გავაგრძელო? — ჩემი გრძნობები იქ არავის აინტერესებდა. ამერიკა თავის მკაცრ კანონებს გვთავაზობდა, ჩვენ კიდევ, არაფრის შეცვლა არ შეგვეძლო...

აკაკი გეგენავა

ამერიკული დაკრძალვა, ქართული ქელეხის თანხლებით...

დეიდა სვეტას აუხდენელი დარჩა უკანასკნელი სურვილი — სიკვდილის წინ ენახა თავისი ქალიშვილები. მისმა უფროსმა ქალიშვილმა, ნატაშამ, დილის შვიდ საათზე შემოაღო პალატის კარი და... ხმამაღლა აქვითინდა. ნატაშას მაღალი, ქერა მამაკაცი ახლდა, რომელიც მისი ამერიკელი მეუღლე აღმოჩნდა. ამერიკელი „ჭირისუფალი“ სიძე, რომელსაც მგონი სიდედრი მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი, შუა ოთახში უხერხულად იდგა. ნატაშა ისე გულამოსკვნილი ტიროდა, რომ ვერ გავუძელი, პალატიდან გამოვედი და ფოიეში, დასჯილი ბავშვივით საცოდავად მოკუნტულ დიმას გვერდით მივუჯექი.

უძილო და დაღლილი კი ვიყავი, მაგრამ არ გამომპარვია, რომ ჩვენ გარშემო უცნობი ადამიანები ტრიალებდნენ, უფრო სწორად — შავ სადღესასწაულო (უკაცრავად, სამგლოვიარო) სმოკინგებში გამოწყობილი მამაკაცები, რომლებიც თავდაპირველად ვიღაცის ჭირისუფლები მეგონა. სმოკინგიანები ნერვიულად სცემდნენ ბოლთას დერეფანში და მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს გარეგნობით სულაც არ ჰგავდნენ, მაინც ჰქონდათ რაღაც საერთო და ეს საერთო იყო აშკარად ხელოვნური, ოღონდ კარგად დამუშავებული მანერები. სახეზე ისეთი დარდი აღბეჭდვოდათ, თავიდან მეც შეცდომაში შემიყვანეს.

— დიმა, თუ კაცი ხარ, ერთი ეს მითხარი — ეს ხალხი ვინ არის? — ვკითხე ჩაფიქრებულ დიმას.

— დეიდა სვეტას ნათესავები მეგონა, მაგრამ მერე გავიგე, რომ დამკრძალავი ბიუროდან ყოფილან.

— მერე ამ დილაადრიან, აქ საიდან გაჩნდნენ? — გამიკვირდა.

არც დიმამ იცოდა, საიდან „დაგვესხნენ თავს“ ეს მამაკაცები ამ დილაუთენია და მხრები აიჩეჩა. ერთ-ერთმა, ეტყობა შეამჩნია, ჩვენი ყურადღების ცენტრში რომ მოექცნენ, ცოტა ხანს მათვალიერა, ბოლოს, „გაბედა“ და თავაზიანად მომიახლოვდა.

— უკაცრავად, თქვენ გარდაცვლილი ქალბატონის ნათესავები ბრძანდებით? — მკითხა.

— დიახ, ნათესავები ვართ! — ვუპასუხე (ხომ არ ვეტყოდი, მდგმურები ვართ-მეთქი).

— შეგვიძლია ჩვენი სამსახური შემოგთავაზოთ, ყველაფერი უმაღლეს დონეზე შეგისრულოთ, ფასებიც საკმაოდ მისაღებია... — ჩაირთო აგენტი და ერთმანეთს ავტომატის ჯერივით მიაყარა წინადადებები:

— ბალზამირებას გაგიკეთებთ, უმაღლესი ხარისხის კუბოში ჩაგაწვენთ, საფლავსაც პრესტიჟულ ადგილზე გაგითხრით...

— მე გამითხრით საფლავს?!. — სიმწრისგან გავიღიმე.

— უკაცრავად, მაპატიეთ, თქვენ კი არ გაგითხრით საფლავს — თქვენს მიცვალებულს. ალბათ ბებია იყო თქვენი, არა?.. — თავგამოდებით ცდილობდა დამკრძალავი ბიუროს აგენტი შეცდომის გამოსწორებას.

თავდაპირველად, დიმა თითქოს არ გვისმენდა, მაგრამ აგენტის ბოლო სიტყვებზე კი ვერ მოითმინა და ჩუმად ჩაიფხუკუნა.

— რა გაცინებს? გიხარია, არა, როგორ მითხრიან სამარეს?.. — თვითონაც ვერ შევნიშნე, ისე მოვედი ხუმრობის ხასიათზე. ამასობაში, მეგობარს მეორე აგენტი შემოეშველა, რომელიც, როგორც გაირკვა, სულაც არ იყო პირველის მეგობარი — თურმე სულ სხვა დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენელი ყოფილა. მოკლედ, ისიც ნასწავლი თავაზიანობით მომიახლოვდა და გამომიწოდა ე.წ. „ფრაის ლისტი“ (ფასების ფურცელი) — დამკრძალავი ბიუროს პრეისკურანტი. მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე. ყველას ფერად-ფერადი (რა თქმა უნდა, რუხი, სამგლოვიარო ფერის) ფურცლები ეჭირა...

უაზროდ მეჭირა ხელში სააგენტოების ფურცლები. ბოლოს მოვიფიქრე და სიტყვით გამოვედი:

— ჯენტლმენებო, მე დაკრძალვის საკითხი არ მეხება. უმჯობესია, გარდაცვლილის ახლობლებს მიმართოთ!.. — და პალატის კარისკენ მივანიშნე. აგენტებმა ახლა უკვე უკმაყოფილოდ ამათვალიერეს და ამჯერად, პალატის წინ დაიწყეს ცმუკვა... ამ დროს, ნატაშას მეუღლე გამოვიდა, არც დაფიქრებულა — პირდაპირ აგენტებისკენ წავიდა, ოთხივეს გამოართვა „ფრაის ლისტები“, სათვალე მოირგო, იქვე სკამზე მოკალათდა და ყურადღებით დაიწყო ფურცლების თვალიერება. პერიოდულად ჩერდებოდა და რაღაცას გუნებაში აანალიზებდა — ეტყობა, ანგარიშობდა, რომელი ბიუროს მომსახურება დაუჯდებოდა უფრო იაფი.

თითოეული აგენტი საკუთარ ბიუროს

უკეთებდა რეკლამას. საუბრით, მოქმედებით და ჟესტებითაც კი ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ კლიენტი საკუთარი ფირმის ღირსებებში და, ბუნებრივია, ნერვიულობდნენ კიდეც.

მე და დიმა დაბნეულები ვადევნებდით ამ ყველაფერს თვალყურს და გაოცებას ვერ ვფარავდით. საბრალო მოხუცის სხეული ჯერ არ გაცივებულიყო, აგენტებს კი ერთი სული ჰქონდათ, როდის „დაითრევდნენ“ შეკვეთას. ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც, როდესაც სარიტუალო მომსახურების ფასით დავინტერესდი, თვალები შუბლზე ამივიდა, ლამის ცუდად გავხდი. შემეცოდა(!) ამერიკელები, ასე ძვირი რომ უჯდებათ იმ ქვეყნად „გადასახლება“...

— წამოდი, კაკო, აქედან გავაღწიოთ, თორემ ამათი შემხედვარე ლამის გავგიჟდე!.. — მითხრა დიმამ, მხარზე ხელი გადამხვია და საავადმყოფოდან გამიყვანა. გასასვლელთან ლურჯხალათიანმა ქალბატონმა — მორიგემ, რომელიც იქ მისვლისას უხეშად მომექცა — ამჯერად გამიღიმა და თანაგრძნობით სავსე მზერა გამომაყოლა. მესიამოვნა ამ ცივი ქალის თანაგრძნობა...

სამგლოვიარო დღეებმა მშვიდად ჩაიარა. დეიდა სვეტას ნეშტი დამკრძალავი ბიუროს გაკრიალებულ მდიდრულ დარბაზში დაასვენეს. მშვიდი, კლასიკური მუსიკაც გემოვნებით იყო შერჩეული. ამერიკელმა სიძეებმა არაფერი დაიშურეს და, როგორც იქ იყო მიღებული, ისე მიაგეს პატივი მიცვალებულს. ოღონდ ეგ იყო, მისასამძიმრებლად ძალიან ცოტა ხალხი მოდიოდა. დარბაზი თითქმის მუდამ ცარიელი იყო...

— რა უბედურებაა, რატომ არავინ მოდის პანაშვიდებზე? — მკითხა გაოცებულმა დიმამ.

— რა გიკვირს? ქალმა მთელი ცხოვრება რუსეთში გაატარა. აქ რაღაც ათი წელი ცხოვრობდა და ისიც, მოხუცებულობაში... ხომ არ ფიქრობ, რომ რუსეთიდან ჩამოვლენ?

— არა, მაგდენი კი მესმის, მაგრამ მაინც რატომ არავინ მოდის? — აიხირა დიმამ.

— ვნახავ ერთი, შენს პანაშვიდებზე რამდენი ხალხი მოვა!.. — მოვუჭერი დიმას. დამკრძალავი ბიუროს აგენტებთან მომხდარი ინციდენტის გამო სამაგიეროს გადახდა მოვინდომე. მან ერთი ეჭვიანად ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მიყურა, მიყურა, მერე ხელი ჩაიქნია, — გეტყობა, ცოტა აურიეო, — მითხრა და ოთახიდან გავიდა.

... დაკრძალვაზეც თხუთმეტიოდე კაცი იქნებოდა. ქალიშვილები თავიანთ ქმრებთან ერთად, ერთი-ორი მეზობელი, მე, დიმა და ექვსიოდე ქართველი, რომელთაც მკითხველისთვის უკვე კარგად ნაცნობი, ჩემი წნორელი მეგობარი გივი თავკაცობდა (ვფიქრობ, გაგახსენდათ წნორელი ლომი, რომელიც თავბრუს ახვევდა ამერიკელ ლამაზმანებს).

როდესაც გივის ვკითხე: შენ საიდან-ღა გაიგე ჩემი დიასახლისის გარდაცვალების ამბავი-მეთქი? — მიპასუხა: ბირჟაზე რამდენჯერმე ვიყავი შენს სანახავად და რომ აღარ გამოჩნდი, გავიკითხე და ეგ ამბავიც მითხრესო, ვიცოდი, როგორ გიყვარდა რუსი „ბაბუშკა“ და მოსასამძიმრებლად მოვედითო (თან თავის „ამქარზე“ მიმითითა). მერე დასძინა: ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვისაც ხომ ბევრჯერ უცია პატივიო.

გამახსენდა, რამდენჯერ მიმიყვანია ქართველი თანამემამულეები დეიდა სვეტას სახლში, რამდენჯერ გაუშლია გემრიელი სუფრა ჩემს კეთილ დიასახლისს და მოგვფერებია ნოსტალგიამოძალებულ ბიჭებს...

ეს ყველაფერი ახსოვდათ ჩემს მეგობრებს და აგერ, მოვიდნენ კიდეც. უკანასკნელი პატივი რომ მიეგოთ სვეტლანა ლავროვასთვის, რომელიც მათ რაღაცით თითქოს მონატრებულ სამშობლოსაც ახსენებდათ...

დეიდა სვეტა ამერიკის მიწას მიაბარეს. პროცესია დასაშლელად გაემზადა. ამერიკელი სიძეები სათითაოდ მოვიდნენ და ისე ჩამომართვეს ხელი, რომ კაცი იფიქრებდა — ჭირისუფალი მე ვიყავი და არა ისინი. ნატაშაც მომიახლოვდა, შენი ძალიან მადლიერი ვარო, — მითხრა, — თან დასძინა: ორიოდე დღეში გამოგივლით და ბინის საკითხზე მოვილაპარაკოთო...

— კაკო, ეს ხალხი ასე მიდის?! — გაუკვირდა გივის.

— ჰო, მიდიან!.. — ვუპასუხე.

— მოიცა, კაცო! ისე მიდიან, შესანდობარიც არ უნდა თქვან? მოხუცს ერთი ჭიქა ღვინო მაინც არ უნდა წაუქციონ?! — აბობოქრდა წნორელი ლომი.

— ალბათ აქ ასეა მიღებული, ჩემო გივი და აქაურ წესებს მე ხომ არ შევცვლი?

— უჯიგროები ყოფილან, ძმაო! წამო, წამო, ჩვენ მაინც მოვიხსენიოთ გარდაცვლილის სული!.. — გაცხარდა გივი. მხარზე ხელი გადამხვია, ბიჭებს დაუძახა და სასაფლაოს გასასვლელისკენ ყოჩივით გაგვიძღვა.

— ისე, რამე რომ იყოს, შენი „ხაზეიკას“ სიძეებისთვისაც ხომ არ დაგვეძახა? — გადმომხედა გივიმ.

— კი, მაგრამ სად უნდა დავუძახოთ? სად აპირებ წასვლას?

— სად და დეიდა სვეტას, ერთი ჩვენებ-

ტესტი ერუდიციაზე

1. პულსს ცერა თითით იმიტომ არ ზომავენ, რომ:

ა) ნაკლები მგრძნობელობა აქვს;
ბ) თვითონ აქვს პულსაცია;
გ) ზედმეტი მგრძნობელობა აქვს.

2. ნაპოლეონი ამგობდა: „პოლიტიკას აქვს მხოლოდ გონება, მას არ გააჩნია...

ა) ...თვალები“;
ბ) ...გული“;
გ) ...გრძნობა“.

3. რა ეწოდება ლითონის წვრილ ჯოხს, რომლითაც თოფის ლულას წმენდენ?

ა) სემი;
ბ) ლახტი;
გ) ზუმბი.

4. დიეგო მარადონას მამა იყო:

ა) ფეხბურთელი;
ბ) მწვრთნელი;
გ) დურგალი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ური ქელეხი უნდა გადავუხადოთ. ვაჩვენოთ ერთი ამ „სირისტიან“ ამერიკელებს, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები!.. – ეშხში შევიდა გივი.

– რატომაც არა? ბოლოს და ბოლოს, მაგათ მოუკვდათ სიდედრი, მე კი არა!.. – წამოვიძახე და მივხვდი, რომ ჩემში ერთდროულად გაიღვიძა სიამაყისა და შესანიშნავი ტრადიციის ერთგულების გრძნობამ.

– ნიკ, ნიკ!.. – გავძახე ნატაშას ქმარს, რომელიც უკვე მანქანაში ჯდებოდა. გაოცებულმა შემომხედა, ვერ მიხვდა, რატომ ვეძახდი.

– ნიკ, ეს ბიჭები ჩემი სამშობლოდან არიან, საქართველოდან... ახლა, ჩვენ კაფეში მივდივართ და თქვენც გეპატიჟებით, ყველას! – ომახიანად წარმოვთქვი და მივხვდი, რომ სიმაღლე მომემატა...

– ვინმეს დაბადების დღეა? – ასეთ უადგილო შეკითხვას ნამდვილად არ ველოდი.

– არა, უბრალოდ, დეიდა სვეტას შესანდობარი გვინდა შევსვათ... – განვაგრძე მე, მაგრამ ეტყობა, შესანდობარი ინგლისურად ვერ განვმარტე, რას ნიშნავდა. ისეთი გაოგნებული მიყურებდა, კაცი იფიქრებდა, ხუთუცნობიანი განტოლების ამოხსნას ვთვაზობდი...

– ნატაშა, შენ მაინც მიშველე – ხომ ხარ ქრისტიანი, მართლმადიდებელი!.. აუხსენი ამ შენს ქმარს, რას ნიშნავს შესანდობარი, რას ნიშნავს მიცვალებულის პატივსაცემი სუფრა და წამოდით ჩვენთან ერთად... – მივმართე ნატაშას.

– კაკო, მე კი მივხვდი, თქვენ რასაც აპირებთ, რისთვისაც მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ნიკი არა მგონია, წამოვიდეს. ხვალ სამსახურშია წასასვლელი...

შენც მათ ყაიდაზე გადასულხარ-მეთქი, – გავიფიქრე, მაგრამ ჩემი პოზიცია მაინც არ დავთმე:

– შენ წამოიყვანე და სამსახურს როგორმე მოევლება... – არ მოვეშვი ნატაშას.

დეიდა სვეტას ქალიშვილმა ღიმილით გაიყვანა მეუღლე გვერდით და ხუთიოდე წუთი უხსნიდა, რა გვინდოდა...

და ჰოი, საოცრებავ (მაპატიეთ, ამ პათეტიკური ტონისთვის, მაგრამ დამერწმუნეთ, მართლა გულწრფელად გამეხადა ამერიკელის „მორჯულება“)! ნიკმა თანხმობა განაცხადა. უფრო მეტიც, ცოლისდას და ქვისლსაც თავადვე სთხოვა, ჩვენთან წამოსულიყვნენ.

მაგარია, საქართველო, მაგარი!

იქვე ახლოს, მშვენიერი კაფე მოვძებნეთ. სახელდახელო სუფრაც გაიშალა. ვეცადეთ, იქაური მენიუ ჩვენებურისთვის ოდნავ მაინც მიგვემსგავსებინა. წნორელმა ლომმა დავალება მომცა, მზარეულისთვის ხაშლამისა და შილაფლავის „შეკვეთა“ მიმეცა (დიდხანს ვუხსნიდი მზარეულს ქართული კერძების მომზადების წესს)...

„ქელეხს“ წნორელი ლომი უძღვებოდა – რა თქმა უნდა, ქართულად. თარჯიმნობა დიმამ აიღო საკუთარ თავზე.

პირველი სადღეგრძელო ყოფნა-არყოფნის სევდისა დაილია. დეიდა სვეტას ნათელი სულის შესანდობარი ყველას ბოლომდე დაალევინა, ასე მტერი დაგეცალოთო! – დააბუხუნა და დიმამ რომ ეს სიტყვები თარგმნა, სიძეებმა მქუხარე ტაში შემოსცხეს(!).

დროდადრო გივი საუბარს წყვეტდა, ხან ერთ სიძეს უთმობდა ხოლმე „ეთერს“, ხან – მეორეს. ისინიც შევიდნენ როლებში და თქვენ წარმოიდგინეთ, მოერგნენ კიდეც ქართულ ქელეხს.

გივის არც დეიდა სვეტას გარდაცვლილი ახლობლები დავიწყებია და არც მისი შვილიშვილები, მის სიცოცხლეს რომ აგრძელებენ. არც მისი სამშობლო დავიწყნია...

მოკლედ, გივი ისე მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა (და დიმა ბაზელიც ისეთი ოსტატობით თარგმნიდა მის სადღეგრძელოებს), რომ იქ მყოფი ქართველები კიდევ ერთხელ ავივსეთ სიამაყით... რომ ვინარჩუნებდით მამაპაპათა ტრადიციებს, რომ გმირი წინაპრების ადათ-წესებს აქ, ამერიკაში, ამ უზარმაზარ, თვრამეტმილიონიან ქალაქში, სადღაც ერთ პატარა კაფეშიც კი არ ვივიწყებდით.

... ხაშლამა შემოიტანეს ვეებერთელა სინით, მარილ და ოხრახუშმოყრილი. ოხშივარი მადისაღმძვრელად ასდიოდა... ნატაშას და მის დას, ტანიას გაეღიმათ ხაშლამის დანახვისას. ტანიამ მითხრა – ერთხელ, დები მცხეთაში მოვხვდით დაკრძალვაზე და იქიდან მახსოვს ხაშლამის გემოო...

ხუთმა საათმა ისე გაირბინა, ვერც კი შევამჩნიეთ. ერთმანეთის მოფერებითა და პატივისცემით ისე ვიყავით გატაცებულნი, რომ დროის შეგრძნება დავკარგეთ. ჩვენი განწყობა კაფეს მომსახურე პერსონალსაც გადასდებოდა და თავს დაგვტრიალებდნენ. სუფრაზე ისეთი სიყვარულისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო ტრიალებდა – უკეთესს ვერც ინატრებდი. იმ მომენტში ჩვენზე (სუფრასთან მყოფ ქართველებზე) ბედნიერი, დედამიწის ზურგზე არავინ მეგულებოდა...

გივი ისეთ გულის ამაჩუყებელ სადღეგრძელოებს ამბობდა და ისე მინდოდა, დიმას არც ერთი ფრაზა არ გამორჩენოდა, რომ გული გავუწვრილე, – ყველაფერი ზუსტად უთარგმნე-მეთქი სიძეებს. მინდოდა, ისინი (და მათი რუსი მეუღლეებიც) ბოლომდე ჩასწვდომოდნენ ქართულ ხასიათს, ეგრძნოთ ის სიყვარული, რომელიც სრულიად უანგაროდ შეგვიძლია ვაჩუქოთ უცხო ადამიანებსაც და რომ სიკეთისთვის ყოველთვის სიკეთითვე ვიხდით, ხოლო ჩვენ მიერ სხვისთვის გაწეული სიკეთისთვის სამაგიეროს არ ვითხოვთ...

ამერიკელებს მართლაც, მოვაწონეთ თავი. ისინიც აგვყვნენ სადღეგრძელოებში.

ბოლოს ნატაშა მომიახლოვდა, ცრემლი მოიწმინდა, მაკოცა და ჩუმად მითხრა:

– აკაკი, დიდი მადლობა ყველაფრისთვის. მადლობა, რომ ასე გყვარებიათ საცოდავი დედაჩემი; მადლობა, რომ ასე თბილად მოიხსენიებთ მის სახელს... მაგრამ შენ ვერ ამჩნევ და ამ სუფრაზე ერთი გასაოცარი რამ ხდება: უკვე ექვსი წელია, ნიკი ჩემი ქმარია და ასეთი აღტაცებული და მგრძნობიარე არასოდეს მინახავს. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ნიკს ტირილი შეეძლო. აბა, შეხედე, თამადას ისე უსმენს, თითქოს ყოველი ქართული სიტყვა მისთვის გასაგები იყოს...

ნიკისკენ გავიხედე. ის მართლაც თვალს არ აშორებდა წნორელ ლომს. ყური კი დიმასკენ ჰქონდა მიპყრობილი. ემოციებს ვერ ფარავდა და რაც ყველაზე თვალში საცემი იყო, ცრემლები მოსდიოდა და სულაც არ ცდილობდა მის დამალვას... ნიკი მთლიანად ჩაფლულიყო იმ უჩვეულო გრძნობაში, რასაც წინაპრის სიყვარული და პატივისცემა ჰქვია და რასაც ადამიანურ განცდათა სიღრმე ახლავს თან.

დროდადრო ნიკი აღტაცებით წამოიძახებდა:

– Good Georgia!.. Good! – ესე იგი: „მაგარია საქართველო!.. მაგარი!“

...

ბოლოს, სუფრაზე შილაფლავი შემოიტანეს. გივიმ საიდანღაც სანთლებიც გააჩინა და ყველას ჩამოგვირიგა. კიდევ ერთხელ დაილია დეიდა სვეტას შესანდობარი და კიდევ ერთხელ გამიჩნდა სურვილი, ხმამაღლა მეყვირა იქ, ამ შორეულ ამერიკაში:

– მართლა მაგრები ვართ ქართველები! ■

ახალგაზრდა მემოდელეებს ინტერიერის დიზაინიც ემახჯვებათ და ბიჭების ცანსაცმლის შეკერვასაც აპირებენ



ავანგარდული მოდის ბიზნესი ისეთი „სარფიანი“ აღმოჩნდა, რომ ამ სფეროში დღითი დღე ახალ-ახალი სახეები ჩნდება. ამ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი სალონი — „ნეო სტილი“ გაიხსნა, რომლის დიზაინერები, მეგობრები — ნესტან პაპიძე, სოფო ბორცვაძე და მარი ელექსიშვილი — არიან. მათ სასაუბროდ სახელოსნოში ვესტუმრეთ, სადაც მათივე ხელებით შექმნილი საკმაოდ სასიამოვნო ინტერიერი დაგვხვდა.

ნათია ქივიძე

— როდის და როგორ გაჩნდა სალონის დაარსების იდეა?

ნესტანი:

— დიდი ხანია, სალონის გახსნის სურვილი გვაქვს. ეს იდეა განვახორციელეთ კიდეც, თუმცა რაღაც ვერ ავეწყვეთ, გაგვიჭირდა და მალევე დავიშალეთ. ახლა მე და სოფომ ერთად ჩავუყარეთ ყველაფერს საფუძველი, ხოლო ორი თვის წინ მარი გავიცანით, მისი ნიჭით აღვფრთოვანდით და შემოვიერთეთ.

— რატომ დაარქვით სტუდიას მაინცდამაინც „ნეო სტილი“?

სოფო:

— „ნეო“ ბერძნულად ახალს ნიშნავს. საერთოდ, ყველა, „ნიუ“-ს — ინგლისურ სიტყვას იყენებს. ჩვენ გადაწყვიტეთ, განსხვავებულები ვყოფილიყავით და დავარქვით „ნეო სტილი“. ეს ჩემი ბავშვობის სურვილი იყო...

— ვიცი, რომ სულ ცოტა ხნის წინ, თქვენი სალონის პრეზენტაცია მოეწყო...

ნესტანი:

— იმის გამო, რომ სალონის დაარსებას საძირკველი ჩაეყარა, მისი დაბადების დღე აღვნიშნეთ, რადგან აქედან დაიწყოს ათვლა და მომავალში, იუბილეები გადავიხადოთ ხოლმე...

— ხართ თუ არა პროფესიონალი დიზაინერები?

ნესტანი:

— არა, ეს ჩემი ჰობია, თუმცა მგონი, ნელ-ნელა პროფესიად გადაიქცევა. სპეციალობით ამ საქმესთან შეხებაც არა მაქვს, სამედიცინო მაქვს დამთავრებული.

სოფო:

— სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობ. მოდელირების პირველი კურსი დავხურე. რადგან ჩავთვალე, რომ ერთ წელიწადში იქ ყველაფერი ამოვწურე, ავეჯის დიზაინის ფაკულტეტზე გადავედი. „ბელუქსი“ უნდა შევცვალო. სულ მალე, მოდაში „ნეო სტილის“ ავეჯი შემოვა!

მარი:

— სპეციალობით ისტორიკოსი ვარ, თუმცა ბავშვობიდანვე ჩემი მიზანი დიზაინერობა იყო. მეორად ფაკულტეტზე ვსწავლობ მოდელირებას. მინდა, ამ საქმეში პროფესიონალი ვიყო...

— ვინ გეხმარებათ ფინანსურად ან თუნდაც მორალურად?

ნესტანი:

— უკვე მეორე წელია, რაც საბავშვო საკარნავალო კოსტიუმებზე ვმუშაობ. თვითდაფინანსებასავით გამომდის: რასაც იქ ავიღებ, აქეთ ვხარჯავ. დიდი მხარდაჭერა გვაქვს მშობლებისგან, ჯერჯერობით, ჩვენი „გენერალური სპონსორები“ ისინი არიან. მორალურად კი, ერთმანეთს ვაიმედებთ და, რა თქმა უნდა, მეგობრებიც გვერდით გვიდგანან.

— ძირითადად რას კერავთ?

მარი:

— ახლა, მხოლოდ საღამოს კაბებს ვკერავთ. ეს არის ავანგარდული სტილი. ისე, თუ ვინმეს სურვილი ექნება, შეგვიძლია, ინტერიერის დიზაინზეც ვიმუშაოთ.

ნესტანი:

— მამაჩემი ამბობს ხოლმე: „ქსოვილს ცუდად გაჭრიან და ამას ეძახიან ავანგარდს, მერე უშნოდ გადაკერავენ და ესეც ავანგარდიაო, — ამბობენ...“

— როგორ ფიქრობ — მიიღო ქართველმა მყიდველმა თქვენი ავანგარდული სტილი? გყავთ დამკვეთები?

მარი:

— მიუხედავად იმისა, რომ ასაკით პატარები ვართ, ყველამ სრული სერიოზულობით აღიქვა ჩვენი ნამუშევრები. ყველა გვენდობა, ამიტომ ალბათ ბიჭების ტანსაცმელსაც შევკერავთ, მაგრამ ეს უახლოეს მომავალში დაგეგმილი არ გვაქვს.

ნესტანი:

— რაც შეეხება დამკვეთს — ძალიან ბევრია. თავდაპირველად, მეგობრებმა დაიწყეს ჩვენთან სიარული, შემდეგ სხვებმაც მოგვაკითხეს. ამჟამად თამთა გოგუაძის კაბაზე ვმუშაობთ, რომელსაც ჯგუფთან — „ისინი“ ერთად გადაღებულ კლიპში ჩაიცვამს.

— თუ აპირებთ თქვენს სალონში ახალი წევრების შემომატებას?

— საერთოდ, დიზაინში მხოლოდ ესკიზის დახატვა შედის, შემდეგ მკერავმა უნდა შეკეროს. ამჟამად ჩვენ თვითონ ვაკეთებთ ყველაფერს, მაგრამ თუ მეტი მოთხოვნა იქნება მომხმარებლის მხრიდან და დროში ვერ ჩავეტევით, მკერავს ავიყვანთ. გავფართოვდებით კიდეც...

— ჩვენების გამართვას თუ აპირებთ?

— თამთა გოგუაძისა და ჯგუფის — „ისინი“ — კლიპის პრეზენტაციაზე გამოვიტანთ ათ ან თხუთმეტ კოსტიუმს, ხოლო საკუთარ ჩვენებას გაზაფხულზე ვაპირებთ.

სოფო, მარი და ნესტანი

როგორც ჩანს, ათლეკი დაქორწინებას არ ჩქარობს

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოს პაპარაცები, შოუბიზნესის ორი უდიდესი ვარსკვლავის – ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის საქორწინო ცერემონიის კამერებით აღბეჭდვაზე ოცნებობენ, ეს ამაღელვებელი მოვლენა, როგორც ჩანს, გაურკვეველი ხნით გადაიდო. საქმე მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგობაში როდია, რომელსაც არ სურს ამ ქორწინების კურთხევა, ბოლოს და ბოლოს, ჯეი ლოს სამოქალაქო ქორწინება მაინც შეუძლია ბენ აფლეკთან. მანამდეც გავრცელდა ხმები მათი ქორწინების ცერემონიის გადადების თაობაზე, რომელიც 14 თებერვალს – ვალენტინობას უნდა გამართულიყო, თუმცა ამ ჭორებს ოფიციალურად არც ერთი მხარე არ ადასტურებდა. ახლა კი, ყველასათვის მოულოდნელად, „ოსკაროსანმა“ ბენ აფლეკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ თავზე საქორწინო გვირგვინის დადგმას დიდად არ ელტვის. ახალი ფილმის – „თავზეხელაღებულის“ გამოსვლასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე ბენმა აღიარა, რომ მას ადრეც ჰქონია რომანები სახელგანთქმულ ქალებთან – მაგალითად, გვინეტ პელტროუსთან, მაგრამ ამჟამად სიტუაცია შეიცვალა, პრესის მუშაკები პირდაპირ კვალში უდგანან და არც დღე და არც ღამე მოსვენებას არ აძლევენ მას. როგორც აღმოჩნდა, მსახიობი თვალყურს ადევნებს პრესაში გამოქვეყნებულ ჭორებს და ეს რაღაც თვალსაზრისით, ართობს კიდეც მას. „ვფიქრობ, ჟურნალისტები თავს დამანებებენ, იმ შემთხვევაში, თუ ვთქვათ, ბრიტნი სპირსი, კოლინ ფარელთან შეხვედრას დაიწყებს“, – სიცილით განაცხადა პრესკონფერენციაზე ამერიკის ყველაზე სექსუალურმა მამაკაცმა. ■

სადამ ჰუსეინმა ლიმანილ მომღერალს კონცერტის გამართვაში 1,3 მლნ დოლარი შესთავაზა



ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა პოპულარულ ლიბანელ მომღერალს – ნავალ ალ-ზუგბის ბაღდადში კონცერტის გამართვა შესთავაზა, გასამრჯელოდ კი, საკმაოდ სოლიდურ თანხას – 1,3 მლნ დოლარს შეჰპირდა. პრეზიდენტის ამ ნაბიჯმა, ერაყში უკმაყოფილების ტალღა ააგორა. ჰუსეინის ოპოზიციონერთა აზრით, ამხელა თანხის კონცერტში გადაყრა გაუმართლებელია. მაშინ, როცა ერაყელები უდიდესი საფრთხის წინაშე დგანან – იქ ნებისმიერ დროს შეიძლება, ომი დაიწყოს.

ზუგბი არაბულ ქვეყნებში მეტად პოპულარული მომღერალია. მისი კარიერა 1988 წელს დაიწყო. ნავალი საუკეთესო არაბი მომღერლის ტიტულის მრავალგზის მფლობელია. მისი უკანასკნელი დისკი – „ის, ვისზეც ვოცნებობდი“, ღღესდღეობით არაბულ სამყაროში ყველაზე პოპულარულია. ■

რობერტ დაუნი-უმცროსს კრისტინა აგილერას გულის დაპყრობა სურს

სულ ცოტა ხნის წინ, რობერტ დაუნი-უმცროსი იმას განიცდიდა, რომ მისი რჩეული – კალისტა ფლოკჰარტი ჰარისონ ფორდს გაჰყვა ცოლად, ახლა კი, პოპ-ვარსკვლავს კრისტინა აგილერას გულის მონადირება სურს. კრისტინას ახლო მეგობრის თქმით, რობერტი მომღერალს უამრავ ფაქსს უგზავნის, სადაც შეხვედრას სთხოვს. თავდაპირველად, მსახიობის მიერ გამოჩენილი ყურადღებით კრისტინა აშკარად ნასიამოვნები დარჩენილა, მაგრამ როცა მისგან ფაქსების მთელი დუჟინი მიუღია, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულა. ბოლოს კი, იძულებული გამხდარა, მოკლე, მაგრამ მეტად შთამბეჭდავი პასუხი გაეგზავნა, რომელიც სულ ერთი ფრაზისაგან შედგებოდა: „მისმინე, ცოტა ბებერი ხომ არა ხარ ჩემთვის?“ (პოპ-ვარსკვლავი 22 წლისაა, მსახიობი – 37-ის). როგორც ჩანს, პასუხმა ადრესატამდე მიაღწია, რადგან ფაქსების უწყვეტი ნაკადი, ბოლოს და ბოლოს, შეწყდა. ■

გვინეტს წინ პოეტი ქალის როლი ელის

ჰოლივუდში ახალი ფილმის „ტედისა და სილვიას“ გადაღებას აპირებენ. სურათს პოეტი ცოლ-ქმრის სილვია პლეტისა და ტედ ჰიუზის ბიოგრაფიის მიხედვით გადაიღებენ. მთავარი გმირის – სილვიას როლი გვინეტ პელტროუს შესთავაზეს და იგიც დათანხმდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ფილმის გადაღების წინააღმდეგ 42 წლის ფრიდა პიუზმა გაილაშქრა. იგი საკუთარი მშობლების შესახებ, ფილმის გადაღებაზე პროტესტს არ დასჯერდა და ამ თემას ლექსითაც გამოეხმაურა. სადაც იგი აბუჩად იგდებს ფილმის შემქმნელებსაც და მის მომავალ მაყურებელსაც, რომელსაც ეკრანზე სილვია პლეტის თვითმკვლელობის „გულის ამაჩუყებელი“ სცენის ხილვა ელის. პოეტმა მართლაც, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე (ჰაერღუმლიდან გამოუშავ გაზი და გაიგუდა) და ორი მცირეწლოვანი შვილი ობლად დატოვა. იმხანად ფრიდა 2 წლის იყო. მან ფილმის ავტორებს ყოველგვარ დახმარებაზე წინასწარ განუცხადა უარი და ამასთან, დედამისის ლექსების ეკრანზე გაჟღერებაც აუკრძალა. თან დასძინა, რომ „უახლოეს მილიონ წელიწადში“ ამ სურათის ნახვას არ აპირებს. ■

ჯექსონმა ჟურნალისტებს მოღალატეები უწოდა

მაიკლ ჯექსონმა მის პირად ცხოვრებაში გადაღებული სკანდალური დოკუმენტური ფილმის („ცხოვრება მაიკლ ჯექსონთან ერთად“) ავტორებს მოღალატეები უწოდა. სურათი ბრიტანეთის ტელევიზიის არხით 4 თებერვალს უჩვენეს და მას 14 მლნ მაყურებელი ჰყავდა. მასში 44 წლის მომღერალი ტელეგადაცემის ავტორებს უყვება, რომ ხშირად სარეცელს იყოფს ხოლმე ბავშვებთან. ამ განცხადებამ ყვითელ პრესაში გიგანტური სკანდალი ააგორა. პროგრამის ავტორმა, მარტინ ბაშირმა მომღერალთან დაახლოებით რვა თვე გაატარა, მისგან რამდენიმე ინტერვიუ აიღო და გარკვეული ხნის მანძილზე მის რანჩოზეც (კალიფორნიაში) კი ცხოვრობდა. აღშფოთებულმა პოპ-ვარსკვლავმა განაცხადა, რომ პროგრამის ავტორები დაინტერესებულნი იყვნენ, რათა მის შესახებ სიცრუე ეთქვათ და ამით საკუთარი არხის რეიტინგი გაეზარდათ. „მე ვენდე მარტინ ბაშირს, ჩემი ოჯახის ცხოვრებაში ჩავახედე. მსურდა, რომ მას ჩემ შესახებ სიმართლე ეთქვა. მან აღმითქვა, რომ სამართლიან და ობიექტურ ფილმს გადაიღებდა. ვერც კი წარმომიდგენია, პროფესიონალი ჟურნალისტი ასეთ სიცრუეზე როგორ წავიდა, — განაცხადა მაიკლ ჯექსონმა, შემდეგ კი დასძინა, — ასე ჩემთვის არასოდეს უღალატიათ“. მაიკლ ჯექსონის თაყვანისმცემლები სასტიკად აღშფოთებულნი არიან მათი კერპის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიით. ერთ-ერთ ინტერნეტ-საიტზე უკვე გამოჩნდა მოწოდება, რომლის ავტორებიც მომღერლის ფანატებს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ათასობით საპროტესტო წერილის გაგზავნისაკენ მოუწოდებენ, რადგან მათი აზრით, ჟურნალისტები პოპ-ვარსკვლავის ცხოვრებას არაობიექტურად და ტენდენციურად აშუქებენ. მომღერლის ყოფილმა ცოლმა — დები როუმ დაიცვა თავისი ორი შვილის მამა და განაცხადა: არავინ დაიჯერებს იმას, რომ მაიკლ ბავშვებისთვის რამის დაშავება შეუძლიაო. ■

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ქორწინება საზოგადოებრივი საქმეა

ლონდონში გამართულ სასამართლოზე, სადაც 33 წლის კეტრინ ზეტა-ჯონსი და 59 წლის მაიკლ დუგლასი ჟურნალ „ჰელოუს!“ რედაქციას უჩიოდნენ, მოსამართლემ ქორწინება — საზოგადოებრივ საქმედ ცნო და ამით, ცოლ-ქმრის მიერ პროცესის მოგების შანსები, ფაქტობრივად, ნულს გაუთანაბრა. ვარსკვლავური წყვილი ჟურნალ „ჰელოუს!“ რედაქციისაგან 2 მლნ გირვანქა სტერლინგს ითხოვდა, რამეთუ მან ზარალი მიაყენა წყვილის კარიერას პაპარაცის მიერ გადაღებული მათი საქორწინო ცერემონიის სურათების გამოქვეყნებით. ცერემონიაზე, რომელიც თავის დროზე, ნიუ-იორკის სასტუმრო „პლაზაში“ შედგა, მიწვეულთ, ფოტოპარატების შეტანა აკრძალული ჰქონდათ. ცოლ-ქმრის აზრით, ჟურნალმა „ჰელოუმ!“ უხეშად ხელყო მათი პირადი ცხოვრება და ამასთან, ჟურნალ OK-სთან გაფორმებული კონტრაქტიც ჩაუშალა, რომლის მიხედვითაც, რედაქციას წყვილის საქორწინო ცერემონიის ფოტოების გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება, მილიონ გირვანქა სტერლინგის საფასურად ჰქონდა მოპოვებული. მოსამართლის გადაწყვეტილებაზე

არსებითი გავლენა იქონია ჟურნალ „ჰელოუს!“ ადვოკატის, ჯეი პრაისის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ კეტრინსა და მაიკლს სულაც არ სურდათ საიდუმლოდ შეენახათ თავიანთი ქორწინების ამბავი, რადგან სასტუმროში 350 სტუმარი ჰყავდათ მიწვეული. ამასთან, ფოტოების გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლებაც თავადვე გაასხვისეს. სასამართლო საბოლოო განაჩენს უახლოეს დღეებში გამოიტანს. ■

ნიკოლ კიდმანმა შესაძლოა, ქალი-კატის როლი ითამაშოს

ნიკოლ კიდმანი მოლაპარაკებებს აწარმოებს ახალი პროექტის — „ქალი-კატის“ პროდიუსერებთან. ვიდრე იგი დათანხმდებოდეს ამ ფილმში მთავარი როლის განსახიერებაზე, მსახიობს სურს, რომ სცენარის საბოლოო ვარიანტს გაეცნოს. სპეციფექტების ფრანგმა დიდოსტატმა და რეჟისორმა პიტოფმა, იგივე როლი კიდმანთან ერთად ეშლი ჯადსაც შესთავაზა. პიტოფის ნამდვილი სახელი, ჟან-კრისტოფერ კომაა. რეჟისორმა პოპულარობა მოიპოვა ისეთი ფილმების ვიზუალურ ეფექტებზე მუშაობით, როგორიცაა: „ჟანა დ'არკის ამბავი“, „ასტერიქსი და ობელიკსი ცეზარის წინააღმდეგ“ და „უცხონი: აღდგომა“. პიტოფმა შარშან რეჟისორობაც სცადა და ჟერარ

დეპარდიესთან ერთად, გადაიღო ფრანგული მისტიკური ტრილერი „ვიდოკი“. კინოკომპანია „უორენ ბრაზერსის“ ახალი პროექტის პროდიუსერად კევინ მაკკორმიკი მოევლინება მაყურებელს. სცენარის დიდი ნაწილის ავტორი კი ჯონ როჯერსია. მომავალი ფილმის სიუჟეტი ტანმოვარჯიშე ქალის გარშემო ვითარდება. მას ძალიან უყვარს კატები და ამ შინაური ცხოველის მოვლის სამსახურსაც ჩამოაყალიბებს. მაშინ, როცა ფილმის მთავარი გმირი საკმაოდ მორცხვი და თავშეკავებულია, მისი ალტერ-ეგო — ქალი-კატა საოცრად თავდაჯერებული და ამბიციურია. საბოლოოდ, ერთი პიროვნების ორ ნახევარს, ქალაქის ბოროტ მერთან შერკინება ელის, რომელიც კონკურენციას უწევს ქალი-კატის მიერ ჩამოყალიბებულ სამსახურს. შეგახსენებთ, რომ ქალი-კატის მეორეხარისხოვანი პერსონაჟი პირველად „ბეტმენის“ სერიაში გამოჩნდა, მოგვიანებით კი, ცალკე სერიად იქცა. ■

სეზონური დაავადება

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ანგინა

ისევ ყელი გტკივათ, ტემპერატურამაც მოგიმატათ, თავს ცუდად გრძნობთ, გიჭირთ ყლაპვა... ალათ, ბევრი თქვენგანისთვის ნაცნობი შეგრძნებებია. ყველაფერი ეს ანგინის ანუ მწვავე ტონზილიტის ნიშნებია.

რით განსხვავდება მწვავე ტონზილიტი ქრონიკულისაგან

ანგინა ანუ მწვავე ტონზილიტი სასის ნუშურა ჯირკვლების ანთებაა. როცა იგი ხშირად მეორდება და ხანგრძლივად მიმდინარეობს, ეს ნიშნავს, რომ დაავადება გაქრონიკულდა.

ნუშურა ჯირკვლები იმ მავნე მიკრობებისაგან დამცავ ფუნქციას ასრულებს, რომელიც ორგანიზმში საკვებისა და ჰაერის მეშვეობით აღწევს. გარდა ამისა, ის მონაწილეობს იმუნიტეტის ფორმირებაში, სისხლის წარმოქმნასა და ნივთიერებათა ცვლაში. სწორედ ამიტომაა ტონზილიტი მძიმე გამოცდა მთელი ორგანიზმისთვის.

დაავადების მიზეზები

ტონზილიტის მიზეზია პათოგენური მიკროორგანიზმები (ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები), რომელიც აღწევს ნუშურა ჯირკვლების ქსოვილში და იწვევს ანთებას. როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევაში დაავადება დაქვეითებული იმუნიტეტის დროს ვითარდება. მას მოსდევს ინტოქსიკაცია, რომლის მიზეზი ხდება ხოლმე გაცივება, საკვები, ცუდი ყოფითი და სამუშაო პირობები. ტონზილიტის მიზეზს წარმოადგენს ისეთი დაავადებებიც, როგორიცაა: ქრონიკული რინიტი (სურდო), ცხვირის ძგიდის გამრუდება, კბილების კარიესი, ადენოიდები.

ქრონიკული ტონზილიტის ნიშნები

ქრონიკული ტონზილიტის დროს ვერ ყლაპავთ, ყელი გტკივათ, პირიდან ცუდი სუნი ამოგდით, რომელსაც ნუშურა ჯირკვლებში დაბუდებული ბაქტერიები იწვევს. ჯირკვლებში ჩნდება ჩირქი და საცობები, რომლის დანახვა ავადმყოფსაც შეუძლია სარკის მეშვეობით. საღამოს სიცხე იწევს 37-დან 38 გრადუსამდე, გაქვთ დაღლილობის შეგრძნება, საერთო სისუსტე, მოუსვენარი ძილი, მადის დაქვეითება, რაც საბოლოოდ ავადმყოფის შრომისუნარიანობაზე მოქმედებს. მის ფონზე შეიძლება განვითარდეს ფარინგიტი (ხახის ანთება), ბრონქიტი, ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება და სხვა.

როგორ ვიმკურნალოთ

დღეისათვის არსებობს ქრონიკული ტონზილიტის მკურნალობის 2 ხერხი — ქირურგიული (ამოკვეთა) და კონსერვატიული. სამწუხაროდ, უფრო გავრცელებულია პირველი მეთოდი. მართალია, ოპერაციით მარტივად და სწრაფად ისპობა დაავადების კერა, მაგრამ ნუშურა ჯირკვლები ხომ საჭიროა ორგანიზმისათვის, როგორც ბაქტერიებისაგან დამცავი ორგანო. ამიტომ ოპერაცია უნდა გაკეთდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდება ზედმიწევნითი, კონსერვატიული მკურნალობა ანტიბიოტიკების, ანტისეპტიკური საშუალებების, ფიზიოთერაპიის, ულტრაბგერის, ლაზერის გამოყენებით. ■

სინუსიტი

სურდო არ აშინებს ადამიანს: „ყველაფერი თავისით გაივლის ერთ კვირაში“ — ფიქრობს იგი. მაგრამ თუ დაავადება გახანგრძლივდა, სერიოზული გართულებები შეიძლება განვითარდეს. ცხვირიდან გამონადენი სქელდება და მომწვანო-მოყვითალო ფერს ღებულობს. სუნთქვა შეუძლებელი ხდება, ჩნდება ტკივილის შეგრძნება (რომელიც ძლიერდება თავის დაბლა დახრის დროს) შუბლის მიდამოში, სახის ცენტრალურ ნაწილში. ადამიანს აწუხებს ძლიერი თავის ტკივილი. ამ ნიშნების არსებობა უკვე ცხვირის დანამატი ღრუების ლორწოვანი გარსების ანთების — სინუსიტის განვითარებაზე მეტყველებს. ყველაზე მეტადაა გავრცელებული მისი სახესხვაობანი — ჰაიმორიტი, ფრონტიტი და ეთმოიდიტი, რომლის დროსაც ვირუსები უტევენ ზედა ყბის, შუბლის წიაღებს და ცხავისებრი ძვლის ლაბირინთს.

დაავადების პროვოცირებას ყველაზე ხშირად იწვევს პარაგრიპის ვირუსი. ეს ვერაგი ინფექცია აღუნებს ხოლმე ავადმყოფის სიფხიზლეს, რადგან მსუბუქი გაცივების სიმპტომებით ვლინდება. ტემპერატურაც იშვიათად მატულობს. ადამიანი ახველებს, ცხვირიდან გამონადენი აქვს, მაგრამ ყველაფერს მამაცურად იტანს ისე, რომ ლოგინშიც არ წვება.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ სახლდებიან ვირუსების მიერ მომზადებულ ნიადაგზე (ლორწოვან გარსზე) სხვა „დამპყრობლები“ — ბაქტერიები, სოკოები... მათ ხომ თავადაც შეუძლიათ ანთების ინიცირება. ახლა კი უკვე მატულობს ტემპერატურა და ტკივილი ღრუების შესაბამის არეში აუტანელი ხდება.

სპეციალისტებმა იციან, როგორ უმკურნალონ სინუსიტს. მაგრამ ხშირად, პაციენტები თავად ქმნიან ბარიერებს გამოჯანმრთელების გზაზე: უყურადღებოდ ეკიდებიან ექიმის რეკომენდაციებს, მიმართავენ თვითმკურნალობას (ცხვირში ნებისმიერ წვეთებს იწვეთებენ), იყენებენ ხალხურ რეცეპტებს.

ასეთ დროს თვითმკურნალობა ხშირად, ცუდად მთავრდება ხოლმე: ანთებითი პროცესი ხანგრძლივდება 3 კვირიდან 3 თვემდე და ქრონიკულ სტადიაში გადადის. თუმცა, ქრონიკული სინუსიტის დროს, სიმპტომები იმდენად ინტენსიური და მტანჯველი არ არის, როგორც მწვავე პროცესის დროს, ადამიანები არსებულ უსიამოვნებებთან ერთად, გამუდმებულ ფსიქოლოგიურ პრესინგს განიცდიან მაშინაც კი, როცა დაავადების გამწვავება არ აღინიშნება.

როგორ ვუმკურნალოთ სინუსიტს

მედიკამენტური ზემოქმედების თანამედროვე პრინციპები მიმართულია ცხვირის მიმდებარე წიაღებიდან დაგროვილი ლორწოვანი სეკრეტის გამოდევნისა და ვენტილაციის აღდგენისაკენ. ლორწო არა მხოლოდ სუნთქვას უშლის ხელს, არამედ ბაქტერიების გამრავლებისთვის საუკეთესო ნიადაგსაც წარმოადგენს, გარდა ამისა, შეიცავს ანთების განვითარების ხელშემწყობ პირობებს. ამიტომ საერთაშორისო სამედიცინო ასოციაციების რეკომენდაციით, სინუსიტის მკურნალობისას აუცილებელია სეკრეტოლიზური (სეკრეტის დამშლელი) თერაპია. ევროპაში ასეთი პრეპარატები პოპულარულია ექიმებსა და პაციენტებს შორის.

მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ზოგი ავადმყოფი ცხვირში იწვეთებს სისხლძარღვთა შემავიწროებელ პრეპარატებს, რომელიც ამცირებს ლორწოვანი გარსის სისხლსავსეობას და მართლაც იწვევს შეშუპების ხარისხის დაქვეითებას, მაგრამ უარყოფითად მოქმედებს მუკოცილიარული (ლორწოს გამომტანი) აპარატის ფუნქციაზე. ასეთი წვეთების გამოყენება დასაშვებია, მაგრამ არა ხანგრძლივად და მხოლოდ, როგორც სიმპტომური მკურნალობის საშუალება.

მწვავე და გაურთულებელი ვირუსული სინუსიტის დროს, საჭირო არ არის ანტიბიოტიკების დანიშვნა, მაგრამ როდესაც გართულების საშიშროება დგება, როდესაც ადამიანს დაქვეითებული აქვს იმუნიტეტი, ან მისი ანამნეზი დამძიმებულია სხვა დაავადებებით, ანტიბიოტიკების სპეციალურ კურსს გვერდს ვერ ავუვლით.

სინუსიტთან ბრძოლისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმუნომოდულატორებს, რადგან ხშირად განმეორებადი ან ქრონიკული სინუსიტი ინფექციებისადმი მომატებული მგრძნობელობის შედეგია. სინუსიტის კონსერვატული მკურნალობის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ინჰალაცია მარილიანი ხსნარით ან ეთეროვანი ზეთებით, მაგრამ ამ პროცედურებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან ასთმიანებსა და ბავშვებში შესაძლოა, ბრონქოსპაზმი განვითარდეს.

ალბათ დარწმუნდით, რომ „უბრალო სურდო" არც ისე სახუმარო ყოფილა. მისი შესაძლო გართულების, სინუსიტის მკურნალობა, საკმაოდ ხანგრძლივი და რთულია, ხოლო პროფილაქტიკური ღონისძიებები – გაცილებით მარტივი. ამიტომ დროულად მიმართეთ ექიმს და გაითვალისწინეთ მისი რეკომენდაციები. ■

ჯადოსნური მკურნალი

ვაშლი ჯანმრთელობის სამსახურში

ვაშლი გემრიელი და სასარგებლო ხილია. რა ხდის ამ ჩვეულებრივ ხილს ჯადოსნურ მკურნალად? პასუხი ასეთია – ვაშლი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს:

● მთრიმლავი ნივთიერება – მსუბუქი ანთების საწინააღმდეგო გავლენას ახდენს საკვების მომნელებელ ტრაქტზე (წვრილ და მსხვილ ნაწლავებზე) და შეუცვლელია კანისათვის.

● არომატული ზეთი – აყუჩებს ტკივილს.

● უჯრედისი – განსაკუთრებით სასარგებლოა საკვების მონელებისათვის. კუჭ-ნაწლავიდან გამოდევნის წიდებს.

● პექტინები ორგანიზმის გამწმენდი ნივთიერებებია. მას ორგანიზმიდან გამოაქვს შხამები და მავნე მიკრონივთიერებები, მათ შორის – ჭარბი ქოლესტერინი.

● გარდა ამისა, ვაშლს ახასიათებს ანტიმიკრობული და შარდმდენი თვისებები, ხელს უწყობს სისხლის წარმოქმნას, აუმჯობესებს ჭრილობების შეხორცებას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას.

● ყოველდღე ახალგამოწურული ვაშლის წვენის მიღება ღვიძლიდან და ნაღვლის ბუშტიდან გამოდევნის წიდებს.

● ყოველდღე 3-4 ვაშლის მიღება ამსუბუქებს ორსულთა ტოქსიკოზს.

● თირკმელკენჭოვანი დაავადების დროს, კანიანად დაჭერით 4-5 ვაშლი, დაასხით 1 ლ ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ 15 წუთი. გააჩერეთ 4 საათი და სვით 1 ჩ/ჭ ნახარში 2-ჯერ დღეში.

● წელის, ფეხების და ხელების ტკივილისას შალის ქსოვილი დაასველეთ ვაშლის ძმარში, დააყარეთ ზევიდან ბეგქონდარა და 2 საათით დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე.

● ვაშლი ადამიანის სილამაზესაც ემსახურება. გაგაცნობთ გამაახალგაზრდავებელ ნიღბებს:

მყვებავი ნიღაბი

გახეხეთ საშუალო ზომის ვაშლი და წაისვით სახეზე. წამოწექით 10 წუთით, შემდეგ ნიღაბი ჩამოიბანეთ ცივი



წყლით და წაისვით მკვებავი კრემი.

მკვებავი მშრალი ჯანისათვის

გახეხეთ ერთი ვაშლი, შეურიეთ 1 ჩ/კ ზეითუნის ზეთი ან არაჟანი და 1 ჩ/კ სახამებელი. სახეზე წაისვით და გაიჩერეთ 30 წუთი, შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

ნიღაბი ცხიმიანი ჯანისათვის

გახეხეთ თითო-თითო ვაშლი და კიტრი. ნიღაბი გაიჩერეთ სახეზე 15-20 წუთი. შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით.

კომპრესი-შამპუნი მშრალი თმისთვის

შეურიეთ ერთმანეთს 1 ს/კ ზეითუნისა და აბუსალათინის ზეთი, 2-3 საშუალო ზომის გახეხილი ვაშლი და ცოტა შამპუნი. ნარევი წაისვით თავზე, დაიხურეთ პოლიეთილენის ქუდი. შემოიხვიეთ პირსახოცი და 1 სთ-ის შემდეგ ჩამოიბანეთ.

გადასავლები ცხიმიანი თმისთვის

დაჭერით თითო-თითო ვაშლი და ლიმონი პატარა ნაჭრებად, დაასხით ცივი წყალი და 2-3 სთ გაჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში. გაწურეთ და დაბანის შემდეგ გადაივლეთ თავზე.

■

საშვილოსნოს მიომა

რით განსხვავდება მიომა ყიბოსაგან

მიომაში არ არის ისეთი უჯრედები, რომელმაც შესაძლოა, ავთვისებიანი გადაგვარება განიცადოს.

უმრავლეს შემთხვევაში, კიბო ვითარდება ეპითელიური ქსოვილიდან და არა კუნთოვანიდან, რომლისგანაც მიომა შედგება. მიომა შეიძლება მდებარეობდეს საშვილოსნოს შიგნით ან გარეთ, ჩანერგილი იყოს მის კედელში ან მასთან ფეხით იყოს მიბმული. მიომის ზომაც სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს – 0,5 სმ-დან 10-15 სმ-მდე.

მიომას ქალი ვერ გრძნობს, მაგრამ დაავადების შესახებ გახანგრძლივებული და ჭარბგამონადენიანი მენსტრუაცია იძლევა პირველ ნიშანს. სწორედ იმის გამო, რომ მიომა უსიმპტომო დაავადებაა, გინეკოლოგები ქალის რეგულარულ (ყოველ ექვს თვეში ან წელიწადში ერთხელ მაინც) გასინჯვას მოითხოვენ. უმჯობესია მიღებაზე მისვლა ციკლის მე-5-7 დღეს. ზოგიერთ კვანძს ექიმი ხელით შეიგრძნობს, ზოგი კი მხოლოდ ულტრაბგერითი გამოკვლევისას ჩანს ხოლმე. თუ მიომას არ უმკურნალებთ, შეიძლება მას მოჰყვეს გართულებები: ორსულობისას დიდია აბორტის განვითარების ალბათობა, ჭარბი სისხლდენა მენსტრუაციის დროს იწვევს ანემიას, ხოლო დიდი ზომის მიომა, შარდის ბუშტზე ზეწოლის გამო, შარდშეუკავებლობას იწვევს.

როგორ ვიმკურნალოთ



ძველად, მიომის მკურნალობის გზა მხოლოდ საშვილოსნოს ამოკვეთა იყო. ამჟამად ნიშნავენ ახალი თაობის ჰორმონულ პრეპარატებს, აქტიურ ბიოდანამატებს და წურბლებით მკურნალობასაც კი. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში კეთდება ოპერაცია, მაგრამ დღეს კვეთენ არა მთლიანად საშვილოსნოს, არამედ – მხოლოდ კვანძებს.

საინტერესოა, რომ ორსულობის დროს, მცირე ზომის მიომატოზური კვანძები ზოგჯერ თავისით ქრება, მაგრამ დიდი ზომის მიომის არსებობისას ორსულობა არ არის რეკომენდებული, რადგან ჰორმონთა მაღალი შემცველობის გამო, კვანძები იწყებს სწრაფად ზრდას. ამასთანავე, საშვილოსნო დიდდება და ეს ყველაფერი ნაადრევი მშობიარობის პროვოცირებას იწვევს.

მიომის განვითარების მიზეზები:

- ტრავმული მშობიარობა;
- აბორტი;
- ჩასახვის საწინააღმდეგო სპირალის გამოყენება;
- საშვილოსნოს ღრუს უხეში დათვალიერება;
- სხვადასხვა ინფექცია (ურეაპლაზმოზი, ქლამიდიოზი, ჰერპესული ინფექცია);
- ფარისებრი ჯირკვლის ან საკვერცხეების ფუნქციის დარღვევა;
- ჰორმონული პრეპარატების მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე;
- არარეგულარული სქესობრივი ცხოვრება;
- ორგაზმის არარსებობა სასქესო აქტის დროს.

როდის კეთდება საშვილოსნოს მიომის ოპერაცია

1. მიომა 3-6 თვის განმავლობაში 2-3-ჯერ გაიზარდა.
2. დიდი ზომის მიომა აწვება შარდის ბუშტს, სწორ ნაწლავს, ხელს უშლის მათ ნორმალურ მუშაობას. შარდის ბუშტის უკანა კედელზე ზეწოლის გამო ვითარდება რეფლუქსი (შარდის დაბრუნება შარდსაწვეთებში), ამის შედეგად მატულობს ანთებითი დაავადებების რისკი (მაგალითად, მწვავდება პიელონეფრიტი), ფართოვდება შარდსაწვეთები და თირკმლის ფიალები.
3. პაციენტს აწუხებს გამუდმებული ტკივილი ქვედა მუცელში.
4. სიმსივნის არსებობა მუდმივი სტრესის მიზეზი ხდება – ვიდრე მიომა არ ამოიკვეთება, ქალი თავს ვერ გრძნობს ჯანმრთელად და ბედნიერად.
5. ორგანიზმი იფიტება სისხლდენის გამო. ეცემა ჰემოგლობინის დონე, ვითარდება ანემია, მუდმივი სისუსტე, ცუდი თვითშეგრძნება. ასეთ დროს მიომის ზომას მნიშვნელობა არა აქვს.

■

პარკინსონი არ ნებდება, მაგრამ უკან იხევს

როცა რომის პაპს იოანე-პავლე მეორეს ტელევიზიით აჩვენებენ, მსოფლიოს საზოგადოებაში ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი წარმოადგენდეს ღმერთს დედამიწაზე? მუჰამედ ალის შესახებ კი სიბრალულით ლაპარაკობენ: წარსულში პლანეტის უძლიერესი კაცი როგორი უსუსურიაო... პარკინსონიზმი არის დაავადება, რომელიც ერთნაირად ერევა მდიდრებსაც და ღარიბებსაც.

სტატისტიკური მონაცემებით, ამ სენით ყოველი ათასიდან ორი ადამიანია დაავადებული. ამასთან, ევროპელებში იგი უფრო გავრცელებულია და დაავადებათა შემთხვევები დღითი დღე მატულობს. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „ევროპის დაბერება“: განვითარებულ ქვეყნებში შობადობა დაბალია, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა იზრდება. პარკინსონიზმი აქვს 60 წლამდე ასაკის ყოველ მე-100 ევროპელს. ხანში შესულთათვის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია: 60-80 წლისებს შორის პარკინსონიზმი ყოველ მეათეს აქვს, ხოლო 80 წელს გადაცილებულებში – ყოველ მეხუთეს.

დაავადების განვითარების ძირითადი მიზეზია დოფამინის ნაკლებობა ექსტრაპირამიდულ სისტემაში, რომელიც ნებით მოძრაობებზე აგებს პასუხს. დოფამინი წარმოადგენს ნეირომედიატორს, ანუ ნივთიერებას, რომლის მეშვეობითაც ნერვული იმპულსი გადაეცემა. მისი ნაკლებობისას ირღვევა გადაცემის პროცესი. შემთხვევათა თითქმის ნახევარში დაავადების მიზეზის დადგენა ვერ ხერხდება.

მოულოდნელი ისტორია

ჯეიმს პარკინსონმა 1817 წელს პირველად აღწერა კანკალა დამბლა, რომლის სამკურნალოდაც სამედიცინო ფიზკულტურას, მასაჟებს, ბალახებს, ვიტამინებს, ფიზიოთერაპიას იყენებდნენ, თუმცა – უშედეგოდ. 60-იანი წლების ბოლოს, მსოფლიო, ეიფორიამ მოიცვა: შეიქმნა ლევოდოპა (დოფამინის სინთეზის წინამორბედი). მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, ექიმები მიხვდნენ, რომ პარკინსონიზმზე გამარჯვების ზეიმი ნაადრევი იყო: პრეპარატი გარკვეული დროით ამცირებს პარკინსონიზმის სიმპტომებს, მაგრამ ტვინის უჯრედები წყვეტს დოფამინის გამომუშავებას და საჭირო ხდება წამლის დოზების მუდმივი ზრდა. რაც მეტია მიღებული წამლის დოზა, მით მეტია ტოქსიკურობაც. გვერდითი მოქმედება კი ლევოდოპას მრავლად აქვს: გულისრევა, ღებინება, პირის სიმშრალე, მხედველობის დაბინდვა, შეკრულობა, შარდის შეკავება, „ალების“ შეგრძნება, ჰალუცინაციები, ფსიქოზები.

ამის შემდეგ გადაწყვიტეს, ემოქმედათ „ზემოდან“, ანუ თავიდან. მაგრამ პრეპარატების გამოყენება მაინც ვერ აფერხებდა დაავადების პროგრესირებას, ხოლო მათი ხანგრძლივი ხმარება მთელ რიგ გართულებებს იძლეოდა.

როცა წამლები შედეგს არ იძლევა, ზოგჯერ ნეიროქირურგიულ ოპერაციას მიმართავენ, რომელიც ტვინის ქერქქვეშა სტრუქტურებზე ტარდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ თუ ის ხშირად დადებით ეფექტს იძლევა, მთელ რიგ პაციენტებში დაავადება ისევ პროგრესირებს ხოლმე.

მძინარე უჯრედებს ელექტროსოჭით „ქოქავენ“

ტრანსკრანიული მაგნიტური სტიმულაციის მეთოდი ეფექტურია პარკინსონიზმის მკურნალობაში, თუკი დაავადება ახალი დაწყებულია და პაციენტი ჯერ არ „ზის“ ლევოდოპაზე. იგი დაფუძნებულია იმაზე, რომ ამუშაოს საკუთარი, ჯერ კიდევ ცოცხალი უჯრედები, რომელიც დოფამინს გამოიმუშავებს. პარკინსონიზმი თანდათანობით ვითარდება: იწყება მეტყველების გაუარესებით და მსუბუქი კანკალით. ნერვულ უჯრედთა ნაწილი კვდება, ხოლო დანარჩენები წყვეტენ მუშაობას და „საგონებელში ვარდებიან“ – დაიხოცონ თუ არა. თუკი უჯრედი, რომელსაც აქვს სასიცოცხლო პროგრამები, არ იღებს საჭირო სიგნალებს და ნივთიერებებს, მასში ირთვება თვითგანადგურების მექანიზმი. სწორედ ამიტომაა საჭირო ცოცხალი, მაგრამ „გაჩერებული“ უჯრედების სტიმულირება.

უჯრედთა სტიმულირება მაგნიტური ველით აიძულებს მათ, გამოიმუშაონ დოფამინი, რაც პაციენტთა 80%-ში გადაავადებს ლევოდოპას მიცემის საჭიროებას, ან საგრძნობლად ამცირებს მის დოზას.

ტექნიკურად ეს პროცედურა შემდეგნაირად ტარდება: თავის გარკვეულ უბანზე ადებენ სპეციალური ფორმის კოჭებს, რომელიც უძლიერეს ელექტრომაგნიტურ იმპულსებს ქმნის (ხანგრძლივობა 0,1-0,2 მილიწამი, ინდუქცია 2 ტესლა). ეს იმპულსები ჰგავს ნეირონულ იმპულსებს, ამიტომ აიძულებს ნეირონებს წარმოშვას საკუთარი იმპულსი და გამოიმუშაოს საკუთარი დოფამინი. ■

ქართველთა „დესანტი“ ამერიკის საკონცერტო დარბაზებში

14 თებერვალს აშშ-ში ქართველი მომღერლები კონცერტს გამართავენ. გასტროლი დაახლოებით ერთ თვეს გაგრძელდება. კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი იქ კიდევ რამდენიმე კვირას დარჩება, რადგან მის მიმართ ქართველი ემიგრანტები განსაკუთრებულ ყურადღებას და სიყვარულს ამჟღავნებენ. ბატონ ოთარს მათთვის ახალი კომპაქტ-დისკი მიაქვს, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ გამოვიდა. ალბომი 80-წუთიანია, მას ჰქვია „საუკუნე ახალი“. ალბომში ძირითადად, ბატონი ოთარის მოსწავლეების სიმღერებია თავმოყრილი.

— ბატონო ოთარ, ვინ დაგეგმა გასტროლები აშშ-ში?

— ამერიკაში მივემგზავრებით ქართული პოპულარული მუსიკის წარმომადგენლები. ამ გასტროლის ორგანიზატორია იოსებიძეების ცნობილი ოჯახი. ალბათ გახსოვთ, ცნობილი კომპოზიტორი და მომღერალი ეთერ იოსებიძე. მას აქვს მუსიკალურად გაფორმებული მხატვრულ ფილმები: „მოიტაცეს თამარ-ქალი“, „ჩარი-რამა“, „სიყვარული ყველას უნდა“. ის იყო უნიჭიერესი ქალბატონი, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. დარჩა ქალიშვილი. მას ამერიკაში ბებია და ნათესავები ჰყავს. ის არაჩვეულებრივად მღერის და ძალიან ჰგავს დედას. ეთერის და, ნათელა იოსებიძე ასევე ცნობილი მომღერალი გახლდათ. ანსამბლ „ოროველას“ სოლისტი იყო, ასევე — სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო სიმფონიური ორკესტრის. 12 წელია, რაც ამერიკაში წავიდა. შემდეგ კი თავისი ნათესავებიც წაიყვანა. კარგად მოეწყვნენ. დიდებული სახლი იყიდეს, დააარსეს კომპანია — „სულიკო“, რომელიც მიზნად ისახავს, გააცნოს ამერიკელ ხალხს ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები. ამერიკაში წასვლა დღეს აღარავის უკვირს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ გასტროლს პროფესიონალი მუსიკოსი აწყობს. როგორც ვიცი, აღებული აქვთ სოლიდური დარბაზები, მათ შორის „მილენიუმის“ ცნობილი თეატრი.

— რამდენი კონცერტია დაგეგმილი?

— ხუთი კონცერტი გვექნება ნიუ-ჯერსიში, ბრუკლინში, ნიუ-იორკსა და ფილადელფიაში. ალბათ რამდენიმე კონცერტს დაგვიმატებენ. ხუთნი მივდივართ: მე, ლელა წურწუმია მამულიჩასთან ერთად, აჩიკო მეფარიძე და რუსა მორჩილაძე. მოგვყვება ჟურნალისტებისა და ოპერატორების თორმეტკაციანი ჯგუფი, ნაწილი უკვე გაემგზავრა, მათ შორის წურწუმია და მეფარიძე. ხუთშაბათს წავალთ მე და რუსა მორჩილაძე. ორი-სამი კვირაა, რაც ვემზადები და ძალიან ვნერვიულობ. მაგალითად, ინგლისში რვაჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ გასტროლის წინ, მაინც არ შემიძლია, რომ არ ვინერვიულო. მით უფრო, რომ ეს კონცერტები ქართველი ემიგრანტებისთვისაა გათვალისწინებული. ცხადია, ნოსტალგიური განწყობა იქნება — ჩვენს ემიგრანტებს ხომ ძალიან ენატრებათ თავიანთი სამშობლო და კულტურა... ასე რომ, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. მიმაქვს ინგლისურენოვანი სიმღერებიც. მათ უკმარისობას არ განგვიცდი: მოგეხსენებათ, ჩემი კომპაქტ-დისკი, რამდენიმე წლის წინ, ინგლისში გამოიცა. მიმაქვს ასევე რუსული სიმღერებიც. თუმცა მგონია, რომ მათ სწორედ ის სიმღერები ენატრებათ, რომელიც 80-იან წლებამდე საქართველოში ჟღერდა — ეი. მანამ, სანამ ისინი აქედან წავიდოდნენ.

— ბატონო ოთარ, როგორ შეარჩიეს მომღერლები? რატომ მაინცდამაინც თქვენ ხუთნი?

— ნათელა იოსებიძემ და მთელმა მისმა ოჯახმა იცოდნენ ჩემ შესახებ. აქედან რომ მიდიოდა, ჩანაწერები წაიღო. ცოტა ნაწყენიც ვიყავი, აქამდე რომ არ დამიკავშირდნენ... ახლახან დამირეკეს და მიმიწვიეს. იციან, რომ პიანისტიც ვარ — ვუკრავ და ვმღერი.

— ამ გასტროლს ვინ აფინანსებს?

— მთლიანად იოსებიძეები გვაფინანსებენ. თითოეული ადამიანის მხოლოდ მგზავრობა ათას დოლარამდე ჯდება, სულ კი, დაახლოებით ოცნი მივდივართ... ისინი იხდიან ჰონორარებსაც და სასტუმროს ხარჯებსაც.

— თუ იცით, ბილეთი რა ეღირება?

— 100 დოლარი. ეს ამერიკისთვის ძვირი არ არის.

მოამზადა ლელა ჭანკოტაძემ

დაბრუნებული მომღერლის კლიპის პრეზენტაცია

კინოთეატრ „ქოლგაში“, ცოტა არ იყოს მივიწყებული მომღერლის, ქეთი მერკვილაძის ახალი კლიპის პრემიერა გაიმართა. კლიპის სახელწოდებაა „ვაჟკაცი“, რომელიც ქართული ხალხური ლექსის — „ვაჟკაცო, მთაში გაზრდილო“ — მიხედვითაა გადაღებული. იდეა, როგორც თავად მომღერალმა გვაცნობა, მამამისს — თემურ მერკვილაძეს ეკუთვნის, რეჟისორი კი, ბესო სოლომანაშვილთან ერთად, ქეთიც ყოფილა. ქეთისთვის თბილი სიტყვები არ დაუშურებიათ სცენაზე გამოსულ აჩი ფურცელაძეს, გიგა გვენეტაძეს, გიგა აგლაძესა და თავად რეჟისორ — ბესო სოლომანაშვილს.

კლიპში თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი-მსახიობები და კოჯრის ბატალიონის ჯარისკაცები მონაწილეობენ, ერთ-ერთი — ირაკლი სიჭინავა კი, „ვაჟკაცს“ განასახიერებს. ხევსურულ სამოსში გამოწყობილი, ხანჯალასხმული ქეთი მერკვილაძე პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს გულწრფელ მადლობას უხდიდა, მამამისმა კი ყველა, გვერდით დარბაზში გაშლილ ალაფურშეტზე მიიპატიჟა, სადაც მშვენივრად მოილხინეს ჯგუფებმა: „საუნდმა“ და „ფლეშმა“, ნატო დუმბაძემ, მამუკა ბერიკამ და სხვა სტუმრებმა.



მე-8 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-გ.
51-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-გ; 4-გ.

კვირის (17 – 23 თებერვალი) ასტროლოგიური პროგნოზი

მერწყული – 21/I-19/II

ეს კვირა თავ-ბრუდამხვევი სისწ-რაფით გაირბენს. მო-ვლენები, სახეები და ფრაზები თქვენს ცნო-ბიერებაში წამიერად გაიელვებს და გაქრება. მხოლოდ პარასკე-ვისთვის შეძლებთ ამოსუნთქვას. ეს შეს-ვენება გონივრულად უნდა გამოიყენოთ, თორემ შესაძლოა, თქვენმა მიჯნურმა მოიწყინოს.

თევზები – 20/II-20/III

თქვენი სამსახ-ურებრივი მდგომარ-ეობით, ხელფასითა და კარიერით უკმაყოფი-ლო ხართ, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტ-ილებას ნუ მიიღებთ, გვერდზე გაიხედეთ და თავი დაიმშვიდეთ. რა დროს სამსახ-ურზე ფიქრია? – კვირის ბოლოს საო-ცარი თავგადასავალი გელით.

ვერძი – 21/III-20/IV



ორშაბათი და სა-მშაბათი ხელსაყრე-ლი დღეებია ნების-მიერი პრაქტიკული პრობლემის მოსაგ-ვარებლად. კვირის მე-ორე ნახევარში კი, უამრავი შეხვედრა და დიდი ხნის უნახავი ნათესავების სტუმ-რობა გელით. უქმეებში თქვენს ცხოვრე-ბაში მოულოდნელი და სასიამოვნო გარ-დატეხა მოხდება.

კურო – 21/IV-21/V

ერთადერთი ნეგა-ტიური დღე თქვე-ნთვის ამ კვირაში, ოთხშაბათია – დაღ-ლილობა მოგეძალე-ბათ და ძალზედ იო-ლი დაბრკოლების გადალახვაც გაგი-ჭირდებათ. კვირის დანარჩენ დღეებში, მართალია, ბევრი შრომა მოგიწევთ, მა-გრამ წარმატებასაც მიაღწევთ და თქვენი ავტორიტეტიც საგრძნობლად ამაღლდე-ბა.

მარგალიტი – 22/V-21/VI



ლიდერობის დაუ-ოკებელი სურვილი გაგიჩნდებათ. არაჩვე-ულებრივ ორგანიზა-ტორულ ნიჭს გამო-ავლენთ და ამით, ნებ-ისმიერ ადამიანს თქვენკენ გადმოიბირებთ. კვირის ბოლოსთვის კი, შესაძლოა, შორეულ და ხანგრძლივ მივლინებაში გაემგზავრ-თოთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ეს კვირა საკმაოდ მოულოდნელი და ერთი შეხედვით, სახ-იფათო მოვლენებით დაიწყება, მაგრამ თავი ხელში აიყვანეთ და ნუ ეცდებით ცვლილებებს მოერიდოთ, რად-გან ის ახლა, ისე გესაჭიროებათ, როგორც არასდროს. მით უმეტეს, რომ ნებისმიერი სიახლე თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

ლომი – 23/VII-23/VIII



თქვენი უტყუარი ალღო და ნებისმიერი პრობლემის არსში წვდომის არაჩვეუ-ლებრივი უნარი ძა-ლზედ დაგეხმარებათ იურიდიული დოკუმენტების გაფორმებასა და მომგებიანი კონტრაქტების დადებაში. პარასკევს თქვენს სამსახურში ბევრი უსიამოვნება მოხდება, მაგრამ ეს ყველაფერი პირადად თქვენ არ შეგეხებათ.

ქალწული – 24/VIII-23/IX



კვირა ნორმალუ-რად ჩაივლის, თუ თქვენი სამუშაო მხო-ლოდ ხელსაწყოებთან და ქაღალდებთან არ-ის დაკავშირებული და არა – ადამიანებთან. მაგრამ თუ სამუშაოს სპეციფიკა ადამიანებთან ურთ-იერთობას ითვალისწინებს, პრობლემებს ვერ გაექცევით, რადგან მოზღვავებული ემოციები ყველაფერში ხელს შეგიშლით. და კიდევ – ყურადღება მიაქციეთ ჯან-მრთელობას.

სასწორი – 24/IX-23/X

მთელი კვირის მა-ნძილზე, გულჩათხრო-ბილი იქნებით. ზედ-მეტად კრიტიკულად ნუ განსჯით საკუ-თარ თავს და ეცა-დეთ, უკეთ გაერკვეთ საკუთარ პრიორ-იტეტებში, მიზნებსა და ამოცანებში. თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, უქმე დღეებში ოპტიმიზმის გრძნობაც გაგიჩნ-დებათ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

თუ აქამდე, სხვის იმედად ყოფნას იყავ-ით მიჩვეული, დროა შეიცვალოთ, რადგან ახლა თქვენს ცხო-ვრებაში ისეთი ეტა-პი დგება, როცა ნებისმიერი საქმის წარ-მატებით დაგვირგვინებას მხოლოდ თვით-დისციპლინითა და საკუთარი ძალებით შეძლებთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ერთ ადგილზე ვერ ისვენებთ. მოზღ-ვავებული ენერგიის წყალობით, დღის გან-მავლობაში ყველა სა-ქმის მოგვარებას მოა-ხერხებთ, საღამოობით კარგად დასვენებასა და გართობასაც მოასწრებთ, ღამეებს, როგორც მოგესურვებათ, ისე გაატარებთ და დილით, კვლავ გასაოცარი ენერგიით შეუდგებით საქმეს.

თხის რქა – 22/XII-20/I

ოთხშაბათამდე ყველაფერი ჩვეული რიტმით, მშვიდად მიედინება. მომდევნო დღეებში კი, ძალზედ დაძაბული იქნებით და ნებისმიერი შენიშვნა მოთმინებიდან გა-მოგიყვანთ. მაგრამ მიუხედავად ამისა, პარასკევი მაინც პოზიტიური იქნება თქვენთვის. შაბათ-კვირას მეგობრებთან ერთად დაისვენეთ და ეცადეთ, ყველა პრობლემა დროებით მაინც დაივიწყოთ.

ხართ თუ არა კონფლიქტური ადამიანი?

1) ჩვეულებრივ, უსრულებთ თუ არა საკუთარ თავს ყველა სურვილს?

ა) დიახ, ყოველთვის – 0;

ბ) არა, უმეტესად ვერ უსრულებთ – 5.

2) გქონიათ თუ არ ოდესმე სურვილი, მთლიანად გაგეკონტროლებინათ საკუთარი ფიქრები და ქცევები?

ა) დიახ, ამის სურვილი ხშირად გქონიათ – 0;

ბ) არა, არასოდეს. ფიქრებსა და ქცევებში სრულიად თავისუფალი ხართ – 5.

3) შეგიძლიათ თუ არა, თავი სერიოზულად დაიჭიროთ არასერიოზული და ზედმეტად მხიარული ადამიანების საზოგადოებაში?

ა) დიახ, ამას მშვენივრად შეძლებთ – 5;

ბ) არა, თავს ვერ შეიკავებთ და აჰყვებით – 0.

4) გიჩნდებათ თუ არა სურვილი, უკეთ აკეთოთ ის საქმე, რითიც ხშირად ხართ დაკავებული?

ა) დიახ, ხშირად – 0;

ბ არა, არასოდეს – 5.

5) ფიქრობთ თუ არა, რომ უმეტესად მომავლის იმედით ცხოვრობთ და სულდგმულობთ?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

6) შეცვლიდით თუ არა თქვენს ქცევას რადიკალურად, ცხოვრების თავიდან დაწყების შანსი რომ მოგეცეთ?

ა) დიახ, ბევრ რამეს – 0;

ბ) არა, არაფერს – 5.

7) უთქვათ თუ არა თქვენთვის, რომ ხშირად არაორდინარულად იქცევით და ის, რომ თქვენი ქცევა მეტად უნდა გააკონტროლოთ?

ა) დიახ, რამდენჯერმე – 5;

ბ) არა, არასოდეს – 0.

8) განიცდით თუ არა საკუთარ პრობლემებს?

ა) დიახ, ძალიან – 5;

ბ) არა, არც ისე – 0.

9) შეგიმჩნევიათ თუ არა, რომ ხშირად ეწინააღმდეგებით მოვლენების მსვლელობას?

ა) დიახ, ამის სურვილი ხშირად გიჩნდებათ – 5;

ბ) არა, ეს არ მომხდარა – 0.

10) როგორ გგონიათ — თქვენი ხასიათის გამო, საჭიროა, რომ ვინმე გაკონტროლებდეთ?

ა) დიახ, ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს – 5;

ბ) არა, თქვენ არავისი კონტროლი არ გჭირდებათ – 0.

11) გაკმაყოფილებთ თუ არა თქვენი ყოველდღიური ცხოვრება?

ა) დიახ, ნორმალურია – 0;

ბ) არა და მუდამ მისი შეცვლისკენ ესწრაფვით – 5.

12) როგორ გგონიათ — შეიძლება თუ არა იცხოვროთ ყოველდღიური, თუნდაც მცირე კონფლიქტების გარეშე?

ა) დიახ, მგონი შეიძლება – 0;

ბ) არავითარ შემთხვევაში – 5.

13) ცდილობთ თუ არა, კონფლიქტის ან ჩხუბის მეშვეობით მიიღოთ ცხოვრებისგან იმაზე მეტი, ვიდრე ამჟამად გაქვთ?

ა) დიახ, ხშირად – 5;

ბ) არა, ფიქრობთ, რომ იმას იღებთ, რასაც იმსახურებთ – 0.

14) მიგაჩნიათ თუ არა, რომ ცხოვრებაში ბოლომდე არასოდეს გიმართლებთ?

ა) დიახ – 5;

ბ) არა – 0.

15) მიგაჩნიათ თუ არა, რომ პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება ჩხუბი და კამათია?

ა) დიახ, ეს პრაქტიკამაც დაგიდასტურათ – 5;

ბ) არა, პრობლემა მშვიდობიანი გზით უკეთ გვარდება – 0.

დაანჯამეთ ქულები

0-20 ქულა: კონფლიქტურ ადამიანს ნამდვილად ვერავინ გიწოდებთ. მშვიდად, აუღელვებლად ცდილობთ საკუთარი მიზნების მიღწევას და ცხოვრებისგან მაქსიმუმის მიღებას. ამისთვის კი, თქვენი აზრით, საერთოდ არ არის საჭირო ადამიანებთან ჩხუბი, კონფლიქტი და საკუთარი თავისთვის თუ სხვისთვის ნერვების მოშლა. თავდაჯერებული ხართ და ამიტომაც უმეტესად, საკუთარი მიზნის მიღწევა არ გიჭირთ.

25-50 ქულა: ზომიერი ადამიანი ხართ. სადაც კონფლიქტის გარეშე საქმე არ კეთდება, უკან არ იხევთ, თუმცა თავად არასოდეს ხდებით კონფლიქტის მიზეზი. ცხოვრებაში გაფასებენ და სხვათა შორის, ეშინიათ კიდეც თქვენი. რადგან, სამართლიანი ადამიანის სახელი გაქვთ.

55-75 ქულა: თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტური ადამიანი ხართ. ჩხუბს მაშინაც კი არ ერიდებით, როცა ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობს და ფიქრობთ, რომ ნებისმიერი პრობლემის მოგვარება მხოლოდ ჩხუბით შეიძლება. შინაგანადაც კონფლიქტური ადამიანი ხართ და თავს მშვიდად არასოდეს გრძნობთ. ალბათ ამიტომაცაა, რომ გარშემომყოფთა პატივისცემას ვერ იმსახურებთ. ისინი შეეჩვევნენ თქვენს ხასიათს და ხშირად, თქვენი ჩხუბი ურეაქციოც კი რჩება.

ბოხბლებიანი ოტელი იოხეშიხის ქუჩებს „ტეპნის"

ერთმა მოხერხებულმა ინგლისელმა, 1957 წელს გამოშვებული ავტობუსი – Leyland ნამდვილ სასტუმროდ გადააკეთა. ამ მოძრავი „ჰილტონის" მეპატრონე, მოგზაურობის მოყვარულთ სთავაზობს ოთხ ორადგილიან საძინებელსა და ორ სააბაზანოს, რომელიც საუკეთესოდაა მოწყობილი. თუმცა, ამ უნიკალური ოტელის კომფორტულობის მწვერვალად, მაინც იმას მიიჩნევენ, რომ მისი სარკმლებიდან მუდამ ახალი ხედი იშლება. ■

ავსტრიაში პირველი ევთანაზიონერები გაჩნდნენ

ორმა ავსტრიელმა – ზალცბურგისა და ბურგენლანდის მცხოვრებლებმა – გამდიდრება ლატარიაში მოგების წყალობით მოახერხა: „45-დან 6"-ში ჯეკპოტის მოხსნის შედეგად, მათ ერთად, 7 მლნ ევრო ერგოთ, არადა, როგორც ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, მას სურდა, პირველი მილიონი ხურდა ფულით დაეგროვებინა... ბოლოს დავძენთ, რომ ლატარიაში სულ 23,1 მლნ ბილეთი გათამაშდა.

ეს უცნაური ალმოსავლეთი

ჩინეთის ქალაქ უხანის ზოოპარკის თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა მიიჩნია, რომ მათი დაწესებულების ბინადართ მინიმალური განათლება მაინც ესაჭიროებათ და მისი ინიციატივით, ხანგრძლივი დებატების შემდეგ, ზოოპარკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ჩამოეყალიბებინა ქვეყანაში პირველი, „ცხოველთა სატელევიზიო უნივერსიტეტი". ვინაიდან ამგვარ სასწავლებელში ნებაყოფლობით, არც ერთი ცხოველი არ ივლის, გადაწყვიტეს, რომ თავდაპირველად, ის დაუსწრებელი იყოს. პირველ ეტაპზე, „უნივერსიტეტის" მესვეურებმა მხოლოდ ორი ფერადი ტელევიზორი და ერთი ვიდეოპლეიერი შეუკვეთეს. ჩინელი ზოოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ექსპერიმენტი გაამართლებს და მაშინ, სასწავლებლის ტექნიკური ბაზაც გაფართოვდება. ■



მიიჩთვით ჩემი მეცხიდან...

ამომავალი მზის ქვეყნის ძველებური მოდის შესაბამისად, ზოგიერთ იაპონურ რესტორანში კვლავ ააღორძინეს შიშველი გოგონების სხეულიდან სადილისა თუ ვახშმის მირთმევის ორიგინალური ხერხი. ხამანწკები, ზღვის სხვა პროდუქტები და ბოსტნეული იმგვარადაა მოთავსებული სხეულის სხვადასხვა ხვეულში, რომ ისეთი სიამოვნება მიანიჭოს გურმანებს, როგორსაც ქადაგებს კულინარიული ტრადიცია „ნიატალმორი" (სიტყვასიტყვით – ლამაზად მორთული, ქალის სხეული). ამ საქმის მცოდნეთა თვალსაზრისით, დახვეწილი კერძებისა და ქალის სილამაზის ნაზავი, იაპონური კულტურის ორ ძირითად ნიშან-სვეტს წარმოადგენს. ■

მამაკაცები უდიერად ეპყრობიან საკუთარ ჯანმრთელობას

ვენაში გაიმართა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც საგანგებოდ, მამაკაცთა ჯანმრთელობას მიეძღვნა. მისი დელეგატები ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ, რატომ ბერდებიან მამაკაცები ქალებზე ადრე და რატომ კვდებიან მათზე გაცილებით ახალგაზრდა ასაკში. კონგრესის თემატიკა მედიკოსებს სავალალო სტატისტიკამ უკარნახა: მამაკაცები ქალებზე ორჯერ უფრო ხშირად კვდებიან კიბოთი, განსაკუთრებით – კუჭ-ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნით; მამაკაცების 15% გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით იტანჯება, 40% კი – სტრესებისა და ფსიქიკის მოშლილობით. აღსანიშნავია, რომ მამაკაცები ქალებზე მეტად მისდევენ ცხოვრების არაჯანსაღ წესს – ეწევიან, სვამენ და ზედმეტ საკვებსაც მიირთმევენ. ■

ფოტოკუჩიოზები



TV კრესელი

13 (116)

15 თებერვალი 2003 წელი. გამოდის სამშაბათობით და შაბათობით. ფასი 50 თეთრი

სკანვორდები
ფესტები
ანეკდოტები
თეატრალური ანონსი
კროსვორდები
კვირის ფილეპროგრამა
ამოკრიბეთ დანომრილი ასოები, ჩასვით მათთვის განკუთვნილ უჯრებში და მიიღებთ ჟან რენოს ნამდვილ სახელსა და გვარს
„სხვისი სახე“ (იაპონელი მწერალი)
ჟან რენოს ბუდის ვან-შაზდერული კინორეჟისორი
ბალეტმეისტერ ...
ბალეტმეისტერ ...
ბალეტმეისტერ ...